პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76) მდივნის 10—58) ღამის მორიგის 58—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფურცლებში— ტექსტის უკან—20 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ. საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ. ტექსტში—3 მ. განცხადებებზე გარდა განცხადების ფასისა იღება 10% საქალაქო გადასახადი. თუ განცხადება იბეჭდება ტექსტის შეუცვლელად-შეცვლით შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. საქველმოქმედო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 24 ნოემბერი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 272 (2315)

დღიური

— 10 დეკემბერს ჟენევაში გაიხსნება ერთა ლიგის სესია.
— ვალების საკითხი თემთა პალატაში.
— საფრანგეთის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია პერნო.
— სოფიაში მოკლეს პოლიციის ყოფ. პრეფექტი ნ. პელევი.
— რეპრესიები ნაციონალისტურ პარტიის მომხრეთა წინააღმდეგ ეგვიპტეში.
— ნიუ-იორკში გაიხსნა საბჭოთა გამოფენა—ბაზარი.

კომუნისტი

მიიღება ხელისმოწერა დეკემბრისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნის ცდები

ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შემდეგ ძლიერდება მთლიანი ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნის ცდები. ლონდონთან ერთად ამ მხრივ ბოლო დროს პარიზიც განსაკუთრებულ აქტივობას იჩენს. საფრანგეთის და ინგლისის გენერლები თუ დიპლომატები დაძრწიან პოლონეთში, ბალკანეთის და ბალტიის მხარის ქვეყნებში, რომ მიაღწიონ მათ თანამშრომლობას საბჭოებზე გამოსალაშქრებლად. კერძოდ ლაპარაკია იმაზე, რომ ბალკანეთის და ბალტიის მხარის ქვეყნებმა უზრუნველყონ თავის ტერიტორიაზე სამხედრო მასალების და ჯარების გატარება პოლონეთისა და რუმინეთისათვის მისაწოდებლად ჩვენს წინააღმდეგ ომის შემთხვევაში.

რამდენად შესაძლებელია ეხლანდელ პირობებში იმპერიალისტების ანტისაბჭოთა გეგმების განხორციელება? პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ბალკანეთის, ისე ბალტიის მხარის სახელმწიფოებს შორის არსებობს ინტერესთა ურთიერთი წინააღმდეგობა, რაც აძნელებს მათ გაერთიანებულ გამოსვლას მუშურ-გლეხურ ქვეყნის წინააღმდეგ, მით უმეტეს, რომ ბევრი ამ სახელმწიფოთაგანი ეკონომიურად და პოლიტიკურად დაინტერესებულია საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შენარჩუნებით, ან ადვილად ვერ გაბედავს ჩვენს წინააღმდეგ აშკარად მოქმედებას, მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობის და მოსახლეობის ფართო ფენების უკმაყოფილების გაზრდის შიშით.

შემდეგ: უდიდესი მნიშვნელობა აქვს გერმანიის პოზიციას ანტისაბჭოთა ფრონტის ორგანიზაციის საქმეში. გერმანიას ამ მხრივ უკანასკნელ წლებში დიდი მერყეობა ეტყობოდა. ერთი მხრით მან შეასუსტა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, მეორე მხრივ გადაჭარბებული და ცალმხრივი ორიენტაცია აიღო დასავლეთზე. მაგრამ ასეთმა პოლიტიკამ, რომლითაც გერმანიის მესვეურები ფიქრობდნენ საფრანგეთისა და ინგლისისაგან დათმობების მიღებას რეინის და რეპარაციების საკითხებში, მათ იმედი გაუცრუა. ამის გამოხატულებაა შტრეზემანის გამოსვლა რეიხსტაგში ინგლის-საფრანგეთის კომპრომისის წინააღმდეგ და მისი განცხადება, რომ გერმანია არავითარ პოლიტიკურ ვალდებულებას (იგულისხმეთ მონაწილეობა ინგლის-საფრანგეთის ბლოკში საბჭოთა კავშირის და, აგრეთვე, ამერიკის წინააღმდეგ) არ იკისრებს თავის შელახულ უფლებების აღდგენის საკომპენსაციოდ. დეპუტატმა რეინბაბენმა, შტრეზემანის აზრების გამომხატველმა, უფრო კონკრეტულად გამოსთქვა ეს დებულება: ლოკარნო არ ნიშნავს რაპალოს უარყოფას და გერმანიამ უნდა განამტკიცოს დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთანო. აქვე საჭიროა გავიხსენოთ, რომ ამ დღეებში განახლდება გერმანია-საბჭოთა სავაჭრო მოლაპარაკება. საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის გამწვავება ერთი მხრით, გერმანია-პოლონეთის ინტერესების შეურიგებლობა (დანციგის კორიდორის და ზემო-სილეზიის საკითხები, სავაჭრო მოლაპარაკების ჩაშლა) საეჭვოდ ხდის გერმანიის აქტიურ ჩაბმას ანტისაბჭოთა ბლოკში. ჩვენ ვიცით, რომ გერმანიის ზოგიერთი წრეები აქეთკენ ეწევიან ქვეყანას,—ვიცით, რომ წარმოებს ვაჭრობა, რომ საფრანგეთმა და ინგლისმა სხვადასხვა დაპირებებით გერმანია ჩაითრიონ ბლოკში, მაგრამ, ვიმეორებთ, ამას სერიოზული დაბრკოლებები ელობება წინ.

მეორე დიდი სახელმწიფო, რომელსაც აუცილებლად ანგარიში უნდა გაეწიოს ისეთი „წამოწყების" დროს, როგორიცაა ანტისაბჭოთა ბლოკის შეკოწიწება, არის იტალია. იტალიის ფაშისტური მთავრობა რომ თავისთავად პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანას უარყოფითად (რბილად რომ ვსთქვათ) უყურებს, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. მაგრამ ისიც უდავოა, რომ იტალია-საფრანგეთის დამოკიდებულება ძალზე რთულია. კერძოდ ინგლის-საფრანგეთის კომპრომისმა უფრო დააშორა იტალია საფრანგეთს, აგრეთვე ინგლისსაც. ეს გარემოება უკანასკნელთ უეჭველად ხელს შეუშლის მათი ანტისაბჭოთა ზრახვების გატარებაში.

მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ინგლისელ და ფრანგ იმპერიალისტებს ხელფეხს უბორკავს, ესაა ერთი მხრით ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობა, ხოლო მეორე მხრით ამერიკის ეხლანდელი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან.

ყველა იცნობს კულიჯის მრისხანე გამოსვლას ინგლისის წინააღმდეგ და ამერიკის საზღვაო სამინისტროს სააშენებლო პროგრამას. ამერიკა სულ უფრო აქტივობას იჩენს, რათა დაიმკვიდროს მსოფლიო ჰეგემონია და ინგლისი და მასთან მისი მოკავშირე საფრანგეთი თავის სიძლიერის წინაშე წამოაჩოქოს. ეს გიგანტური ბრძოლა მათ შორის თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ძირითადი მომენტია, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს ლონდონ-პარიზის ანტისაბჭოთა გეგმების განხორციელების შეფერხებაში.

რაც შეეხება ამერიკა-საბჭოთა დამოკიდებულებას, იგი ბოლო დროს საგრძნობლად გაუმჯობესდა და არის ნიშნები, რომ შემდეგში უფრო განმტკიცდება. საბჭოთა ნავთის სინდიკატის წინანდელი შეთანხმება ამერიკის სანავთო კონცერნთან, უკანასკნელად ამერიკის ელექტრონის კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება ჩვენთვის 25 მილიონი დოლარის რაოდენობით კრედიტის გახსნის შესახებ, გუშინდელი ცნობა, რომ ამერიკა უარს აცხადებს შეუერთდეს „რუსეთის კრედიტორების „საერთაშორისო კომიტეტს". —ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ამერიკა სერიოზულადაა დაინტერესებული ჩვენთან ალებ-მიცემობის განვითარებით. ამასვე ადასტურებს პოლონეთის ამერიკის მრჩეველის დიუის ჩამოსვლა მოსკოვში, რის გამო პოლონეთის მმართველი წრეები ერთგვარმა შიშმა მოიცვა: ამერიკა უახლოვდება საბჭოთა კავშირს, რითაც უკანასკნელის მდგომარეობა მტკიცდება, ხოლო პოლონეთის პოზიციები ირყევაო.

ამერიკა-საბჭოთა კავშირის ეკონომიური დამოკიდებულების განვითარებასთან ერთად სულ უფრო გაისმის ხმები ვაშინგტონის მიერ მოსკოვის იურიდიული ცნობის შესაძლებლობის შესახებ. ამის გამო იტალიური გაზეთი „ტევერე", სხვათა შორის, სწერს: „საბჭოთა კავშირისათვის 25 მილ. დოლარის კრედიტის მიცემის შემდეგ, მოდის ამბავი საბჭოთა კავშირის მოსალოდნელი ცნობის შესახებ. კრედიტები, ოფიციალური ცნობა და სავაჭრო გარიგებები საბჭოთა კავშირთან, —ყველაფერი ეს ლახვარია ინგლისის იმპერიალიზმისათვის"-ო. მართლაც, ამერიკის დაახლოვება საბჭოთა კავშირთან, რაც გამოწვეულია ამერიკის ეკონომიური ინტერესებით და ინგლისის იმპერიალიზმთან წარმატებით ბრძოლის სურვილით, აუცილებლად კვეცავს ლონდონის ანტისაბჭოთა ზრახვებს და ამტკიცებს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას.

რა თქმა უნდა, ძნელია ეხლა იმის თქმა, რომ ამერიკა უეჭველად იცნობს საბჭოთა კავშირს. მაგრამ ასეთი ტენდენცია ამერიკაში რომ ძლიერდება და რომ ამ მხრივ ნაბიჯის გადადგმა შეეფერება მის ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებს, ეს უდავოა.

ყველაფერ ამას მიუმატეთ კლასობრივი ბრძოლის გამწვავება ევროპაში და დასავლეთის მუშათა კლასის აქტიური თანაგრძნობის ზრდა საბჭოთა კავშირის მიმართ და ცხადი გახდება სოციალიზმის ქვეყნის წინააღმდეგ ავანტიურის დაწყება - განხორციელების სიძნელე.

მაგრამ ეს საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებს მაინც არ დაამშვიდებს. მიუხედავად ზემოდ აღნიშნულ გარემოებათა, ანტისაბჭოთა ფრონტის ცდა და ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრებისათვის ნიადაგის მომზადების ცდები გრძელდება. იმპერიალისტების მხრით ავანტიურა მოსალოდნელია; საბჭოთა კავშირზე მათი თავდასხმის საფრთხე არსებობს. ჩვენი მუშურ-გლეხური ქვეყანა ამას სათანადო ანგარიშში უწევს და ამ საფრთხეს უპასუხებს თავდაცვის უნარის და სოციალისტურ მშენებლობის გაძლიერებით.

პარტიის ზრდა და სოციალური შემადგენლობის მოწესრიგება

პარტიის ზრდისა და სოციალური შემადგენლობის მოწესრიგების საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ბოლშევიკური პარტიის მთელი ისტორიის მანძილზე. ეს საკითხი იდგა ბოლშევიკური პარტიის პირველივე დღეებიდან, როდესაც პარტიის მეორე ყრილობაზე ვკამათობდით მენშევიკებს—მარტოვს და ტროცკის, რომლებიც ძალიან ცდილობდნენ, რომ არ გვეწუნებინა ჩვენი თანამგრძნობი პროფესორისა ან გიმნაზიელისათვის. მაშინ ამ საკითხში „ბატონური ანარქიზმის" ძალიან ბევრი შემპარიტება დაუპირისპირა ლენინურ ხაზს. ლენინი იმ თავითვე განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა იმას, რომ ჩვენს ხელმძღვანელ ორგანოებში და პარტიის კომიტეტებში მუშები ყოფილიყვნენ, რომ ხელმძღვანელი გაზეთი დაკავშირებული ყოფილიყო მუშა კორესპონდენტებთან, რომ პარტიის წევრთა მთავარი მასა მუშებისაგან ყოფილიყო შემდგარი, რომ დიდი ფაბრიკა-ქარხნები პარტიის დასაყრდენ პუნქტებად გადაქცეულიყვნენ. ლენინის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ „ლენინის კრებულ"-ში, ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლიუცია"-ში, ლენინის თხზულებათა კრებულში ბევრი მითითებაა შეხვედრით, რომლებსაც დღემდე შენარჩუნებული აქვთ რევოლიუციონური მნიშვნელობა და აქტუალობა.

პირველ რევოლიუციის დროსაც ლიკვიდატორობის დროსაც, მოძრაობის ხელახალი გაძლიერების დროსაც ომის წინ ჩვენი პარტია მთავარ ყურადღებას აქცევდა ამ ამოცანის გადაჭრას. ეს იმას არ ნიშნავს, ვითომ ჩვენ როდისმე გამოვკიდებოდეთ პარტიის წევრთა რიცხვის აუცილებლად გადიდებას. პირიქით, ეს თვისება მენშევიკებს ახასიათებდა; ისინი ხშირად ცდილობდნენ, რომ პროლეტარიატის მოწინავე ავანგარდის ნამდვილი ცენტრალიზაციაქმნილი ორგანიზაციის ადგილი დაეჭირა ყოველგვარი „ფართო" ორგანიზაციების უსახო კავშირს და გადაექციათ ჩვენი ორგანიზაცია „ფართო მუშათა პარტიად", სადაც ერთმანეთთან შეთავსებოდნენ სხვადასხვა მიმდინარეობანი. ჩვენი პარტია სხვადასხვა მიმდინარეობათა და ელფერთა ბლოკად ჰქონდა წარმოდგენილი ტროცკისაც, რომელმაც კისერი მოიტეხა პოლიტიკანურ კომბინაციებში—ხან ლიკვიდატორებთან, ხან ულტრა-მემარცხენეებთან.

მაგრამ ჩვენ ყოველთვის კარგად ვხედავდით იმ დაბრკოლებას, რომელიც ელობებოდა პარტიის მეცადინეობას, რომ უზრუნველეყო მტკიცე სოციალური შემადგენლობა პროლეტარული დიქტატურის ქვეყანაში, სადაც პარტია სახელმწიფოს ხელმძღვანელობს და იგი ერთად-ერთი აშკარად მომქმედი პარტიაა, სადაც უცხო ელემენტების მოწოლას კარიერისტული მიზნებით, ჩვენი რიგების გახრწნისა და მოდუნების მიზნებით საკმაოდ საგრძნობლად განვიცდით ზოგიერთ მომენტებში, ამიტომ ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებანი პროლეტარული დიქტატურის პერიოდში არა ერთხელ ეხებიან პარტიის ზრდისა და სოციალური შემადგენლობის მოწესრიგების საკითხს. პარტია თავისი რიგების წმენდისა და შემოწმების გზით თავისუფლდება უვარგის, უცხო და კარიერისტული ელემენტებისაგან. პარტია იშორებს მათ თავის წრიდან, ისევე, როგორც იდეოლოგიურად უცხო ჯგუფებს, რომლებიც პარტიის გადაწყვეტილებით ანტიპარტიულ ელემენტებად არიან მიჩნეულნი.

ჩვენი მტრების ერთ-ერთი ჩვეულებრივი ცილისწამება, ჩვენთან ბრძოლის ერთ-ერთი ჩვეულებრივი ხერხი ის არის, რომ ცდილობენ მნიშვნელობა დაუკარგონ იმ ფაქტს, რომ ჩვენს პარტიაში ამჟამად 800.000 მუშაზე მეტია, აქედან დაახლოვებით 600.000 დაზგის მუშა. ციფრები და ფაქტები გვიდასტურებენ, რომ ლენინის სიკვდილის შემდეგ პარტიაში რამდენიმე ასი ათასი მუშა შევიდა, 1924 წლის 1 იანვრიდან მუშათა უჯრედების რიცხვი 121 პროცენტით გაიზარდა, მათი აბსოლუტური რიცხვი ამ ხნის განმავლობაში 505 პროცენტით გადიდდა, მუშათა უჯრედის ძლიერება ორნახევარჯერ და კიდევაც მეტად გაიზარდა (საშუალოდ 24-დან 66-დე), შეიქმნა ცეხების 5.076 უჯრედის ქსელი, მუშათა რიცხვმა პარტიაში ერთი-სამად იმატა, კომუნისტი მუშების ხვედრითი წონა დანარჩენ მუშებს შორის ფაბრიკებსა და ქარხნებში 12 პროცენტით გაიზარდა.

ეს ფაქტები იმას გვიდასტურებენ, რომ მუშების მისწრაფება ლენინის პარტიაში შესასვლელად არ სუსტდება. მაგრამ სხვადასხვა მიზეზის წყალობით, თუმცა პარტიაში 61 პროცენტს მუშები შეადგენენ, აქედან დაზგაზე მხოლოდ 42 პროცენტი მუშაობს; ასეთ მიზეზად უმთავრესად შეგვიძლია დავასახელოთ წარმოების მუშათა დაწინაურება სხვადასხვა ხელმძღვანელ-ადმინისტრატიულ, პარტიულ, პროფესიონალურ და სამეურნეო თანამდებობებზე.

უახლოეს პერიოდში საწარმოო მუშების ამ ძირითადი კადრის გაძლიერება პარტიის ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ორგანიზაციული ამოცანაა. ამას მოითხოვს ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მრეწველობის რეკონსტრუქციის ამოცანა, მძიმე მრეწველობის მნიშვნელობისა და ხვედრითი წონის გადიდება, რადგან მძიმე მრეწველობა ხელმძღვანელობს და განსაზღვრავს სოციალისტური მშენებლობის წარმატებას სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე და საბინაო მშენებლობაში. ამას მოითხოვს ინდუსტრიალიზაციის ფართო პროგრამა, ჩვენი სოფლის მეურნეობის გარდაქმნის, რეკონსტრუქციის და მისი კოლექტივიზაციის ფართო პროგრამა. ამას მოითხოვს საბჭოებისა და პროფკავშირების თანდათან გადიდებული როლი. ამას მოითხოვს აუცილებლობა იმისა, რომ წინანდელზე მეტად იქნას უზრუნველყოფილი ჩვენი რიგების აბსოლუტური სიმტკიცე ყოველგვარი მემარცხენე და მემარჯვენე მერყეობისა და ქანაობისაგან.

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტა ყველა პარტიულისაგან მოითხოვს შეუსვენებელ მუშაობას. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ პარტიაში შემოვიყვანოთ დაზგის მუშების 8 პროცენტი კიდევ ან 120.000 მუშა და მუშა-ქალი. ნამდვილად პარტიაში ორი წლის მანძილზე გაცილებით მეტი უნდა მივიზიდოთ—არა ნაკლებ 200.000 ან 250.000 მუშისა, თუ მხედველობაში მივიღებთ პარტიიდან თავის სურვილით გამოსულთა და გამორიცხულთა რიცხვს, თუ გავითვალისწინებთ, რომ გლეხებისა და „დანარჩენების" სხვა სექტორებსაც ორი წლის განმავლობაში უცვლელად ვერ გავაჩერებთ, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ წარმოებიდან რამდენიმე ათეული ათასი მუშა უნდა დავაწინაუროთ პარტიის, პროფკავშირების, სამეურნეო და ადმინისტრატიული ორგანოების ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

მუშათა კლასის მოწინავე, სოციალისტური მშენებლობის ყველაზე ერთგული ავანგარდის გულდასმით შერჩევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ პარტია ულევად სერიოზულ ყურადღებას მიაქცევს კიდევ უფრო მეტი კავშირის გაბმას მუშათა მასებთან, კომკავშირის, პროფკავშირების და მუშა-გლეხ-მოჯამაგირე ქალების სადელეგატო კრებების საორგანიზაციო, სააგიტაციო-საპროპაგანდო და კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას. ეს გულისხმობს გადამჭრელ გარდატეხას უჯრედების მუშაობაში საბჭოთა კავშირის დიდ და უდიდეს წარმოებებზე, სადაც კომუნისტური შემადგენლობა საერთოდ უფრო ნაკლებია, ვიდრე საშუალო და მცირე წარმოებებზე (იქ, სადაც მუშათა რიცხვი 8000-ზე ნაკლებია). ეს იმას გულისხმობს, რომ ჩვენი რიგები გაიწმინდოს ყოველგვარი უვარგისი, გახრწნილი და კლასობრივ სახეს მოკლებული ელემენტებისაგან და ამით მუშათა სექტორის ხვედრითი წონა გაძლიერდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ შევეხოთ მუშებისა და მეტადრე მუშა-ქალების ჯერ კიდევ ხელუხლებელ რეზერვებს, რომელთა შესვლას ჩვენს პარტიაში ხელს უშლის ზოგიერთი ჩვენი ამხანაგების შეცდომები და დანაშაული, ხოლო ეს შეცდომები და დანაშაული ზოგჯერ გაუსწორებლად და დაუსჯელად რჩებიან.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობაში მომუშავე კომუნისტების სექტორის გაძლიერებას მისი შევსებით მოჯამაგირეთა რიგებიდან.

ცხადზე უცხადესია, რომ ამ ამოცანების სისწორით შესრულება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ განვახორციელებთ ჩვენი მუშაობის ნაკლთა დაუზოგველ, ულმობელ კრიტიკას, თუ თვითკრიტიკასა და შინაპარტიულ დემოკრატიას სიტყვით კი არა, საქმით განვახორციელებთ.

მაგრამ ეს ამავე დროს გულისხმობს მტკიცე ბოლშევიკური ლენინური ხაზის გატარებას, იმ ხაზისა, რომელიც ვერ ურიგდება ვერავითარ გადახრას და გამრუდებას, საჭიროა დავრაზმოთ და აღვზარდოთ მუშათა ახალი კადრები და განვუმტკიცოთ მათ შეურიგებელი მტრობა ყოველგვარი ოპორტუნისტული მოვლენებისადმი. ეს იმას ნიშნავს, რომ პარტია მუშათა ახალ კადრებს, ისევე, როგორც მთელ პარტიას, მთელ კომკავშირს, დარაზმავს ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტურ ელემენტებთან ბრძოლის საშუალებით, ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ძალთა დაძლევის გზით, პირველ ყოვლისა, მემარჯვენე გადახრის დაძლევის გზით.

მხოლოდ მაშინ მოახერხებენ ეს კადრები თავის გარშემო შემოიკრიბონ მუშათა მთელი მასა და გაიყოლიონ გლეხთა ძირითადი მასა კომუნიზმის მშენებლობის გზაზე. მხოლოდ ასეთი პარტია გაუძლებს ბუმბერაზულ საერთაშორისო ამოცანებს, რომლებიც დაუსახავს ჩვენს პარტიას, როგორც კომინტერნის სექციას.

„პრავდა", 23 ნოემბერი.

კამათი ბიუჯეტის შესახებ პოლონეთის სეიმში

„სეიმი უნდა ენდოს მთავრობის პატიოსნებას"

ინგლისის კომპარტიის მონაწილეობა მუნიციპალურ არჩევნებში

პილსუდსკის რესპუბლიკაში

„სეიმი უნდა დაენდოს მთავრობის პატიოსნებას"

ვარშავა, 22 ნოემბერი. სეიმის საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე ენდეკმა ჩეტვერტინსკიმ აღნიშნა, რომ 1927—28 საბიუჯეტო წელს მთავრობამ, ბიუჯეტით გათვალისწინებულის გარდა, დახარჯა 567 მილ. ზლოტი და ეს ზედმეტი ხარჯი არ წარმოუდგენია სეიმში დასამტკიცებლადო. ჩეტვერტინსკიმ მოითხოვა, მთავრობამ ეხლა მაინც წარმოადგინოს ანგარიში. სხვა ჯგუფების წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს ჩეტვერტინსკის წინადადებას. პრემიერმა ბარტელმა განაცხადა, რომ მთავრობა არ უარჰყოფს სეიმის უფლებას გააკრიტიკოს მთავრობის საბიუჯეტო პოლიტიკა და კონტროლი გაუწიოს მას. მთავრობა შეეცდება წარუდგინოს სეიმს უკანასკნელი წლების, მათ შორის 1927—28 წლის საბიუჯეტო ანგარიშიო. ბარტელის სიტყვით მთავრობა არ სცდილობს თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა, მაგრამ სეიმი უნდა დაენდოს მთავრობის პატიოსნებას. მთავრობა შეძლებისდაგვარად ცდილობს არ გამოვიდეს ბიუჯეტის ჩარჩოებიდან. თუ მთავრობამ არ შეასრულა სეიმის გადაწყვეტილება გლეხობისათვის ასი მილიონი სესხის მიცემის შესახებ, ეს ჩადენა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა ზლოტის სტაბილიზაციის გეგმასო.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრმა ჩაპინსკიმ კმაყოფილება გამოსთქვა ბარტელის განმარტების გამო და იკითხა: წარმოადგენს თუ არა ბარტელის განცხადება დაპირებას, რომ მთავრობა სეიმს დასამტკიცებლად წარმოუდგენს აგრეთვე მიმდინარე წლის ზედმეტად გაწეულ ხარჯებსო.

ბარტელმა პირდაპირ არ უპასუხა ჩაპინსკის და კვლავ განაცხადა, რომ მთავრობა შეეცდება რაც შეიძლება ჩქარა წარმოუდგინოს სეიმს შესრულებული წლების საბიუჯეტო ანგარიშიო. შემდეგ ბარტელმა განაცხადა, რომ იგი უნდა დაესწროს ერთა ლიგის მოლაპარაკების დროს ლონდონისა და სოფიის მიღებას, და წავიდა ვარშავიდან (ადს).

დისკუსიის თავიდან ასაცილებლად

ვარშავა 22 ნოემბერი. ბარტელის გამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ უთანხმოება, რომელმაც თავი იჩინა უპარტიო ბლოკში, ამ ბლოკის ფაშისტურ-კონსერვატიულ წევრთა (პოლკოვნიკ სლავეკის მეთაურობით) და ბარტელის მომხრეებს (შრომის პარტია) შორის, დამთავრდა ბარტელის გამარჯვებით, ყოველ შემთხვევაში, სეიმთან დამოკიდებულების საკითხში. მახლობელ პერიოდში მთავრობა თავს შეიკავებს სეიმთან ურთიერთობის გამწვავებისაგან.

მთავრობა ცდილობს შეურიგდეს სეიმს, მას სურს შექმნას ისეთი პირობები, რომელნიც ხელს შეუწყობენ უცხოეთის კაპიტალის მოზიდვას. მეორეს მხრივ, ბარტელის [illegible] პასუხს ჩეტვერტინსკის მოთხოვნაზე სეიმის წრეები ხსნიან იმით, რომ მთავრობას უნდა თავიდან აიცილოს ფართო დისკუსია ზედმეტი 567 მილ. ზლოტის დახარჯვის შესახებ, მით უმეტეს, რომ ამ თანხის დიდი ნაწილი დაიხარჯა სამხედრო უწყების საჭიროებებზე, გარდა ამისა, მთავრობა სცდილობს შექმნას ისეთი პრეცედენტი, რომელიც მას საშუალებას მისცემს—მომავალშიაც არ გაუწიოს ანგარიში ბიუჯეტის ჩარჩოებს (ადს).

პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრები მთავრობისაგან ელიან ხსნას

ვარშავა, 22 ნოემბერი. ლოძის საავადმყოფო სალაროების გამგეობათა გადარჩევა, რომელიც 18 ნოემბრისათვის იყო დანიშნული, არ შედგა. ადმინისტრატიულმა ხელისუფლებამ არჩევნები 25 ნოემბრისათვის გადასდო. მუშათა მემარცხენე წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრებს ეშინიათ მომავალი არჩევნებისა, რადგან მათ ესმით, რომ, ფეიქართა უკანასკნელი გაფიცვის გაკოტრების შემდეგ, ლოძის პროლეტარიატმა ზურგი შეაქცია პოლონეთის სოციალისტურ პარტიას. მუშათა მასების თვალში პარტიამ სახელი გაიტეხა იმით რომ სცდილობდა ვიძევის მანუფაქტურის მუშებს არ მიეღოთ საბჭოთა კავშირის მუშების მიერ გამოგზავნილი დახმარება. პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრები გრძნობენ, რომ ამ პირობებში შესაძლებელია მუშათა მემარცხენე ელემენტებმა გაიმარჯვონ. სწორედ ამიტომ მიმართეს მათ მთავრობას და სთხოვეს არჩევნების გადადება (ადს).

ინგლისის კომპარტიის მონაწილეობა მუნიციპალურ არჩევნებში

ლონდონი, 22 ნოემბერი. ინგლისის კომპარტიის ცეკამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ჯამს უკეთებს პარტიის გამოსვლას მუნიციპალურ არჩევნებში. განცხადებაში აღნიშნულია, რომ კომპარტია პირველად გამოვიდა დამოუკიდებლად მუნიციპალურ არჩევნებში; იგი ერთსა და იმავე დროს იბრძოდა „ბოლდუინიზმისა" და „მაკდონალიზმის" წინააღმდეგ. საარჩევნო კამპანიამ დაამტკიცა, რომ პარტია მუშათა ფართო მასების თანაგრძნობით სარგებლობს. მთელ სახელმწიფოში კომუნისტებმა მიიღეს მუშათა პარტიის მიერ შეგროვილი ხმების 18 პროცენტი. კომპარტიის საარჩევნო კამპანიის მთავარ დეფექტებად ცეკას მიაჩნია: მთლიანი ფრონტის ტაქტიკის სუსტად გამოყენება, პარტიის წევრების არასაკმაო ყურადღება არჩევნებისადმი, მუნიციპალური საბჭოების მნიშვნელობის არასაკმაო შეფასება, პარტიული პროგრამის შეუფარდებლობა ადგილობრივი პირობებისადმი, არასაკმაო კონტაქტი პარტიასა და მუშათა მასებს შორის.

ცეკას საჭიროდ მიაჩნია ადგილობრივი პარტორგანიზაციების დაუყოვნებლივი გამოკვლევა, საარჩევნო კომიტეტების დაარსება მომავალ საყოველთაო არჩევნებისათვის მოსამზადებლად, ადგილებზე კრებების მოწვევა ადგილობრივი საკითხების განსახილველად და საარჩევნო კამპანიის გაშუქება „უორკერს ლაიფ"-ის ფურცლებზე (ადს).

მდგომარეობა გერმანიის ლითონის მრეწველობაში

ბერლინი, 22 ნოემბერი. რეინ-ვესტფალიის ოლქის ლითონის მრეწველთა სრ. გერმანიის გაერთიანებამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც თანაგრძნობას უცხადებს და ფართო დახმარებას აღუთქვამს დასავლეთ გერმანიის ლითონის მრეწველებს, რომელთაც ლოკაუტი გამოუცხადეს 218.000 მელითონეს.

მდგომარეობა მწვავდება აგრეთვე იმის გამო, რომ საზღვაო რაიონის ლითონის მრეწველთა გაერთიანებამ გადაწყვიტა, 30 ნოემბრიდან ლოკაუტი გამოუცხადოს 40.000 მელითონეს, და შუა გერმანიის ლითონის მრეწველთა კავშირი იმუქრება, 31 დეკემბრიდან გაუქმებულად გამოაცხადოს სატარიფო შეთანხმება. უკანასკნელნი იმუქრებიან საყოველთაო ლოკაუტით, თუ პროფკავშირები უარს განაცხადებენ არსებული სატარიფო შეთანხმების ვადის ხანგრძლივად გაგრძელებაზე და მოითხოვენ ხელფასის გადიდებას.

რევოლიუციონური პროფკავშირთა უმცირესობა მოითხოვს დაუყოვნებლივ იქნას გამოქვეყნებული საიდუმლო ოქმები იმ მოლაპარაკებისა, რომელიც დიუსელდორფში სწარმოებდა მრეწველებსა და რეფორმისტებს შორის. კომუნისტური პრესის ცნობით შეთანხმების ოქმში აღნიშნულია, რომ მრეწველებს ეძლევათ უფლება მუშაობის განახლების პირველი თვის განმავლობაში დიდი მასშტაბით ჩაატარონ მუშაობა ზედმეტ საათებში, რომ ამით აინაზღაურონ მუშაობის შეჩერებით მიყენებული ზარალი.

მუშათა წრეებში აღნიშნავენ, რომ უმთავრესი ხელისშემშლელი მიზეზი იმისა, რომ რეფორმისტებმა სრული კაპიტულიაცია არ მოახდინეს მრეწველთა წინაშე, არის რევოლიუციონურ პროფკავშირთა უმცირესობის წარმატებითი მუშაობა მასების მობილიზაციისათვის. უკანასკნელ დღეებში ლოკაუტის რაიონის ყველა უმთავრეს პუნქტში იმართებოდა მუშათა მრავალრიცხოვანი კრებები, რომლებზედაც მოხსენებებს აკეთებდნენ ბრძოლის ხელმძღვანელი კომიტეტები. იმართებოდა დიდი მიტინგები (ადს).

ნაუმ პელევის მოკვლა

ვენა, 22 ნოემბერი. სოფიიდან გადმოცემული ცნობით, იქ მოუკლავთ ნაუმ პელევი, სოფიის პოლიციის ყოფილი პრეფექტი მალინოვის მთავრობის დროს. მკვლელები მიმალულან (ადს).

ვალების საკითხი თემთა პალატაში

„საბჭოთა კავშირი ერთად-ერთი ქვეყანაა, რომელიც ძველ ვალებს არ იხდის"

ლონდონი, [illegible] ნოემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„მუშათა პარტიის დეპუტატი უელიკი შეეკითხა, თემთა პალატაში ფინანსთა მინისტრს ჩერჩილს, არსებობს თუ არა ევროპაში, ინგლისის გარდა, სხვა რომელიმე ქვეყანა, რომელიც მონაწილეობას იღებდა მსოფლიო ომში და რომელიც იხდის ან ფიქრობს გადაიხადოს ვალის ნაწილი მთლიანად ოქროთი ან უხდის ინგლისის კრედიტორებს პროცენტებს გირვანქა სტერლინგებითო. ჩერჩილმა უპასუხა, რომ „ინგლისის გარდა, ევროპის ყველა იმ ქვეყნის ვალიუტა, რომელიც მონაწილეობას იღებდა მსოფლიო ომში კარგავდა ღირებულებას და ამიტომ ამ ქვეყნების ვალიუტით დადებული სესხები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სავსებით განაღდებულია, უფრო ნაკლებ ღირებულებას წარმოადგენენ, ვიდრე მათი ომის წინა დროინდელი ეკვივალენტი გირვანქა სტერლინგებით, ის სესხები, რომლებიცა დაიდო ომის წინ გირვანქა სტერლინგებით, მთლიანად განაღდებულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ობლიგაციების პატრონები დასთანხმდნენ ნაწილობრივ დაკლებაზე. ასეთია ავსტრო-უნგრეთისა და ბულგარეთის ომის წინადროინდელი სესხები. გამონაკლისს წარმოადგენენ თურქეთი და რუსეთი. თურქეთმა უკვე დასდო შეთანხმება რომლის რატიფიკაციაც, ალბად, ახლო მომავალში მოხდება. ამრიგად, რუსეთი ერთად ერთი ქვეყანაა, რომელმაც უარი სთქვა ვალის გადახდაზე" (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის როლი საბჭოთა კავშირთან ომის მზადებაში

პრაღა, 22 ნოემბერი. კომუნისტმა სენატორმა გამპლმა სიტყვა წარმოსთქვა ჩეხო-სლოვაკიის როლის შესახებ საბჭოთა კავშირთან ომის მზადების საქმეში; მან აღნიშნა, რომ ჩეხო-სლოვაკიის სამხედრო წარმოება დაგროვებულია საფრანგეთისა და ინგლისის კაპიტალთან დაკავშირებულ შკოდის ქარხნებში; ეს ქარხნები არამც თუ ასრულებენ უცხოეთის სახელმწიფოების, კერძოდ პოლონეთის დანაკვეთებს, მათ თავისი წარმოებანიც შექმნეს პოლონეთსა და რუმინეთში, ე. ი. იმ სახელმწიფოებში, რომლებიც საბჭოთა კავშირს პირველნი დაესხმიან (ადს).

კამათი უნგრეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ

ვენა, 22 ნოემბერი. ბუდაპეშტიდან მიღებული ცნობით, უნგრეთის პარლამენტის სხდომაზე ოპოზიციონურმა, დემოკრატიულმა და ლიბერალურმა პარტიებმა გააკრიტიკეს მთავრობის საგარეო პოლიტიკა იტალია-უნგრეთის სავაჭრო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. უკიდურესი მემარჯვენე გრაფი მოითხოვდა საფრანგეთთან დაახლოვების პოლიტიკის განხორციელებას, დანარჩენები აღნიშნავდნენ, რომ იტალიამ არ უნდა შემოიტანოს უნგრეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. მთავრობის პარტიის წევრებმა აღნიშნეს, რომ საფრანგეთთან დაახლოვება ნიშნავს ტრიანონის სამშვიდობო ხელშეკრულების გამუდმივებასო (ადს).

უმუშევრობასთან ბრძოლის გეგმა

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. მენის შტატის გუბერნატორმა 48 შტატის გუბერნატორთა თათბირს გააცნო გუვერის მიერ შემუშავებული გეგმა, რომლის თანახმადაც უნდა დაარსდეს 3 მილიარდიანი დოლ. (6 მილიარდი მან.) ფონდი უმუშევრობასთან საბრძოლველად. ეს ფონდი, გუვერის აზრით, უნდა დაარსდეს ლიბერალური მთავრობისა და შტატების მთავრობების მიერ შეტანილი თანხებით. ამ ფონდიდან უმუშევრებს დახმარებას გაუწევენ დიდ უმუშევრობის დროს. (ადს).

კონსერვატორებს არ მოსწონთ ბოლდუინის მოქმედება

ლონდონი, 22 ნოემბერი. ლორდ როტერმირის ორგანო „დეილი-მეილ"-ი მკაცრად აკრიტიკებს ბოლდუინისა და ჯონსონ ხიკსის მოქმედებას. გაზეთი აღნიშნავს ბოლდუინის მთავრობის შეცდომებს და სწერს:

„ისინი მოქმედობდნენ კონსერვატიული პარტიის ფართო მასების სურვილის წინააღმდეგ. ამ ორმა მინისტრმა პასუხი უნდა აგოს არჩევნების შემდეგ იმ მძლავრი პარტიის დამარცხებისათვის, რომელსაც უფრო გონიერი ხელმძღვანელობით შეეძლო ახალი გამარჯვებანი მოეხვეჭა მომავალი აუცილებელი დამარცხების ნაცვლად (ადს).

პალატის თავმჯდომარის მოადგილის არჩევა

პარიზი, 23 ნოემბერი. ქვედა პალატამ პალატის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩია ნაციონალური კავშირის დეპუტატი პერნო —282 ხმის უმრავლესობით, 212 ხმის წინააღმდეგ. 212 ხმა მიიღო რადიკალ-სოციალისტების დეპუტატმა დიუუენილმა. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

ანტი-იაპონური აგიტაცია ჯარის გაყვანისათანავე შეწყდება

პეკინი, 22 ნოემბერი. „ი-ში-ბაო"-ს ცნობით, იაპონიის საქმეთა რწმუნებულმა სთხოვა **ჩანჩის** (პეკინის პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე) შეწყვიტოს ანტი-იაპონური აგიტაცია.

ჩანჩიმ განაცხადა, რომ „ანტი-იაპონური აგიტაცია სახალხო მოძრაობაა. გაიყვანოს იაპონიამ ჯარი შანდუნის პროვინციიდან და მაშინ ანტი-იაპონური მოძრაობაც შეწყდებაო".

ტრამვაის მუშების პროტესტი

პეკინი, 22 ნოემბერი. პეკინის ტრამვაის მუშებმა მგზავრებს წინადადება მისცეს — იმოგზაურონ უფასოდ. ტრამვაის მუშებმა ამ ზომას მიმართეს ნიშნად პროტესტისა მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც არ განიხილა მუშების მიერ ამ დღეებში წარმოდგენილი მოთხოვნები (ადს).

ერთი წლით დაპატიმრება

პარიზი, 23 ნოემბერი. სასამართლომ გამოიტანა განაჩენი „ლიუმანიტე"-ს უცხოეთის განყოფილების რედაქტორის **გაბრიელ პერის** საქმის გამო. პერის მიესაჯა ერთი წლით დაპატიმრება და ჯარიმა ათასი ფრანკი. პერის ბრალდებოდა ის, რომ „მოუწოდებდა ჯარისკაცებს — არ დამორჩილებოდნენ ხელისუფლებას" (ადს).

რეპრესიები ვაფდის წინააღმდეგ

ლონდონი, 22 ნოემბერი. ეგვიპტეში მთავრობა განაგრძობს რეპრესიებს ნაციონალურ-პარტიის ვაფდის მომხრეების წინააღმდეგ. მანსურაში, პრემიერ **მახმუდ-ფაშის** იქ ყოფნის დროს, დააპატიმრეს 30 ნაციონალისტი. დაპატიმრებულები აცხადებენ, რომ საპატიმროში მათ ბორკილები დაადეს და სცემეს. (ადს).

სხვადასხვა

კაპიტალისტების [illegible] კანონ-პროექტი

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. მექსიკიდან მიღებული ცნობით, დროებითმა პრეზიდენტმა ხილმა, რომელიც არჩეულ იქნა ობრეგონის მოკვლის შემდეგ, მოიწვია მუშებისა და კაპიტალისტების წარმომადგენელთა კონფერენცია მუშათა საკითხის შესახებ შემუშავებული კანონპროექტის განსახილველად. პოლიტიკური წრეების აზრით, კანონპროექტის მიზანი უზრუნველჰყოს მუშათა მოძრაობის იმ ელემენტების მხარის დაჭერა მთავრობისათვის, რომელნიც არ არიან გაერთიანებულნი მექსიკის შრომის ფედერაციაში. კანონპროექტი ითვალისწინებს სხვადასხვა დათმობას კაპიტალისტების სასარგებლოდ. ამ კანონპროექტით მთავრობას სურს მიიმხროს მსხვილი მრეწველები (ადს).

ნავთის კომპანიის თავმჯდომარე გაამართლეს

ვაშინგტონი, 22 ნოემბერი. სასამართლომ გაამართლა ნავთის კომპანიის „სტანდარდ ოილ ოფ ინდიანა"-ს გამგეობის თავმჯდომარე სტიუარტი, რომელსაც ჰბრალდებოდა ყალბი ჩვენების მიცემა სენატის კომისიისათვის. ეს კომისია დანიშნული იყო იმ ცნობილი სკანდალის (ნავთის საქმეები) გამოსარკვევად, რომლის მთავარი გმირებიც სინკლერი, ფოლი და დოჰერტი იყვნენ (ადს).

უკანასკნელი ცნობები

სასაკლაოთა მუშების საყოველთაო გაფიცვა

პარიზი, 23 ნოემბერი. ვილეტის სასაკლაოთა მუშების გაფიცვის გამო საგაფიცვო კომიტეტმა მთელი პარიზის რაიონის სასაკლაოთა მუშების კრება მოიწვია. კომუნისტი დეპუტატების მატიეს და ვოგრანის სიტყვების შემდეგ გადაწყდა სასაკლაოთა მუშების საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება. სასაკლაოთა მუშების დელეგატმა განაცხადა, რომ მისი გამომგზავნელი მუშები სოლიდარობას უცხადებენ გაფიცულებს და უერთდებიან გაფიცვას. გაზეთების ცნობით, გაფიცულთა ნაცვლად მომუშავე ჯარის კაცები ვერ უძლებიან საქმეს. ამის გამო ვილეტის სასაკლაოს მოქმედება თითქმის გაქარწყლებულია. (ადს).

მემაღაროეთა გაფიცვა

ვენა, 22 ნოემბერი. ბუქარესტიდან იუწყებიან: 5.000 მემაღაროემ გაფიცვა გამოაცხადა შილგოტარიანის ქვანახშირის უდიდეს მაღაროებში, რადგან დამქირავებლებთან მოლაპარაკება უნაყოფოდ დამთავრდა. (ადს)

პარიზი, 22 ნოემბერი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, ტუნისში მემაღაროები გაიფიცნენ. (ადს).

ხმები კომპარტიის სასარგებლოდ

ბერლინი, 22 ნოემბერი. თავისუფალი ქალაქის დანციგის რაიონის სათემო არჩევნებში (არჩევნები მთელ რაიონში მოხდა, გარდა თვით დანციგისა) კომპარტიამ ყველგან ახალი ხმების თვალსაჩინო რაოდენობა მიიღო. მაგალითად, ცოპოტში კომუნისტებმა მიიღეს 875 ხმა (წარსულ არჩევნებზე—555), ერაში—779 ხმა (წარსულ არჩევნებზე—539).

საზღვაო ვაჭრობის კანონ-პროექტის მიღება

ლონდონი, 23 ნოემბერი. თემთა პალატაში საზღვაო ვაჭრობის კანონპროექტის განხილვის დროს მუშათა პარტიის წევრმა ტეილორმა განაცხადა, რომ მთავრობამ უნდა გადაათვალიეროს თავისი პოზიცია ინგლისისა და საბჭოთა კავშირის ვაჭრობის საკითხში. „ინგლისის ფირმები—განაცხადა მან— საბჭოთა კავშირისათვის გრძელვადიანი კრედიტების საკითხს ვერ განიხილავენ ამ ატმოსფეროში, რომელიც მათ პოლიტიკურ გარანტიას არ აძლევს. სხვა სახელმწიფოები არ იწუხებიან, რომ პოლიტიკამ მათი ვაჭრობა დააზარალოს". მთავრობის სახელით გამოსულმა საზღვაო ვაჭრობის დეპარტამენტის საპარლამენტო მდივანმა ხეკინგმა განაცხადა: მთავრობა ფულის დაკარგვის რისკს ვერ გასწევს, არსებული შეღავათების გავრცელება საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაზე ვერ შესცვლის არსებულ მდგომარეობას. კანონპროექტი მეორედ წაკითხვის შემდეგ კენჭის უყრელად იქნა მიღებული (ადს).

პიკემალის გამოსვლა ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტის გარშემო გამართულ კამათში

პარიზი, 22 ნოემბერი. ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტის გარშემო გამართული კამათის დროს გამოვიდა კომუნისტი დეპუტატი პიკემალი; იგი მოითხოვდა, რომ სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებს მომატებოდათ ჯამაგირი და ამ ჯამაგირების მინიმუმი წლიურად 10.800 ფრანკის რაოდენობით განსაზღვრულიყო. ჯამაგირების გადიდება უკანასკნელ წლებში ვერ მისდევდა სიძვირის ზრდას, ოქროს ფულის ანგარიშით სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების ჯამაგირმა 1919 წლიდან 40 პროცენტით იკლო. ჯამაგირების რაოდენობის გამოსარკვევად პიკემალი მოითხოვდა კომისიის შექმნას, რომელშიც უნდა შესულიყვნენ მთავრობის, პარლამენტის და სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენელნი (ადს).

შეთანხმების იმედი

ბერლინი, 22 ნოემბერი. ინგლისიდან მიღებულმა ცნობამ იმის შესახებ, რომ ჩემბერლენს განზრახული აქვს დაესწროს 10 დეკემბერს ერთა ლიგის საბჭოს მე-53 სესიას, ჟენევაში გაცხოველებული კომენტარიები გამოიწვია. რადგან ბრიანის დასწრება უზრუნველყოფილია, (იგი სესიის თავმჯდომარე იქნება), შესაძლოდ მიაჩნიათ, რომ შტრეზემანი, ბრიანი და ჩემბერლენი ჟენევაში შეხვედრას გამოიყენებენ იმისთვის, რომ შეუთანხმდნენ იტალიისა და იაპონიის წარმომადგენლებს რეპარაციების საკითხის გამო მოლაპარაკების განგრძობის შესახებ. (ადს).

ჟანდარმერიის აგენტების დათხოვნა

ვენა, 22 ნოემბერი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით - რუმინეთის მთავრობამ გადაწყვიტა, დაითხოვოს ბრატიანუს მთავრობის მიერ შექმნილი დამცველი რაზმების 6-დან 12 ათასამდე აგენტი. დაიშლება ჟანდარმერიის რაზმები, რომლებიც ლიბერალების მთავრობის უმთავრეს დასაყრდენს წარმოადგენდნენ. (ადს).

უკომენტარიოდ

ბერლინი, 22 ნოემბერი. „წითელი ვარსკვლავი"-ს მხილებას საფრანგეთის გენერალური შტაბისა და პოლონეთ-რუმინეთის თანამშრომლობის შესახებ, გერმანიის პრესა უკომენტარიოდ ბეჭდავს. ცნობების სათაურები გვიჩვენებენ, რომ მხილების სინამდვილე გაზეთების რედაქციების ეჭვს არ იწვევს (ადს).

მიწისძვრა

ანგორა, 22 ნოემბერი. 22 ნოემბერს სმირნაში მოხდა მსუბუქი მიწისძვრა (ადს).

სამეცნიერო მუშაკები ჟებელევის ნაბიჯის შესახებ

ლენინგრადი, 23 ნოემბერი. შესდგა სამეცნიერო მუშაკთა სექციის ლენინგრადის ბიუროს საგანგებო სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა საკითხი პრაღის კრებულში საბჭოთა მეცნიერების მონაწილეობის შესახებ.

მიღებულ რეზოლიუციაში სექციამ დაჰგმო მეცნიერთა ის ჯგუფი, რომელიც წერილებს აწვდიდა ამ კრებულს. ამ რეზოლიუციას ხმა მისცეს აკადემიკოსმა ოლდენბურგმა, პროფესორებმა—ოსიპოვმა, ორბელმა, ტურმა და სხვებმა. ბიურომ ყველა ხმით ერთის წინააღმდეგ აღიარა, რომ ჟებელევის წერილი, რომელიც მოთავსებულია პრაღის კრებულში, აშკარა ზიანს აყენებს საბჭოთა კავშირს. ბიურომ დაადგინა, გამორიცხულ იქნას ჟებელევი სამეცნიერო მუშაკთა სექციიდან. სექციის ბიურო აღნიშნავს: რადგან ჟებელევის წერილი საზიანოა საბჭოთა კავშირისათვის, მის წინააღმდეგ გამოყენებულ უნდა იქნას საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის წესდების მე-22 პარაგრაფი, რომელიც გულისხმობს, რომ, თუ სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი არ ასრულებს თავის მოვალეობას და თუ თავისი მოქმედებით იგი ზიანს აყენებს საბჭოთა კავშირს, ის გამორიცხულ უნდა იქნას აკადემიიდან (ადს).

ჟებელევის დახასიათება

ლენინგრადი, 23 ნოემბერი. აკადემიკოსმა ჟებელევმა შეიტანა განცხადება, რომელშიაც თხოულობს, განთავისუფლებულ იქნას სამეცნიერო აკადემიის ბიბლიოთეკის დირექტორის მოვალეობის აღმასრულებლის თანამდებობიდან. ჟებელევის დასახასიათებლად ვაქვეყნებთ შემდეგ ფაქტს, რომელიც ამ დღეებში მოხდა: მუშათა და გლეხთა ინსპექციამ წინადადება მისცა ჟებელევს, ჩაეტარებია აკადემიის ბიბლიოთეკაში რაციონალიზაცია. ჟებელევმა დაუყოვნებლივ დაითხოვა 12 თანამშრომელი—საზოგადოებრივი მუშაკი. ადგილკომი გამოესარჩლა დათხოვნილებს და დანიშნა სხდომა, რომელზედაც მიიწვია ჟებელევი. „მე კი არ უნდა მივიდე ადგილკომში,—ადგილკომი უნდა მოვიდეს ჩემთანო, განაცხადა ჟებელევმა. (ადს).

მოსკოვ-თბილის-ბაქოს ახალი ავიო-ხაზი

ბაქო, 22 ნოემბერი. „უკრზაკავიოდუხპუტი"-ს კავკასიის კვანძის უფროსმა ამხ. **რიზადინემ** ამ.კავ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

როცა სამოქალაქო ავიაციის საბჭოში გადაწყდება საკითხი მოსკოვ-როსტოვ-ტიხორეცკაია-სოჭი-სოხუმ-თბილის-ბაქო-პეხლევი თეირანის ახალი ავიოხაზის გახსნის დროს შესახებ, მაშინ საჭირო აღარ იქნება ბაქო-მახაჩკალა-ტიხორეცკაიას ავიოხაზი. გზას მოსკოვიდან ბაქომდე ახალი ავიოხაზი ადიდებს სულ 100 კილომეტრით, მაგრამ, სამაგიეროდ, ეს ხაზი მუდმივ საჰაერო მიმოსვლას ამყარებს ბაქოსა და თბილის შუა. როცა მოსკოვ-ხარკოვს შორის მოეწყობა ღამის რეისები (ეს საკითხი თითქმის უკვე გადაწყვეტილია), მოსკოვ-ბაქოს მთელი გზის გავლას მოუნდება მხოლოდ ორი დღე. ჩვენ კვლავ ვსვამთ განჯაში ჰაეროდრომის აგების საკითხს. ყველა ჰაეროდრომი მოსკოვ-თბილისის მომავალი ხაზისათვის უკვე მზად არის. საქმეს აბრკოლებს მხოლოდ სოჭის ჰაეროდრომი, რომლის აგებას მოუნდება ერთი თვე.

როცა გაიხსნება ახალი ხაზი, „უკრზაკავიოდუხპუტი"-ს კავკასიის კვანძის სამმართველო ბაქოდან თბილისში გადავა (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

რურის ოლქში მდგომარეობა მწვავდება

მოსკოვი, 23 ნოემბერი. „იზვესტია"-ს ბერლინელი კორესპონდენტი იტყობინება:

მრეწველებსა და მუშებს შორის წარმოებული მოლაპარაკება, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა მთავრობის რწმუნებულიც, უშედეგოთ დამთავრდა. ატმოსფერა უკანასკნელ დღეებში გამწვავებულია. ორივე მხარე: მუშები და მრეწველები ემზადება ხანგრძლივ ბრძოლისათვის.

ბარტელი გაურბის სეიმის კონტროლს

მოსკოვი, 23 ნოემბერი. „იზვესტია"-ს ვარშაველი კორესპონდენტი გადმოგვცემს:

პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში ცხოველ კომენტარიებს იწვევს მთავრობის თავმჯდომარის ბარტელის სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა სეიმის საბიუჯეტო კომისიაში.

ბარტელმა განაცხადა კომისიის სხდომაზე: სახელმწიფო ბიუჯეტის კრიტიკა სეიმის უდაო უფლებას წარმოადგენს. ბარტელის სიტყვის მეორე ნახევარი აგებულია ისე, რომ იქიდან აშკარად სჩანს შემდეგი: მთავრობა თეორეტიულად სცნობს კონტროლს, ხოლო ფაქტიურად არავითარ ანგარიშს არ უწევს მას. უმთავრესად დავა სწარმოებს ნახევარ მილიარდ ზლოტის გარშემო, რომელიც სრულიად უკონტროლოდ დახარჯა მთავრობამ.

პუშკინის ახლად აღმოჩენილი პოემის შესახებ

მოსკოვი, 23 ნოემბერი. განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებით მოსკოვში ჩამოიტანეს დემიან ბედნის მიერ ლენინგრადის ერთ-ერთ არქივში აღმოჩენილი პუშკინის ჯერ უცნობი პოემა „მონახ"-ი (ბერი).

მხატვრულ ლიტერატურის ცნობილ მუშაკების დასკვნით „მონახ"-ი წარმოადგენს პუშკინის ერთ-ერთ იმ ნაწარმოებს, რომელიც პოეტს დაუწერია თავის ჭაბუკობის წლებში.

რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობის გამგემ ამხ. ხალატოვმა სასწრაფო განკარგულება გასცა გამოცემულ იქნას პუშკინის ახალი პოემა [illegible]. სახელგამის განცხადების თანახმად, „მონახ"-ი სულ მოკლე ხანში გაიცემა გასასყიდათ ბაზარზე.

ინტერესი ამიერ-კავკასიისადმი

მოსკოვი, 23 ნოემბერი. ტურისტების ხელმძღვანელ საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ზოფმა განაცხადა, რომ უკანასკნელ წლებში მეტად გაიზარდა ინტერესი საბჭოთა კავშირისადმი და განსაკუთრებით ამიერ-კავკასიისადმი. უცხოეთის პრესაში მეტად ხშირია საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ ტურისტების წერილები მათ მიერ მიღებულ შთაბეჭდილებების შესახებ. უცხოელ ტურისტების დიდი უმრავლესობა აღტაცებით იხსენიებს საბჭოთა კავშირის კურორტებს, აგარაკებს და ჩვენი მთავრობის პოლიტიკას საკურორტო აღმშენებლობის დარგში.

მომავალ წლისათვის მოსალოდნელია 7.000 კაცამდე უცხოელ ექსკურსანტის ჩამოსვლა.. მიღებულია ზომები მათთვის სატრანსპორტო საკითხების მოსაგვარებლად. „სოვტორგფლოტი" აწყობს სპეციალურ რეისს ექსკურსანტ მგზავრებისათვის.

სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მე-7-ე ყრილობა

კამათი ამხ. ბ. მაჩაიძის მოხსენების გარშემო

ყრილობის მესამე დღეს—23 ნოემბრის დილის და საღამოს სხდომებზე გრძელდებოდა კამათი პროფსაბჭოს მუშაობის შესახებ.

ამხ. პისკუნოვი

(ახალციხის მაზრა)

თუ ადგილობრივი პროფორგანიზაციები მონაწილეობას ვერ ღებულობენ სამეურნეო მუშაობაში, კერძოდ, ადგილობრივი ბიუჯეტის დამუშავებაში, ეს იმიტომ, რომ მათ არ იციან კონკრეტულად რა გააკეთონ. საჭირო იყო პროფსაბჭოს მოეწვია თათბირი, რომელზედაც ეს საკითხი უნდა დამუშავებულიყო. ადგილებზე სუსტია პროფმუშაკთა მუშაობა, რადგან მათ საამისო კვალიფიკაცია არ გააჩნიათ. საჭიროა გაიხსნას კურსები მუშაკთა მოსამზადებლად პროფმუშაობის ყველა დარგებისათვის.

ამხ. ჭანკვეტაძე

(რაჭა-ლეჩხუმი)

პროფსაბჭოს ხელმძღვანელობას უფრო მეტად ისეთი მაზრების პროფორგანიზაციები საჭიროებენ,—სადაც პროფაქტივი სუსტია. ამ მხრივ ჩვენს მაზრაში მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არ არის. ცენტრალური გამგეობების წარმომადგენელნი არა თუ მოდიან მუშაობის გასაცნობად ადგილებზე, არამედ არ ესწრებიან იმ ყრილობასაც კი, რომელიც მათი განკარგულებით არის მოწვეული მაზრის ფარგლებში. კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობაც ძალიან სუსტია. ადგ. პროფორგანიზაციებს საკუთარი სახსარი არ გააჩნიათ და ვერც საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციებისაგან ღებულობენ დახმარებას ამ საქმისათვის. კონფლიქტების გარჩევის საქმე, წინანდელთან შედარებით გაუმჯობესდა, თუმცა მათ გარჩევას 10—15 დღე ისევ აგვიანდება, რაც იმით აიხსნება, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლები ხშირად კონფლიქტის გარჩევას არ ესწრებიან და საქმე იდება.

ამხ. ჟღენტი

(ოზურგეთის მაზრა)

პროფმუშაობა, განსაკუთრებით ეკონომიური მუშაობა, მაზრებში სუსტია, რადგან არ არსებობს სათანადო ხელმძღვანელობა. უკანასკნელად პროფსაბჭომ გამოარკვია ჩვენი სამაზრო პროფორგანიზაციები და ბევრი რამ საქმიანი დარიგება მისცა მათ. სამი-ოთხი წლის განმავლობაში არც ერთი კავშირის წარმომადგენელი არ სწვევია ჩვენს მაზრას. საჭიროა ცენტრალური გამგეობები მუშაკებს გზავნიდენ არა მარტო სამაზრო კონფერენციებზე დასასწრებლად, არამედ მუშაობის შესასწავლად. წარმომადგენელი ერთი კვირით ადრე მაინც უნდა ჩამოდიოდეს სამაზრო კონფერენციაზედ, ეცნობოდეს პროფორგანიზაციების საქმიანობას, და შემდეგ თავისი დასკვნებით გამოდიოდეს კონფერენციაზე. ძირითად პროფორგანიზაციებში ცუდათ არის დაყენებული ანგარიშ-წარმოება და სტატისტიკა, რადგან ამ საქმეებს სჭირია გამოცდილი კაცი, რომელიც თავის კვალიფიკაციის მიხედვით მაღალ ხელფასს თხოულობს. საამისო სახსრები კი მაზრებს არა აქვს. საკლუბო მუშაობას და საერთო კულტმუშაობას აბრკოლებს უბინაობა. მაგრამ ვიდრე საბინაო კრიზისის პერიოდს გავივლიდეთ, კულტმუშაობაზე ხელის აღება, ამ მოსაზრებით დიდი შეცდომა იქნებოდა. კულტურულ მუშაობისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს ლენინის და წითელი კუთხეები, სადაც საფუძვლიანად უნდა შეივალოს და გაუმჯობესდეს მუშაობის ფორმები.

ამხ. საროკიანცი

(აბასთუმანი)

მეტად ძნელი საქმეა მილიციელთა შრომის ნორმების მოწესრიგება. მილიციელების მუშაობა ისეთი ხასიათის არის, რომ არ ხერხდება მათი სამუშაო დროის განსაზღვრა. კოლექტიური ხელშეკრულებები, რომელთაც ცენტრალური გამგეობები სდებენ ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეების შესახებ, ხშირად არ ითვალისწინებს ადგილების სპეციფიურ პირობებს, რაც კოლხელშეკრულების ხშირ დარღვევას იწვევს. კულტმუშაობის გაძლიერებას არც ერთი მაზრა ისე არ საჭიროებს, როგორც ჩვენი მაზრა, სადაც წერა-კით. უცოდინართა რიცხვი 80 პროცენტს აღწევს. ყურადღება უნდა მიექცეს კულტმუშაკთა მომზადებას ამ მაზრისათვის

ამხ. გორდაძე

(თბილ. ტრამვაი)

მიუხედავათ იმისა, რომ ტრამვაელთათვის რამოდენიმე სახლი აშენდა, მათი საბინაო პირობები მაინც არ გაუმჯობესებულა. აგებული სახლები საცხოვრებლად უვარგისი გამოდგა. კომუნალურ მეურნეობათა კავშირს მონაწილეობა უნდა მიეღო როგორც სახლების გეგმის შედგენაში, ისე მათ საამშენებლო მუშაობაზე ზედამხედველობაში.

საჭიროა მოწესრიგებულ იქნეს ტრამვაის კონდუქტორთა შრომის პირობები. რვა საათის განმავლობაში მათ გამუდმებული მუშაობა უხდებათ და მცირეოდენი დრო არ რჩებათ სასაუზმო და სადილის საჭმელად. კატასტროფების დროს ხშირად აპატიმრებენ ამ კატასტროფებში სრულიად უდანაშაულო ვატმანებს. საჭიროა წინასწარ გამოირკვეს საქმე და შემდეგ დააპატიმრონ. ამით ჩვენ ავაცდენთ სასჯელს უდანაშაულო პირებს, რომელნიც თვეობით სხედან გამოსწორებელ სახლებში.

ტრამვაის წარმოებაში, რომელიც დღეს მეტად დატვირთულია შეიძლებოდა არ შემოკლებულიყო შტატები, რადგან დატვირთვა იმდენად დიდია, რომ საჭიროა სამი ცვლის შემოღება.

ამხ. ფრუიძე

(საბჭოთა და სავაჭრ. მუშაკთა კავშირი)

კავშირში წევრთა მიღების საქმეში ორ გადახრას აქვს ადგილი ერთი მხრივ კავშირში ძვრებიან ჩვენთვის სოციალურად უცხო ელემენტები, მეორე მხრივ კავშირში ვერ ხვდებიან მუშა-მოსამსახურენი, რომლებიც წარმოება-დაწესებულებებში 6—8 თვის განმავლობაში მუშაობენ. ბევრგან არა თუ კავშირის წევრებს, არამედ პროფმუშაკებს არა აქვთ წარმოდგენა იმაზე, თუ ვინ უნდა იქნეს არჩეული ადგილკომებსა და ქარხკომებში, ერთ დაწესებულებაში იყო ისეთი შემთხვევა, რომ ადგილკომში აირჩიეს არა ამ დაწესებულების მუშაკი, აირჩიეს იმ მოტივით, რომ იგი უმუშევარი იყო. ხშირად ადგილკომებში ირჩევენ პროფსაკითხების სრულიად უცოდინარ ამხანაგებს.

როცა ამა თუ იმ მუშას ან ამხანაგს აწინაურებენ, საჭიროა ამის შესახებ ერთმანეთს შეუთანხმდნენ ცენტრალური გამგეობა და ადგილობრივი კომიტეტები. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე იმას, რომ დასასვენებელ სახლში ერთ და იმავე სეზონში ერთი და იგივე პირი რამოდენიმეჯერ არ იგზავნებოდეს, რასაც ხშირად აქვს ადგილი.

ამხ. ნერსესოვი

(თბ. ახალგაზრდებს შორის მომუშავე)

ახალგაზრდობის გადასამზადებლად პროფტექნიკურ კურსების მოწყობის შესახებ რამოდენიმე დადგენილება იყო გამოტანილი, მაგრამ დღემდე ეს საკითხი მკვდარი წერტილიდან არ დაძრულა. უკანასკნელ ხანებში საწარმოო თათბირებში ახალგაზრდობა არ მონაწილეობს, არა იმიტომ, რომ არ სურს, არამედ იმიტომ, რომ მათ მიერ შეტანილი წინადადებებს ან ყურადღებას არ აქცევენ, ან მიღების შემდეგ არ ანხორციელებენ. მუშათა კლუბებთან არსებული ახალგაზრდობის სექციები ვერ მუშაობენ, რადგან მათ არა აქვთ განსაზღვრული კუთხე. ამის გამო სექცია ვერ აბამს ახალგაზრდობას კულტმუშაობაში, ამიტომ ხულიგნობა და ექსცესები ახალგაზრდობის მხრივ მატულობს.

ამხ. გოფმანი

(ბორჩალოს მაზრა)

ორატორი აღნიშნავს კვალიფიციური პროფმუშაკების ნაკლებობას სოფლად. პროფმუშაკთა დიდი ნაწილი მოუმზადებელია. მიუხედავათ ამისა, ცენტრალური გამგეობები არც თავიანთ წარმომადგენლებს გზავნიან და არც ინსტრუქტორი ჰყავთ გამოყოფილი ძირითად პროფორგანოების სახელმძღვანელოდ. კულტმუშაობა საერთოდ მოისუსტებს, განსაკუთრებით ქალთა შორის. ქალები კი ბორჩალოს მაზრაში ძალიან დაჩაგრული და ჩამორჩენილი არიან და ყველაზე მეტად საჭიროებენ ასეთ მუშაობას.

ამხ. გახარია

(ზუგდიდის მაზრა)

მილიციელთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ბევრი ლაპარაკი იყო, მაგრამ საქმით ჯერაც არაფერი გაკეთებულა. მათი ხელფასი ისევ ჩამორჩება სხვა ჯგუფებს, მოუწესრიგებელია მათი შრომის პირობები და აუტანელია საბინაო პირობები. არა აქვთ გამოსასვლელი დღეები და სხვ. ცენტრალურ გამგეობის ხელმძღვანელობა ადგ. პროფორგანიზაციებზე სუსტია. შვიდი წლის განმავლობაში ჩვენი ორგანიზაციების ერთი გამოკვლევაც არ ყოფილა, ერთხელ მოვიდა პროფსაბჭოს წარმომადგენელი, დაგვიტოვა დირექტივები და გაბრუნდა. საწარმოო თათბირებში მუშების მონაწილეობა წინ ვერ წაიწევს, თუ ხშირად ექნა ადგილი ისეთ შემთხვევას, როგორიც მოხდა ზუგდიდის მაზრაში. ზუგდიდის ხეტყის ქარხნის მუშებმა საწარმოო თათბირზე შეიტანეს რამოდენიმე პრაქტიკული წინადადება, ინჟენერ მაღლაკელიძემ ყურადღება არ მიაქცია ამ წინადადებებს და როცა მუშებმა დაჟინებით მოითხოვეს მათი გატარება, ინჟენერმა ბრძანება გასცა დაეპატიმრებიათ ისინი. სამაზრო პროფბიურომ ამის შესახებ აღძრა საკითხი პროფსაბჭოში მაგრამ ვიდრე [illegible] რამე ღონისძიებას მიიღებდა თბილისიდან ს.მ.უ. საბჭოდან მოვიდა დეპეშა, სადაც ნათქვამი იყო: ხელს ნუ უშლით და ნუ ერევით წარმოების საქმეებშიო.

ამხ. ლეკვეიშვილი

(თბილისის ახალგაზრდათა შორის მომუშავე)

ახალგაზრდების მიერ საწარმოო თათბირებზე შეტანილი წინადადებები არ ტარდება ან, თუ ტარდება ძალიან დაგვიანებით. თბილისის რკინის გზებზე 18 საქმიან წინადადებიდან შესრულებულია მხოლოდ სამი წინადადება. ახალგაზრდებს საქმიან წინადადებისათვის არც ჯილდო ეძლევათ, თუ ეძლევათ ძალიან მცირე და დაგვიანებით. არ ექცევა ყურადღება, აგრეთვე ახალგაზრდების დაწინაურებას და მათ პროფტექნიკურ მომზადებას.

ამხ. მაისურაძე

(თბ. საბ. და სავ. მუშაკთა კავშირი)

ქალთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლათ შრომის კომისარიატთან არსებულ კომისიას საანგარიშო პერიოდში თითქმის არაფერი არ გაუკეთებია. ჩვენ მას ვსთხოვეთ, რომ გამოეკვლია მემანქანე, მოლარე და დამგველ ქალების შრომის პირობები და ყოფა-ცხოვრება. მაგრამ უარი მივიღეთ. შემდეგ თვით საბ. და სავაჭრო მუშაკების კავშირი გახდა იძულებული ეს საქმე გაეკეთებია.

სალექციო მუშაობა ვერ არის სათანადოდ დაყენებული. ლექციები იმართება შემთხვევით და არ ხდება მომზადებულ ლექტორების შერჩევა. არის შემთხვევები,—როცა ლექტორად იწვევენ სრულიად უვიც პირს, რომელსაც ხშირად გაკვეთილს აძლევს თვით აუდიტორია იმის შესახებ, თუ როგორ და რა საგანზე წაიკითხოს ლექცია. ასეთი ლექტორები დაუკარგავენ ყოველგვარ ინტერესს იმ პირებსაც კი, რომელნიც ლექციებს ეტანებიან. კულტურული მუშაობის დარგში საჭიროა დავემყაროთ არა დაქირავებულ მუშაკებს, არამედ საზოგადოებრივ მუშაობას.

ამხ. გოგორიშვილი

(თბ. სახალხო კვების კავშირი)

სახალხო კვების საქმეს ჩვენი ნაკლები ყურადღება ექცევა; დღემდე სახალხო კვების საქმე კერძო კაპიტალის ხელშია. არც ცეკავშირს და არც მუშათა კოოპერაციას ამ დარგში თაოსნობა არ გამოუჩენია. სახალხო კვებას ჩვენი მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ ეხლახან გადაიდგა ნაბიჯი ამ საქმის მოსაგვარებლად. ეწყობა სახალხო კვების ტრესტი. საჭიროა ჩვენმა პროფკავშირებმა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა შექმნან საზოგადოებრივი აზრი ამ საქმის სასარგებლოდ და მასში ჩააბან კოოპერატიული გაერთიანებანი. შემდეგ ორატორი ყრილობის ყურადღებას მიაქცევს შინა-მოსამსახურეთა მდგომარეობაზე, რომელნიც დღემდე საშინელ ექსპლოატაციას განიცდიან. ორატორი მოითხოვს, რომ მოწესრიგდეს შრომის ნორმები მათთვის და დაწესდეს გამოსასვლელი დღე.

ამხ. ხუცაიძე

(კახეთის მაზრა)

სოფლად მომუშავე ინტელიგენცია ხშირად თავის ვიწრო დარგს არ სცილდება და ნაკლებ მონაწილეობას ღებულობს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათ აქტივობას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს დღეს, როცა ჩვენს წინაშე სდგას მუშაობის გაძლიერება, მოჯამაგირეებს და ღარიბ გლეხებს შორის, მათი კულტურული გათვითცნობიერების მიზნით. ერთ - ერთ პირობას სოფლის მასწავლებლობის საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმისათვის წარმოადგენს მათი ნივთიერი უზრუნველყოფა, ხელფასის გადიდება, რასაც ყრილობამ უნდა მიაქციოს ყურადღება.

ამხ. კოზლოვი

(ბორჩალოს მაზრა—ლიუქსემბურგი)

ლიუქსემბურგში კულტმუშაობას აბრკოლებს სათანადო შენობების უქონლობა, დღემდე ვსარგებლობდით ტერიტორიული ნაწილების ყაზარმებით, მაგრამ ეხლა ჩამოგვართვეს და არ მოგვეპოვება კუთხე, სადაც საკლუბო და საწრეო მუშაობის წარმოება შეგვეძლება. კონფლიქტების გარჩევა ჩვენს მაზრაში დიდი ხნით, ხშირად 8—10 თვით იგვიანებს, კონფლიქტების გამრავლებას ხელს უწყობენ ისეთი კოლხელშეკრულებანი, რომელნიც ცენტრალურ გამგეობების მიერ იდება და არ ითვალისწინებენ ადგილობრივ სპეციფიურ პირობებს. ჩვენ შრომის ნაყოფიერებასა და პროფდისციპლინას შესუსტება ემჩნევა. ლიუქსემბურგში სურსათის, განსაკუთრებით პურის ნაკლებობაა. ყურადღება უნდა მიექცეს ამ რაიონისათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდებას.

ამხ. სუკოიანი

(აფხაზეთი)

შედსანშრომის პროფორგანიზაციებს ადგილებზე ჰყავს თანამშრომელთა განსაზღვრული კადრი. უსახსრობა საშუალებას არ გვაძლევს, რომ მათი რიცხვი გავადიდოთ. ჩვენ ვცადეთ ტექნიკური და ფინანსიური აპარატის გაერთიანება, რამაც ნაყოფიერი შედეგი გამოიღო. მუშაობამ ნორმალური ხასიათი მიიღო და ღირსებითაც გაუმჯობესდა. შემდეგ ორატორი მოითხოვს მეტი ყურადღება მიექცეს მოჯამაგირეების ინტერესების დაცვას.

ამხ. გუგუჩია

(ზუგდიდის მაზრა)

ადგილებზე მეტ წილად არ ასრულებენ კოლექტიურ ხელშეკრულებებს, განსაკუთრებით ეს ითქმის იმ კოლხელშეკრულებებზე, რომელიც დადებულია მოჯამაგირეებსა და შეძლებულ გლეხებს შორის. სათემო ადმასკომები არ აქცევენ ყურადღებას მოჯამაგირეობას. მათ არ გააჩნიათ კოლხელშეკრულებათა აღსარიცხავი წიგნაკები მოჯამაგირეთათვის. მოუგვარებელია საექიმო დახმარების საქმე; პროფმუშაკთა მომზადებას აბრკოლებს მუშაკთა ხშირი გამოცვლა: როგორც კი რომელიმე მუშაკი შრომის უნარს გამოიჩენს, იგი სხვა საქმეზე გადაჰყავთ.

ამხ. კანდელაკი

(საფთიაქო მუშაკთა სექცია)

საფთიაქო მუშაკთა სექციის მუშაობა, განსაკუთრებით ადგილებზე, ძალიან სუსტია დღემდე მოგვარებული არ არის ცოცხალი კავშირი ადგილებთან, სამუშაო აპარატი ზომაზე მეტად არის დატვირთული. ტექნიკური აპარატი ცირკულიარების ბეჭდვასა და გზავნას ვერ აუდის.

რაც შეეხება სამეურნეო მუშაობას, სექციის წევრებს ყოველ წლიწადს შეაქვს წინადადება საფთიაქო საქმის რაციონალიზაციის—აფთიაქების გაერთიანების შესახებ, მაგრამ დღემდე არაფერი გაკეთებულა. საჭირბოროტო საკითხია აგრეთვე ახალგაზრდების მომზადების საკითხი ჩვენი დარგისათვის. დღემდე უსაქმოდ არის ის 16 ახალგაზრდა, რომლებმაც დაამთავრეს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაცევტიული დარგი. ამ დარგის გაუქმება უნივერსიტეტში, დიდი შეცდომაა და საჭიროა იგი ისევ გაიხსნას.

ამხ. ლისენკო (ქალი)

(თბილისი, მბეჭდავთა კავშირი)

თუ რამდენად ნაკლები ყურადღება ექცევა ქალთა დაწინაურებას, სჩანს იქიდან, რომ დაწინაურებულთა შორის ერთი ქალიც არ არის. ჩვენს წარმოებაში ორასამდე მუშა მუშაობს, აქედან ნახევარი ქალებია, მიუხედავად ამისა, ჩვენს წარმოებაში არც ერთი ქალი არ ეღირსა დაწინაურებას. თუ ქალი ოდნავ წინ წასწიეს, ხელფასს არ უმატებენ. მაგალითად, ჩვენს წარმოებაში, როცა კულტმუშაკად გამოყოფილი იყო ვაჟი, მას ჰქონდა დანიშნული 140 მანეთი, როცა იგივე საქმე ქალს დააკისრეს, ხელფასი ას მანეთამდე შეუმცირეს, კავშირის წევრები ხშირად თავიანთი კლუბებით ვერ სარგებლობენ, რადგან დაშორებულ რაიონებში სცხოვრობენ. საჭიროა მოხდეს შეთანხმება კავშირებს შორის იმის შესახებ, რომ მუშა-მოსამსახურემ ისარგებლოს იმ კლუბით, რომელიც მის ახლოს მდებარეობს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი იმ კავშირის წევრი, რომელსაც კლუბი ეკუთვნის. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ფიზკულტურის მოედნების გაფართოებას.

ამხ. სხირელი

(ქუთაისის მაზრა)

ჩვენი პროფორგანიზაციების მუშაობის ხარისხს აუარესებს პროფმუშაკთა ხშირი გადარჩევა. ვიდრე პროფმუშაკი კარგათ შეეგუება თავის მოვალეობას, მას უკვე სცვლიან. ამას ბოლო უნდა მოეღოს. რკინის გზის ორგანოები არღვევენ შრომის კანონმდებლობას, უკანონოთ ითხოვენ მუშებს, არ აძლევენ გასამრჯელოს ზედმეტი მუშაობისათვის და სხვა. მუშები სასამართლოებში ყოველთვის გამარჯვებული რჩებიან და სასამართლოს დადგენილების ძალით ისევ უბრუნდებიან სამუშაოს. რკინის გზას უხდება გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება. სხვათა შორის, ამითაც აიხსნება ის, რომ რკინის გზებს წელს 6 მილიონით მეტი დაუხარჯავს, ვიდრე ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული. შრომის კანონის დარღვევას ჩვენ იმიტომაც უნდა ვებრძოლოთ, რომ იგი ზედმეტ ხარჯებს იწვევს. უმუშევრობის წინააღმდეგ სხვა ღონისძიებებთან ერთად ჩვენ იმაზედაც უნდა ვიზრუნოთ, რომ არ ხდებოდეს მუშა ხელის დაქირავება შრომის ბირჟის გარეშე. ამას კი ხშირად აქვს ადგილი.

ამხ. ხვედელიძე

(ჭიათურა)

სამთამადნო მუშათა კავშირში უცხო, არამშრომელი ელემენტებიც ახერხებენ შესვლას ჩვენ გვაქვს რამოდენიმე შემთხვევა, როცა კავშირის წევრებათ მიუღიათ მოიჯარადრეები ვაჭრები, კერძო მრეწველნი და სხვა. კავშირმა ასეთ ელემენტებისაგან უნდა გასწმინდოს თავისი ორგანოები.

მართალია, მოჯამაგირეების შრომის დაცვის შესახებ კოლხელშეკრულება და შეთანხმება იდება დამქირავებლებთან, მაგრამ ეს უკანასკნელნი დაქირავებულ მოჯამაგირეებზე იმდენ გავლენას ახდენენ, რომ მოჯამაგირეები წინააღმდეგობას არ უწევენ, როცა მათი ინტერესები აშკარათ ილახება. საჭიროა დიდი კულტურულ- საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება, რომ მოჯამაგირეებმა შეიგნონ კერძო დამქირავებლის, როგორც მისი კლასიური მოწინააღმდეგის როლი. ორატორის აზრით, ჭიათურაში საწარმოო თათბირები ნაყოფიერათ მუშაობენ და ამ საქმეს ხელმძღვანელებიც ჰყავს ადგილზე.

ამხ. მუსტაფა ოღლი

(ბორჩალოს მაზრა, მოჯამაგირე).

მოჯამაგირეთა კომიტეტების მუშაობა ადგილებზე სუსტია. ხშირად ისინი არაფერს არ აკეთებენ და არა აქვთ გავლენა არც მოჯამაგირეებზე და არც დამქირავებლებზე. მოჯამაგირეების დიდი ნაწილი ხელფასს თავის დროზე ვერ იღებს, არც შრომის განსაზღვრული დროა დაცული მათთვის. დათხოვა სწარმოებს გაუფრთხილებლად. მოჯამაგირეთა კომიტეტი უძლურია მფარველობა გაუწიოს დათხოვნილთ.

ამხ. კალანდაძე

(რკინის გზა)

სატარიფო ქსელი რკინის გზისათვის უვარგისად არის შემუშავებული. ა. კ. რკინის გზის ხაზზე ერთი და იგივე კვალიფიკაციის მუშა ხელი იღებს სხვადასხვანაირ განაკვეთს. საჭიროა პროფსაბჭომ მიიღოს ზომები ერთი და იგივე კვალიფიკაციის მუშების ხელფასის გასათანაბრებლად. გარდა ამისა, გასული წლის დამდეგს რკინის გზის ადმინისტრაცია მუშებს დაჰპირდა პრემიალური ჯილდოს მიცემას წლის დასასრულ მან ჯილდოს გაღებაზე უარი განაცხადა, ასეთი დაპირებით ადმინისტრაცია ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების დაცემას. რკინის გზამ თავის ხარჯები წინდაწინ უნდა გაითვალისწინოს და თუ სახსარი არა აქვს, ფუჭი დაპირებები არ უნდა გასცეს. ეს სცემს ადმინისტრაციის ავტორიტეტს მუშათა მასაში.

ამხ. კაშია

(ჭიათურა)

ჩვენ მუშაკთა პროფმომზადება წინ ვერ წაიწევს, თუ სათანადო ლიტერატურა არ გამოიცა. გამომცემლობა „შრომა“-მ დაიწყო პოპულიარული პროფლიტერატურის გამოცემა, მაგრამ ამ უკანასკნელ წლებში ასეთ გამოცემათა რიცხვი შემცირა და სამაგიეროდ ხელი მიჰყო მხატვრული ლიტერატურის გამოცემას. ეს მავნე გადახრაა და უნდა გამოსწორდეს. პირველ რიგში საჭიროა „შრომა“-მ გამოსცეს სახელმძღვანელოები პროფმუშაობის საჭირბოროტო საკითხებზე.

მიმდინარე წლიდან ჭიათურა ისევ დიდ სამრეწველო რაიონად ხდება. შეიძლება ეს გარემოება ჩვენი საგეგმო-სამეურნეო ორგანოების მიერ არ იყო გათვალისწინებული და ჭიათურა არ შეიტანეს იმ გეგმაში, რომელიც ითვალისწინებს სამრეწველო რაიონებისათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდებას. ამ გარემოებას ეხლავე უნდა მიექცეს ყურადღება და მიღებულ იქნეს ზომები ჭიათურის უზრუნველსაყოფად პირველი მოხმარების საქონლით.

ამხ. მგალობლიშვილი

(რკინის გზა)

ორატორი აღნიშნავს რა ხელფასის სიჭრელეს, მოითხოვს დაწესდეს ხელფასის ერთი და იგივე ნორმები ერთი და იმავე კვალიფიკაციის მუშა-მოსამსახურეებისათვის; შემდეგ იგი ყრილობის ყურადღებას მიაქცევს ახალგაზრდების მომზადების საკითხზე. მისი აზრით, ახალგაზრდების მომზადება უნდა შეუფარდდეს წარმოების საჭიროებას და საბოლოოდ აღიკვეთოს ის შეუსაბამობა, რომელსაც დღეს აქვს ადგილი. მაგ. სამას მოწაფე-შეგირდიდან, რომელთაც ხელობა შეისწავლეს, ადგილზე მოეწყო მხოლოდ 50, დანარჩენი კი უმუშევრებათ დარჩენ.

ამხ. გაგუა

(ფოთი)

ფოთში მუშაობს გემთა შესაკეთებელი ქარხანა, სადაც 200-ზე მეტი მუშაა დასაქმებული. ამ ქარხნის კომიტეტს ბინაც კი არ მოეპოვება. უბინაობის გამო არც კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა სწარმოებს. ადმინისტრაციის წინაშე რამდენიმეჯერ აღვძარით შუამდგომლობა, რომ მუშებისთვის აეგოთ შენობა, სადაც მოთავსებული იქნებოდა სასადილო, კლუბი და სხვა კულტურული და პროფესიონალური ორგანიზაციები. ადმინისტრაციას ყოველწლიურად შეაქვს ამ შენობის ასაგები ხარჯები ხარჯთაღრიცხვაში, მაგრამ შენობის აგება მაინც არ იწყება, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ფოთის ნავთსადგურში განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ნავთსადგურის მუშებთან ხშირად სტუმრათ მოდიან უცხოელი მეზღვაურები, რომელნიც ეცნობიან და აკვირდებიან ჩვენი მუშების ყოფა-ცხოვრებას, კარგად მოწყობილი კლუბი ჩვენ დიდ სამსახურს გაგვიწევდა იმ მხრივაც, რომ საშუალება მოგვეცემოდა ფართო პროპაგანდა გვეწარმოებია უცხოელ მეზღვაურთა შორის. საჭიროა ყურადღება მიექცეს აგრეთვე სურსათ-საქონლის მომარაგებას ფოთის კოოპერატივებისათვის, თორემ ამ მხრივ ძალიან ცუდი მდგომარეობაა.

ამხ. ორჯონიკიძე

(თბ. ადგ. ტრანს. მუშათა კავშირი)

პირდაპირ გაუგებარია, რით ხელმძღვანელობდა პროფსაბჭოს სატარიფო-ეკონომიური განყოფილება, როცა მან ადგილობრივი ტრანსპორტის მუშების ერთი ჯგუფისათვის—შოფერებისა და მეეტლეებისათვის განუსაზღვრელი სამუშაო დღე დააწესა. კიდევ კარგი, რომ შოფერები უმთავრესად საბჭოთა, კოოპერატიულ, ან პარტიულ დაწესებულებათა მანქანებზე მუშაობენ, რომელთა მხრივ შეიძლება ადგილი არ ექნეს სამუშაო დღის ნორმების დარღვევას, მაგრამ სამუშაო დღის განუსაზღვრელობის პირობებში რა საშუალებით გინდათ დაიცვათ მეეტლეები და მეურმეები, რომელნიც უმთავრესად დაქირავებულ მუშა-ხელს წარმოადგენენ. ცუდ მდგომარეობაშია აგრეთვე რკინისგზის მტვირთავ მუშათა შრომის დაცვის საქმე. მუშების ეს ჯგუფი თითქმის მივიწყებულია და მონაწილეობას არ ღებულობს კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეურნეო მუშაობაში. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ისინი მიეწვიათ საწარმოო თათბირებზე. რკინისგზის ადმინისტრაციისაგან მათ უნდა მიეღოთ რამდენიმე თვის პრემიალური ჯილდო, მაგრამ დღემდე მათ კაპიკი არ მიუღიათ.

ამხ. გიორგაძე

(ბათომი)

კოლექტიურ ხელშეკრულების დარღვევისათვის ადმინისტრაციას პასუხისგებაში არ აძლევენ, როგორც ამას კანონი მოითხოვს. დიდია თუ (იშვიათ შემთხვევაში) კოლხელშ. დარღვევისათვის საყვედური გამოეცხადოს, გაივლის რამდენიმე თვე ასეთი საყვედურის გამოცხადების შემდეგ, და შრომის კანონებას დამრღვევი ადმინისტრატორები კიდევ უფრო უკეთეს თანამდებობაზე გადაჰყავთ. კავშირებმა სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ ასეთ უპასუხისმგებლო ადმინისტრატორებს.

ამხ. პოპანდოპულო

(თბილისის მაზრა, მოჯამაგირე)

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა მოჯამაგირეებს შორის არ სწარმოებს, არც კოლექტიური ხელშეკრულება იდება თავის დროზე და ისეთ ენაზე, რომელიც გასაგები იყოს, როგორც დამქირავებლისა, ისე დაქირავებულებისათვის. მუშათა კომიტეტებმა მოჯამაგირეები აღრიცხვაზე უნდა აიყვანონ არა იმიტომ, რომ აწარმოონ საწევრო გადასახადების აკრეფა, არამედ იმიტომ, რომ გააჩაღონ მათ შორის მუშაობა მათი უფლებრივი ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და გასათვითცნობიერებლად.

ამხ. ჩხიკვაძე

(რკინისგზა)

მტვირთავ მუშების ხელფასი რკინის გზაზე ძალიან ჩამორჩება რკინისგზის მუშათა სხვა ჯგუფების ხელფასს. მტვირთავი მუშები საწარმოო თათბირების გარეშე არიან დარჩენილნი. რკინისგზის ადმინისტრაცია მათ შორის არ აწყობს ამ თათბირებს იმ მოსაზრებით, თითქოს რკინისგზის მტვირთავ მუშების შრომის ხასიათი არ ეგუებოდეს რკინისგზის წარმოებას. ისინი ჩვენ არ გვეკუთვნიან და ამიტომ ვერც საწარმოო თათბირებს მოვაწყობთ მტვირთავ მუშებისთვისო. ეს შემცდარი შეხედულებაა. პროფკავშირებმა უნდა შეაცვლევინონ აზრი რკინისგზის ადმინისტრაციას და აიძულონ ის ჩააბას მტვირთავი მუშები სამეურნეო მუშაობაში. კულტმუშაობა რკინისგზაზე შესუსტდა იმიტომაც, რომ შემცირდა ამ საქმისათვის ანარიცხების პროცენტი. ეხლა ერთი პროცენტის ნაცვლად შემოღებულია ნახევარი პროცენტის გადარიცხვა. საჭიროა აღდგენილ იქნეს ანარიცხების ძველი ნორმა.

ამხ. მაისურაძე

(შრომის სახ. კომისარიატი)

ახალგაზრდათა შრომის პირობების გაუმჯობესების დარგში მთელი რიგი ღონისძიებები გატარებული. მაგრამ მაინც შესრულებული არ არის პროფკავშირთა მე-6 ყრილობის მიერ ამ საკითხის შესახებ მიღებულ რეზოლიუციის მრავალი მუხლები. განუხორციელებელია აგრეთვე საკავშირო პროფკავშირთა მე-7 ყრილობის დირექტივა ახალგაზრდებს შორის მუშაობის შესახებ. დღევანდელი ყრილობისათვის წარმოდგენილი რეზოლიუცია არსებითად წარმოადგენს წინანდელი ყრილობის რეზოლიუციის განმეორებას და არ შეიცავს ისეთ მუხლებს, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ახალ ღონისძიებებს იმ ცვლილებებთან შეფარდებით, რომელიც ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში მოხდა ახალგაზრდობის ცხოვრებაში.

ამხ. თურაზაშვილი

(გორი)

ყურადღება უნდა მიექცეს მუშკორთა დევნას, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში გაახშირეს, უმთავრესად დევნის მსხვერპლი ხდება ახალგაზრდობა, რომელიც ვერ ეგუება [illegible] და სხვა უკულმართობას საწარმოებში. ახალგაზრდების წინ წამოწევა არ ხდება იმ ხვედრით წონასთან შეფარდებით, რომელნიც ახალგაზრდობას უჭირავს წარმოებაში ჩაბმულ მუშათა მასაში. ახალგაზრდების დაწინაურება არ ხდება არც პროფმუშაობის ხაზით. ახალგაზრდა, რომელიც დარგში შრომის უნარს და ენერგიას გამოიჩენს, სხვა სამუშაოზე გადაჰყავთ. ამიტომ აქტიურ პროფმუშაკთა კადრი ახალგაზრდებს შორის არ იზრდება.

ამხ. ორჯონიკიძე

(საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირი)

სოფლად კულტურულ მუშაობის გასაჩაღებლად საჭიროა მოხდეს სოფლად მომუშავე ყველა კულტურულ ძალების მობილიზაცია. საჭიროა აღირიცხოს ყველა დარგში მომუშავე კულტურული ძალები და გამომუშავდეს მუშაობის ერთი მთლიანი გეგმა, პროფტექნიკური განათლების დარგში კავშირებმა თავიანთი მუშაობა უნდა შეუთანხმონ ერთი მხრივ სამეურნეო ორგანიზაციებს და მეორე მხრივ განათლების სახალხო კომისარიატს იმ მიზნით, რომ მომზადდეს იმდენი და ისეთი კვალიფიკაციის მუშა-ხელი, როგორც ამას ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება მოითხოვს. უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობა კავშირებს ვერ ქონდათ სათანადოთ დაყენებული. განსაკუთრებით სუსტი იყო სალექციო მუშაობა. არაა მართალი, თითქოს შეუძლებელი იყოს მილიციელთა სამუშაო დღის განსაზღვრა. მათთვის დაწესებულია 8 საათის სამუშაო დღე. განსაკუთრებულ შემთხვევის დროს მილიციელნი კი არა, ყველა მოქალაქენი ვალდებულნი არიან დადგენ რევოლიუციონურ წესრიგის სადარაჯოზე.

ამხ. ჩომახიშვილი

(სახ. შეერთების კავშირი)

პროფმუშაკების ხშირ ცვლას ადგილი აქვს ჩვენს კავშირშიდაც, რაც მეტად აფერხებს პროფმუშაობის წარმატებას. პროფკავშირთა საქმიანობაში უფრო მეტი ადგილი უნდა დაეთმოს პროტექციონიზმთან და ბიუროკრატიზმთან ბრძოლას, რადგან ამ ორ სენს მაგრათ აქვს ჯერ კიდევ ფეხი გადგმული ჩვენს სახელმწიფო, კოოპერატიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებში. სახალხო შეერთების კავშირი ერთი იმ კავშირთაგანია, სადაც ძალიან სუსტად არის დაყენებული მუშათა დაწინაურება.

ამხ. დავიდოვი

(პროფსაბჭო)

ახალგაზრდობას საწარმოო თათბირებზე სათანადო ანგარიშს არ უწევენ. მოუწესრიგებელია აგრეთვე იმ ახალგაზრდების კავშირში მიღების საქმე, რომელნიც შინა-სამრეწველო წარმოებებსა და კერძო სახელოსნოებში მუშაობენ. კავშირებს უფლება არა აქვთ თავის ორგანიზაციაში ჩარიცხონ ახალგაზრდა, რომლის მუშაობის სტაჟი ერთი წელიწადზე ნაკლებია. ამით სარგებლობენ შინა-მრეწველნი და ხელოსანი და მთელი ამ ერთი წლის განმავლობაში მოზარდთა დაუნდობელ ექსპლოატაციას ეწევიან.

ამხ. მარკმანი

(პროფსაბჭოს საორგ. განყ.)

ჩვენი პროფკავშირების გადაუდებელი ამოცანაა განმტკიცდეს ურთიერთობა ერთი მხრივ კავშირის ცენტრალურ გამგეობებსა და პროფორგანიზაციებს შორის და მეორე მხრივ ცენტრალურ გამგეობებსა და პროფსაბჭოს შორის. გარდა ამისა, საჭიროა სხვა პროფორგანიზაციებმა გამოცდილების გაცვლა-გამოცვლის მიზნით ერთმანეთს შორის მუდმივი კავშირი იქონიონ. თუ ეს ასე იქნება, მაშინ ადვილი გახდება ცენტრიდან მიღებულ სხვადასხვა დირექტივების შესწავლა-დამუშავება და მათი ცხოვრებაში გატარება. დღემდე ბევრ პროფორგანიზაციებში ცენტ. პროფსაბჭოს მიერ დაგზავნილ დირექტივების დამუშავებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. გარდა ამისა საჭიროა ყურადღება მიექცეს სამმართველოს ხარჯების შემცირებას საკავშირო ორგანიზაციებში, რომლებმაც სავსებით უნდა გაატარონ ცენტრალურ პროფსაბჭოს მიერ ამ საკითხის შესახებ გაცემული ცირკულიარი.

ამხ. ცავა

(სენაკის მაზრა)

ადგილკომები სოფლად ვერ მუშაობენ ხეირიანად. საზოგადო კრებებს არ იწვევენ და როცა იწვევენ, სვამენ ისეთ საკითხებს, რომელნიც პროფკავშირის წევრთა უმრავლესობას არ აინტერესებს.

ამხ. ალავიძე

(რკინის გზა)

სამომხმარებლო კოოპერაციას თავის მაღაზიებში არ მოეპოვება პირველ მოთხოვნილებითი საქონელი: ჩითი, თეთრეული, ფეხსაცმელი, შაქარი, ბრინჯი და სხვ. საერთოდ, სურსათი არათანაბრად არის გაანაწილებული ზოგან ჭარბათ მოიპოვება, ხოლო მეორეგან კი სრულებითაც არ არის. პროფკავშირებმა უნდა მიიღონ ზომები, რომ საქონელი პროპორციალურად განაწილდეს.

სიმართლეს არ შეეფერება პროფსაბჭოს დაბეჭდილ ანგარიშში მოყვანილი ცნობა, რომ გაფლანგვა გასულ წელს 6 ათას მანეთამდე შემცირდაო. რკინისგზაზე ორგან მოხდა გაფლანგვა, რომლის საერთო ჯამი 9.000 მანეთს უდრის. დაუნდობელი ბრძოლა გაფლანგვის წინააღმდეგ უნდა გაორკეცდეს. გაფლანგველთა შესახებ უნდა შევქმნათ ისეთი საზოგადოებრივი აზრი, როგორც წინანდელი ჟანდარმებისა და ჯალათების შესახებ იყო შექმნილი. სასჯელის მოხდის შემდეგ გაფლანგველს სამსახურში მოწყობის საშუალება არ უნდა მიეცეს.

არუთინოვი

(კომუნ. მეურ. მუშ. კავშირი)

სახლების მუნიციპალიზაციის გამო ბევრი კერძო პირი საბინაო ქირის შეღავათების მიღების მიზნით ცდილობს კავშირში მოხვედრას. მაგ. ბევრი ასეთი პირი შეიპარა საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების კავშირში.

პროფსაბჭოს კულტგანყოფილება საკლუბო მუშაობის გასაუმჯობესებლად სუსტ მუშაობას აწარმოებს. მუშათა საბინაო პირობების გასაუმჯობესებლადაც ბევრი არაფერია გაკეთებული.

ამხ. ხარჩენკო

(სოხუმი, შინა-მოსამსახურე)

შინა-მოსამსახურეთა დიდი ნაწილისათვის სამუშაო დრო დღემდე განუსაზღვრელია. 8 მანეთიან ჯამაგირში იგი ვალდებულია მთელი თვის განმავლობაში დღე და ღამე ემსახუროს დამქირავებელს, არც მათი დაზღვევის საქმეა მოწესრიგებული. ბევრი პასუხისმგებელი პირი იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილოს შინა-მოსამსახურის დასაზღვევი ანარიცხები, ფარავს თავის რეალურ ხელფასს. ცუდათ არის დაყენებული კულტურული მუშაობა შინა-მოსამსახურეთა შორის. ადგილი აქვს აგრეთვე დიდ განსხვავებას ერთი და იმავე კვალიფიკაციის პირის ხელფასში.

ამხ. თურქია

(საბჭოთა და სავაჭრო მუშ. კავშირი)

ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ეკონომიური მუშაობა, რომელიც უნდა გააძლიერონ ჩვენმა პროფორგანიზაციებმა. მათვე მიზნათ უნდა დაისახონ საფინანსო დისციპლინის განმტკიცება. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სხვადასხვა კავშირის წევრთა უფლებების გათანასწორობას. მაგ., სავაჭრო და საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეთა შვილები სკოლებში იმავე შეღავათებით უნდა სარგებლობდნენ, როგორც განათლების და მედსანშრომის მუშაკთა შვილები.

ამხ. სტავინსკი

(საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირი)

ჩვენი მთავარი ლოზუნგი—მასებთან დაახლოვება სუსტად ტარდება. თუ ამ ყრილობის წევრთა ანკეტებს გადავათვალიერებთ, დავრწმუნდებით, რომ პროფაქტივის ერთინახევარი დატვირთულია სხვადასხვა ხასიათის პროფმუშაობით. ამავე დროს აუარებელია იმ მუშებისა და მოსამსახურეების რიცხვი, რომელნიც ამ მუშაობაში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ. ამ მოვლენას ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენი პროფსაბჭოს მეორე დიდი ნაკლია კულტმუშაობის კერძოთ, საექსკურსიო, სალექციო და საბიბლიოთეკო მუშაობის სისუსტე. იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირიდან ჩვენში ეწყობა ურიცხვი ექსკურსიები, ჩვენი ექსკურსიების რიცხვი საქართველოს გარეთ ორ-სამს არ აღემატება. ექსკურსიები უნდა მოეწყოს არა ერთხელ სეზონის განმავლობაში, არამედ რამდენიმეჯერ ცალ-ცალკე ჯგუფებად. პირდაპირ საოცარია, როცა პროფსაბჭოს სალექციო მუშაობის სისუსტეს, ქართულ ენაზე წაკითხულ ლექციების სიმცირეს ხსნის ლექტორთა ნაკლებობით. ნუ თუ თბილისში, სადაც სახელმწიფო უნივერსიტეტი და აუარებელი კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებაა, არ შეიძლება ქართულის მცოდნე ლექტორთა გამოძებნა?

ამხ. თალაკვაძე

(საქ. პროფსაბჭო)

ახასიათებს ქალთა შორის მუშაობას უკანასკნელ წლებში, აღნიშნავს ქალთა აქტიობის ზრდას, მომზადებულ ქალთა კადრის ჩამოყალიბებას და ჩამოსთვლის ღონისძიებებს, რომელიც მიღებული უნდა იქნეს ქალთა შორის მუშაობის გასაღრმავებლად.

ამხ. საკიანი

(ვაჭრობის სახკომისარი)

ამხ. საკიანი ეხება პურის ბაზრის მდგომარეობას და არკვევს იმ მიზეზებს, რომლებიც პურის ნაკლებობას იწვევს. პურის შემცირების ერთი მთავარი მიზეზი არის ის გარემოება, რომ გლეხობამ ომის წინა დროსთან შედარებით გაადიდა პურის ხარჯი თავის საკუთარი საჭიროებისათვის. ამის გამო პური ბაზარზე არ გამოდის იმ რაოდენობით, როგორც გამოქონდათ მემამულეებს, რომელნიც იჯარითა და დაქირავებული შრომით ამუშავებდნენ იმ ველებს, რომელიც ეხლა გლეხობას აქვს გადაცემული. პურის ნაკლებობის მეორე მიზეზი არის ის, რომ წელს პურის კარგი მოსავალი იყო სწორეთ იმ რაიონებში, რომლებიც ა.-კ. დაშორებულნი არიან. (ციმბირი და სხვ.), ტრანსპორტის დატვირთვის გამო, ამ შორეული რაიონებიდან პურის თავის დროზე მიზიდვა გვიანდება. მიუხედავად ამისა, პურის შემოზიდვა ა.-კ. რესპუბლიკებში მიმდინარე წელს არა თუ შემცირდა, არამედ გადიდდა კიდეც. თუ ნაკლებობას აქვს ადგილი, ეს იმიტომ, რომ ქალაქებს გარდა შემოზიდულ პურს ხმარობს ქალაქის მახლობლად მდებარე რაიონები, თბილისიდან ყოველდღიურად რამდენიმე ასი ფუთი პური გააქვთ გლეხებს და აგრეთვე კერძო მევახშეებსაც, რომლებიც პურს მეტ ფასში ყიდიან. ვაჭრობის კომისარიატისაგან უკვე მიღებულია ზომები სიმინდის შესაძენად იმ რაიონებისათვის. სადაც წელს მოუსავლობა იყო. ეს ღონისძიება შეამცირებს პურის გატანას ქალაქიდან. მეორე მხრივ მიღებულია ზომები იმ პურის მარაგის გასანაწილებლად, რომელიც ყოველდღიურად ცხვება. ამ მიზნით გადაწყვეტილია მსხვილი საწარმოო დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებისათვის მოეწყოს გამომცხვარი [illegible] განაწილება. ეს ღონისძიება მოსპობს რიგებს პურის სავაჭრო დუქნებთან.

ამხ. შენგელაია

(შავი ზღვის რკინის გზა)

ორატორი ეხება შავი ზღვის რკინისგზის მუშათა მდგომარეობას და ამბობს, რომ მათი ხელფასი ჩამორჩება ა. კ. რკინის გზის მუშათა ხელფასს. შეღავათებიც ნაკლებია, ვიდრე დანარჩენ რკინის გზელებს არ ეძლევათ აგრეთვე სპეცტანისამოსი და სხვა. მოითხოვს შავი ზღვის რკინის გზელთა უფლებების გათანასწორებას ა. კ. რკინის გზელებთან.

ამხ. არაქელოვი

(თბილისი)

მოითხოვს, რომ ადგილკომებმა იზრუნონ თავის წევრების უზრუნველსაყოფად სურსათ სანოვაგით, შეშით, ბინით და სხვ.

ამხ. გეგენავა

(პროლეტ. სტუდენტთა ბიურო)

სამეურნეო ორგანიზაციები და აგრეთვე პროფკავშირები გულგრილად ეკიდებიან სტუდენტობის პრაქტიკისა და სტაჟის საკითხს, რადგან მათ საკმაოთ გათვალისწინებული არა აქვთ პრაქტიკისა და სტაჟის მნიშვნელობა.

სამეურნეო დაწესებულებები სტაჟისა და პრაქტიკის მისაღებათ გაგზავნილ სტუდენტს აწყობენ არა ისეთ სამუშაოზე, რომელიც სტუდენტებს საწარმოო გამოცდილებას მისცემს, არამედ საკანცელარიო სამუშაოებზე. პროფკავშირებმა ამას ბოლო უნდა მოუღოს.

ამხ. აფხაიძე

(ქუთაისი)

ადგილობრივ პროფორგანიზაციებს ზემდგომი ორგანიზაციების მხრით უფრო მეტი ხელმძღვანელობა ესაჭიროება. ცოცხალი კავშირი ადგილებთან, სათანადო ახსნა-განმარტების მიცემა აუცილებელია იმისათვის, რომ ძირითად უჯრედებმა შესძლონ თავიანთ წევრებს შორის შრომის დისციპლინის განმტკიცება, სამეურნეო მუშაობის გაძლიერება, კულტურული დონის ამაღლება.

ამხ. სტეფანოვი

(ბათომი)

კავშირებმა უნდა იზრუნონ მუშათა საბინაო მშენებლობის გასაძლიერებლად, უმუშევრობის მოსასპობად. შრომის პირობების დასაცავად და ყოფა-ცხოვრების ძველი ფორმების აღმოსაფხვრელად. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს ლოთობასთან ბრძოლას, რადგან ლოთობაა მთავარი მიზეზი შრომის ნაყოფიერების დაცემის, სამუშაო დღეების გაცდენის და კულტურული ჩამორჩენილობის.

ამხ. მინასი

(საბ. და სავ. მუშ. კავშირი)

ზოგიერთ ადგილკომებს დღემდე ვერ შეუგნიათ ის, რომ მათ არა აქვთ უფლება საზოგადო კრების დაუკითხავად კავშირში ჩარიცხონ ესა თუ ის პირი. თუ დღეს ადგილი აქვს უცხო ელემენტების გაძრომას კავშირში, ეს აიხსნება იმით, რომ ცალკე ადგილკომები არღვევენ წესდების იმ მუხლს, რომლის თანახმად წევრათ მიღების საქმეში უფლებამოსილია მხოლოდ წევრთა საზოგადო კრება.

ამხ. მინასის სიტყვით დამთავრდა კამათი ამხ. მაჩაიძის მოხსენების გარშემო.

ყრილობის დღიური

— 23 ნოემბრის დილისა და საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი პროფსაბჭოს მუშაობის გარშემო. კამათი დამთავრდა. მონაწილეობა მიიღო 52 დელეგატმა.

— დილის სხდომის დასასრულ ყრილობამ მოისმინა აზერბეიჯანის პროფსაბჭოს მისალმება.

— საღამოს სხდომის შემდეგ დელეგატებს უჩვენეს სურათი „ელისო“

— დღეს დილის სხდომაზე მოსმენილ იქნება ამხ. მაჩაიძის საბოლოო სიტყვა და ამხ. ს. თოდრიას მოხსენება შრომის სახალხო კომისარიატის მუშაობის შესახებ.

ორშაბათს, 26 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე აგიტპროპმუშაკის ცენტრალურ კაბინეტში (შესავალი რუსთველის თეატრის ეზოდან)

შესდგება

ამხ. ასრიბეკოვის საინსტრუქციო მოხსენება

ყველა ტიპის პარტიული და კომკავშირული პარტსკოლების ხელმძღვანელებისა და პროპაგანდისტებისათვის

შემდეგ თემაზე:

ბრძოლა მემარჯვენე საფრთხესთან

ყველა პროპაგანდისტის გამოცხადება სავალდებულოა

მემარჯვენე გადახრა, როგორც მთავარი საფრთხე ჩვენს პარტიაში

კომუნისტური ინტერნაციონალის მეექვსე კონგრესმა მთავარ საფრთხეთ გამოაცხადა მემარჯვენე გადახრა და მოუწოდა თავის სექციებს დაუზოგავი ბრძოლა გასწიონ მის წინააღმდეგ. ეს გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, ეხებოდა არა მარტო დასავლეთ-ევროპის და ამერიკის პარტიებს, არამედ ჩვენს პარტიასაც. მემარჯვენე საფრთხეს ადგილი აქვს საკავშირო პარტიაშიც.

მეექვსე კონგრესი აღნიშნავდა, რომ ტროცკისტული ოპოზიციის დანგრევის შემდეგ ბრძოლის ცეცხლი უნდა მიიმართოს უმთავრესათ მემარჯვენეების წინააღმდეგ. თუ ეს დებულება სწორია რომელიმე სექციისათვის, ის სწორია აგრეთვე ჩვენი საკავშირო პარტიისათვისაც, რადგან „ჩვენი“ ტროცკისტული ოპოზიცია, დღეს განდევნილი პარტიის რიგებიდან, ასულდგმულებდა და ხელს უწყობდა საერთაშორისო ტროცკიზმის პირობებს და მუშაობას.

ამიტომ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მემარჯვენე საფრთხე არსებობს სადღაც კანადაში ან ავსტრალიაში და ჩვენში კი არა.

სწორედ ასეთი შეცდომა დაუშვა მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის ზოგიერთ ხელმძღვანელებმა. მოსკოვის კომიტეტის მიმართვაში ორგანიზაციის წევრებისადმი არაფერი არ იყო ნათქვამი მემარჯვენე საფრთხის შესახებ. მიმართვის ავტორებმა გამოიჩინეს ერთგვარი **მერყეობა და შემარიგებლობა** მემარჯვენე ელემენტებთან. მათ ვერ გაიგეს, რომ კომინტერნის დადგენილება ეხებოდა აგრეთვე საკავშირო კომპარტიასაც. მათ ხაზი არ გაუსვეს მემარჯვენე საფრთხეს, როგორც მთავარ საფრთხეს.

ამ გარემოებას არ შეეძლო არ გამოეწვია უკმაყოფილება მოსკოვის რაიონულ ორგანიზაციებში. ასეთ უკმაყოფილებას ქონდა ადგილი რაიონულ აქტივების კრებებზე. ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტმა მოსკოვის ორგანიზაციისადმი სპეციალურ მიმართვაში გარკვევით აღნიშნა ამ უკმაყოფილების მიზეზები. „ეს უკმაყოფილება, — ნათქვამია ცეკას მიმართვაში, დაიწყო მოსკოვის კომიტეტის და საკონტროლო კომისიის სექტემბრის გაერთიანებულ პლენუმის შემდეგ, რადგან პლენუმის რეზოლიუციაში ვერ ნახა შესაფერი ნათელი გამოხატულება მე-6-ე კონგრესის და ცეკას პლენუმის დადგენილებებმა მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“.

შეცდომა მოსკოვის ორგანიზაციის ზოგიერთი ხელმძღვანელებისა მდგომარეობდა, მაშასადამე, იმაში, რომ მათ სათანადოთ ვერ დააფასეს მემარჯვენე საფრთხის სერიოზულობა ჩვენს პარტიაში, გვერდი აუარეს კომინტერნის დადგენილებას. ეს შეცდომა ეხლა, რა თქმა უნდა, გამოსწორებულია. მოსკოვის კომიტეტმა შესძლო ხაზის სავსებით გამოსწორება რაიონული ორგანიზაციების და ცეკას დახმარებით. ეხლა ადგილი აღარ აქვს შემარიგებლობას და მერყეობის ტენდენციებს მოსკოვის ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოში.

მაგრამ ჩვენ მაინც გვმართებს სწავლა ამ შეცდომებზე. ჩვენ უნდა გავერკვეთ ამ შეცდომის მიზეზებში და მეტად მავნე შედეგში. მხოლოდ მაშინ იქნება ჩვენი ბრძოლა მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ უფრო ნაყოფიერი.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ მემარჯვენე გადახრაზე, ჩვენს პარტიაში, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ მემარჯვენე გადახრას ადგილი აქვს პროლეტარიატის დიქტატურის, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. ეს გარემოება ნაწილობრივათ ანსხვავებს მემარჯვენე გადახრებს სხვა სექციებში იმ გადახრისაგან, რომელსაც ჩვენში აქვს ადგილი.

რაშია თავისებურობა და საფუძველი მემარჯვენე საფრთხისა ჩვენში? სად უნდა ვეძიოთ წყარო მემარჯვენე პარტიული გადახრისა?

ამხ. ლენინმა ამ კითხვაზე თავის დროს გარკვეული პასუხი გასცა. საფუძველი მემარჯვენე გადახრისა უნდა ვეძიოთ წვრილ წარმოების არსებობაში და ამ წვრილ წარმოების ნიადაგზე კაპიტალისტური ელემენტების ზრდაში. მუშათა კლასი არ არის ჩამოშორებული გლეხობისაგან, წვრილ - ბურჟუაზიულ მასებისაგან ჩინური კედლებით. წვრილი მწარმოებლები გარს ეკვრიან პროლეტარიატს ყოველ მხრიდან, ახდენენ მასზე ერთგვარ ზეგავლენას, იწვევენ მასში წვრილ - ბურჟუაზიულ უხასიათობის რეციდივებს, ინდივიდუალიზმს და სხვ. ამრიგათ, ეს ზეგავლენა აღწევს პარტიის რიგებამდისაც. ამ ზეგავლენის ქვეშ ექცევიან ზოგიერთი ჯგუფები პარტიისა, რომლებიც პარტიის შიგნით, შეუგნებლათ და უნებლიეთ ატარებენ კლასიური მტრების თვალსაზრისს და ხაზს.

ასეთია ლენინის შეხედულება ჩვენში გადახრების წარმოშობის მიზეზების შესახებ.

მაგრამ ჩვენს წინაშე ისმება ასეთი საკითხი: რატომ წამოიჭრა ეს მემარჯვენე საფრთხე ჩვენს წინაშე სწორედ უკანასკნელ ხანებში? ნუ თუ მას ადგილი არ ჰქონია უწინ?

რა თქმა უნდა, მემარჯვენე გადახრებს და შეცდომებს უწინაც ჰქონდა ადგილი. მაგრამ ეხლა ეს გადახრები გაცილებით უფრო სერიოზულ ხასიათს ატარებენ. აიხსნება ეს გარემოება იმით, რომ კაპიტალისტური ელემენტები ჩვენში ახალი ეკონომიური პოლიტიკის ნიადაგზე მოძლიერდენ და გადმოვიდენ შეტევაზე ჩვენს წინააღმდეგ. პურის დამზადების კრიზისმა ნათელჰყო, რომ კაპიტალისტურ ელემენტები საგრძნობლათ გაიზარდენ და შეეცადენ გამოიყენონ ეს კრიზისი თავისი მიზნებისათვის.

ამ მდგომარეობას არ შეეძლო ერთგვარი ზეგავლენა არ მოეხდინა ჩვენი პარტიის ზოგიერთ წრეებზე. სწორედ ამ ზეგავლენის შედეგია ის მემარჯვენე გადახრა, რომლის წინააღმდეგ დღეს ჩვენი პარტია დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებს.

მემარჯვენე გადახრა კომუნისტური ინტერნაციონალის სხვა სექციებში აიხსნება კაპიტალიზმის დროებითი სტაბილიზაციით შექმნილი მდგომარეობით და სოციალ - დემოკრატიის ზეგავლენით. ჩვენში ეს გადახრა აიხსნება წვრილი წარმოების არსებობით და მის ნიადაგზე კაპიტალისტური ელემენტების ზრდით. ეს განსხვავება მხედველობაში უნდა გვქონდეს, როდესაც მემარჯვენე გადახრებზე ვლაპარაკობთ.

რატომ არის საშიში ეს მემარჯვენე გადახრა ჩვენში? რატომ გამოაცხადა ის მეექვსე კონგრესმა და პარტიის ცეკამ მთავარ საფრთხეთ?

საქმე იმაშია, რომ ჯერ კიდევ არ მოსპობილა **შესაძლებლობა** კაპიტალიზმის აღდგენისა, ძველი წყობილების რესტავრაციისა საბჭოთა კავშირში. ჩვენი საზოგადოება არის **გარდამავალი** საზოგადოება. კლასები განაგრძობენ არსებობას. მართალია, ოქტომბრის რევოლიუციამ დაანგრია ბურჟუაზიის და მემამულეების ძლიერება, მაგრამ ამით სავსებით კი არ მოუსპარა კლასები. მოისპო კლასი კაპიტალისტებისა და მემამულეებისა. მაგრამ დარჩა კლასი პროლეტარებისა და წვრილი მწარმოებლებისა.

წვრილი წარმოების ნიადაგზე იზრდება ახალი ბურჟუაზია, ახალი კაპიტალისტური ელემენტები. ამ პროცესს ადგილი ქონდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის ხანაში. სხვანაირათ არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ამ გარემოებისათვის არა ერთხელ გაუსვამს ხაზი ამხ. ლენინს. ის ამბობდა, რომ წვრილი წარმოება „შობს კაპიტალიზმს და ბურჟუაზიას მუდმივათ, ყოველდღიურათ, ყოველ საათში სტიქიურათ და მასიურ მასშტაბში“.

ჩვენში არის საფრთხე და შესაძლებლობა კაპიტალიზმის რესტავრაციისა, რადგან ჯერ კიდევ არსებობს საამისო ობიექტიური პირობები, რადგან ჩვენ ჯერ კიდევ სავსებით ვერ ამოგვითხრია ფესვები კაპიტალიზმისა. „სანამ ჩვენ ვცხოვრობთ წვრილ - გლეხურ ქვეყანაში, ამბობს ლენინი, მანამდის კაპიტალიზმს რუსეთში აქვს უფრო მაგარი საფუძველი, ვიდრე კომუნიზმს. ეს უნდა დავიმახსოვროთ. ყველამ, ვინც ყურადღებით ეპყრობოდა სოფლის ცხოვრებას, ქალაქის ცხოვრებასთან შედარებით, იცის რომ ჩვენ კაპიტალიზმის ფესვები ვერ ამოვთხარეთ და ფუნდამენტი, საფუძველი ჩვენს შინაგან მტერს ვერ დავუნგრიეთ“.

აქ ნათლათ არის ნათქვამი, რომ სანამ წვრილი წარმოება არ შეიცვლება მსხვილ კოლექტიურ წარმოებათ ელექტროფიკაციის ნიადაგზე, მანამ ჩვენში კაპიტალიზმი ძლიერი იქნება, მანამ იქნება საფრთხე მისი ხელახალი აღდგენისა.

სწორედ ასეთი ეკონომიური გარემოება ხდის მემარჯვენე საფრთხეს სერიოზულ საფრთხეთ. მემარჯვენე გადახრა ჩვენს პარტიაში, კაპიტალისტური ელემენტების ზრდის დროს, წარმოადგენს მეტად საშიშარ გადახრას, რადგან ის ხელს უწყობს ამ ზრდას, ნაცვლად მის წინააღმდეგ ბრძოლისა. მემარჯვენე გადახრა ასეთ პირობებში შესუსტებს პროლეტარიატის ძლიერებას, ხელს შეუშლის სოციალისტური მშენებლობის წარმატების საქმეს.

ეს იციან ჩვენმა მტრებმა. მათ იციან, რომ მემარჯვენეების ასეთი მუშაობა წყალს ასხამს მათ წისქვილზე, აბრკოლებს და აძნელებს სოციალიზმის მშენებლობას. ამიტომ არის, რომ ისინი ესალმებიან ჩვენს პარტიაში ამა თუ იმ გადახრას. განსაკუთრებით მხურვალეთ ესალმებიან ისინი მემარჯვენე გადახრას და მასზე ამყარებენ თავიანთ უკანასკნელ იმედებს.

ავიღოთ მაგალითად ცნობილი ოტტო ბაუერის გაზეთი **„არბაიტერ-ცაიტუნგ“**, რომელიც ვენაში გამოდის. ეს გაზეთი აღფრთოვანებულია მემარჯვენე გადახრით და მას ქებათა-ქებას ასხამს. აი მაგალითად რას ამბობს ეს გაზეთი მემარჯვენე ოპოზიციის შესახებ: „ახალი ოპოზიცია **არსებითად რეალისტური და პროგრესიულია; მას** უნდა გადაარჩინოს რევოლიუციის ნამდვილი და ხანგრძლივი შედეგები იდეოლოგიურ **რევოლუციონური რომანტიკის უკუგდებით, სამეურნეო სინამდვილესთან შეხამება-შერიგებით.** ამიტომ ამ ოპოზიციის დიდხანს ჩახშობა არ შეიძლება არავითარი ღონისძიებებით, რადგან აუცილებლობანი სამეურნეო ცხოვრებისა ბოლოს და ბოლოს გზას გაიკაფავენ მიუხედავათ სხვადასხვა ილიუზიების და ტრადიციების წინააღმდეგობისა“.

რა მშვენიერი სანახაობაა? ოტტო ბაუერი და სხვა ავსტრიელი მენშევიკები მემარჯვენე ოპოზიციის დამცველის როლში!

ეს ფაქტი აშკარად ღაღადებს, თუ ვისთან გვაქვს ჩვენ საქმე მემარჯვენე გადახრის სახით. მენშევიკები ესალმებიან ამ გადახრას, კვლავ და კვლავ გაჰკივიან ბოლშევიზმის და პროლეტარიატის დიქტატურის დანგრევის აუცილებლობაზე და სხვა.

მენშევიკების მიერ მემარჯვენე გადახრის დაცვა, მის რეალისტურ და პროგრესიულ მიმდინარეობათ გამოცხადება თავის თავად აშკარა დამამტკიცებელია იმის, რომ ეს მიმდინარეობა უახლოვდება მენშევიზმს. ეს კიდევ ერთი ზედმეტი **საბუთია** იმის, რომ **მთავარი** და **სერიოზული** საფრთხე დღეს ჩვენთვის **მემარჯვენე** გადახრაა.

ტროცკისტული ოპოზიცია სასტიკად დამარცხებული და განდევნილი იქნა პარტიის რიგებიდან. რა თქმა უნდა მის წინააღმდეგ ბრძოლა შენელებული არ უნდა იქნას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ტროცკისტები არ უშვებენ არც ერთ შემთხვევას შეტევაზე გადმოვიდენ ჩვენი პარტიის წინააღმდეგ.

ბრძოლა ტროცკიზმის წინააღმდეგ განგრძობილ უნდა იქნას. მაგრამ ტროცკიზმი დღეს არ წარმოადგენს ჩვენთვის ისეთ საფრთხეს, როგორც მემარჯვენე გადახრა. ტროცკიზმის ბუნება ნათელია მუშათა ფართე მასებისათვის. მათ „მემარცხენე“ ფრაზეოლოგიას არ შეუძლია დღეს ვინმე შეცდომაში შეიყვანოს. მათ კონტრრევოლიუციონურ მუშაობას პროლეტარიატი იცნობს.

იგივე არ შეიძლება ითქვას მემარჯვენე გადახრაზე. ჯერ ბევრი ჩვენთაგანი სერიოზულათ არ დაფიქრებულა იმაზე, თუ როგორი ხასიათის საფრთხესთან გვაქვს ჩვენ საქმე მემარჯვენე გადახრის სახით. ზოგიერთები ფიქრობენ, თითქოს აქ რაიმე „სკლოკა“ იყოს. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია. დღეს ყოველმა ჩვენთაგანმა უნდა იცოდეს თუ რას წარმოადგენს მემარჯვენე გადახრა. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ტროცკისტულ საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად ვაწარმოოთ კიდევ უფრო სასტიკი ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან და მივიღოთ ყოველგვარი ზომები, რომ ამ გადახრის საფრთხე ისევე ნათელი გახდეს პარტიისათვის, როგორც მისთვის ნათელია ტროცკისტული საფრთხე (სტალინი).

ჩვენი მთავარი ყურადღების და ბრძოლის საგანი ეხლა უნდა იყოს სწორედ მემარჯვენე საფრთხე. ამასთან ერთად ჩვენ უნდა ვაწარმოოთ დაუზოგავი ბრძოლა **შემარიგებლებთან**, რომლებიც ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მემარჯვენე საფრთხე არ არსებობს და რომ მის წინააღმდეგ სერიოზული ბრძოლის წარმოება საჭირო არ არის. ასეთ შემარიგებელ ელემენტებთან ბრძოლა ისევე საჭიროა, როგორც მემარჯვენე ელემენტებთან.

რაში გამოიხატება ეს მემარჯვენე გადახრა ჩვენში? როგორია მემარჯვენეთა ხაზი მთელ რიგ რთულ და დიდ საკითხებში? მისაღებია თუ არა მათი რჩევა-დარიგებები?

ამ საკითხებზე ჩვენ შევჩერდებით ცალკე წერილებში.

ქ. ორაგველიძე.

საზოგადოება „წერა-კითხვა"-ს კვირეული

რესპუბლიკაში ერთი კაციც არ უნდა დარჩეს წერა-კითხის უცოდინარი

მუშებო, გლეხებო, წითელ-არმიელნო და ყველა მშრომელნო

წერა-კითხვის უცოდინარობა ერთი იმ მძიმე ტვირთთაგანია, რომელიც ფართო მასების სიბნელეზე აგებულმა ძველმა რეჟიმმა დაუტოვა ახალ ცხოვრებისა და სოციალისტურ აშენებლობისათვის მებრძოლ მუშათა კლასს. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშე შეუძლებელია წინსვლა და წარმატებითი მუშაობა უკეთესი მომავალისათვის. ამიტომ, კულტურულ რევოლიუციის პირველი და გადაუდებელი ამოცანაა წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა, განათლების ჩირაღდანის ხალხში გატანა, მუშებისა და გლეხების კულტურული დონის ამაღლება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ახალი ქვეყნის შექმნა, მხოლოდ ამ გზით შეიძლება საბოლოო მიზანთან—კომუნიზმთან მიახლოვება.

რამდენად დიდი და მნიშვნელოვანია ეს ამოცანა, რამდენათაც სადღეისო და გადაუდებელია წერა-კითხვის მშრომელთა ფართო მასებში გავრცელება, იმდენათ ძნელია მისი განხორციელება, იმდენად მრავალია ამ გზაზე წამოჭრილი დაბრკოლება. მიუხედავად იმისა, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად დიდი ენერგია და საშუალებები იხარჯება, მას ჯერ კიდევ ფართედ და მაგრად აქვს ფეხი მოკიდებული ის ერთგვარ სტაბილიზაციას იჩენს.

ამხანაგებო, რამდენათ ძლიერი და ჯიუტია ეს მტერი, რომელსაც სიბნელე და უცოდინარობა ეწოდება, იმდენათ დაუნდობარი და შეუდრეკელი უნდა იყოს მის წინააღმდეგ ბრძოლა. უცოდინარობის ბუდე უნდა დაინგრეს, ხალხის უბედურების წყარო — უვიცობა უნდა მოისპოს.

ასეთი უნდა იყოს დღეს ჩვენი ლოზუნგი და მთელი კავშირის მასშტაბით, მთლიანი ფრონტით, უნდა გაჩაღდეს გაასკეცებული ენერგიით მუშაობა განათლებისათვის, წერა-კითხვისათვის, კულტურულ რევოლიუციისათვის.

საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობისათვის, ამ მიზანს ემსახურებიან პოლიტგანი და მთელი რიგი ორგანიზაციები, რომლებიც მთავრობისაგან იღებენ ნივთიერ სახსარს. მაგრამ იმდენად ფართედაა გავრცელებული ეს ბოროტება, რომ მისი დაძლევა უეჭველად მოითხოვს მშრომელი მასის ინიციატივას, მის როგორც ორგანიზაციულ, ისე ნივთიერ ჩარევას საქმეში. ყოველმა შეგნებულმა მუშამ, გლეხმა, წითელ-არმიელმა, მშრომელმა ინტელიგენტმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ამ დიდ საზოგადოებრივ უბედურებასთან ბრძოლაში, რომლისთვისაც მარტო სახელმწიფო თანხები არ კმარა.

საქართველოში წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოება „წერა-კითხვა" მოგმართავთ თქვენ, მუშებო, გლეხებო, წითელ-არმიელნო და მშრომელო ინტელიგენციავ, დაეხმაროთ ამ საზოგადოებას. თქვენი ინიციატივა, თანაგრძნობა და დახმარება უეჭველი გარანტიაა იმისათვის, რომ შეერთებული ძალით და ენერგიული ზომებით ჩვენ შევსძლებთ სიბნელის მოსპობას და მით ხელს შეუწყობთ ჩვენი კავშირის წინსვლას კომუნიზმის გზაზე.

კვირეულის ჩამტარებელი ცენტრალური კომისია.

ამხ. ლენინის ანდერძი უნდა შევასრულოთ

რომანოვების მონარქიული წესწყობილება რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში თავის ბატონობას მუშების და გლეხების სიბნელით, უვიცობით და წერა-კითხვის უცოდინარობით ამაგრებდა. ძველი მთავრობისათვის არ იყო ხელსაყრელი მუშებს და გლეხებს რამე ესწავლათ, ქვეყნის ავ-კარგი გაეგოთ. ძველი მთავრობა იმაზე ფიქრობდა, როგორ დაეტოვებია სიბნელეში და უვიცობაში მუშები და გლეხები. უვიცობა, შეუგნებლობა, ღმერთი, ეკლესია, ხატი, ჯვარი, აი რას ავრცელებდა ძველი მთავრობა. თვითმპყრობელ მეფეებს რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში სიბნელეში ჰყავდა ჩაჭედილი რუსეთის მუშები და გლეხები. კიდევ უფრო მეტად შევიწროვებული და დაჩაგრული ყავდათ რუსეთის განაპირა ქვეყნებში დასახლებული სხვადასხვა ეროვნების მუშები და გლეხები („ინოროდცები"). თვითმპყრობელი მეფე, რომელიც სიბნელის და უვიცობის მოციქულად ითვლებოდა თავის საკუთარ ქვეყანაში, თავის ქვეყნის გარეშედაც დაუზოგველათ და შეუბრალებლად სდევნიდა სხვა ერების კულტურას, არ აძლევდა მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის სწავლების, განათლების უფლებას.

დიდი ბელადის ამხ. ლენინის ხელმძღვანელობით მუშათა კლასის მიერ გამოჭედილმა ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ 11 წლის წინად ისტორიის არქივში გადაისროლა ბნელეთის მოციქულები. მუშების და გლეხების ეკონომიური ჩაგვრის და მონობის დამხობასთან ერთად, ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ დედამიწის ერთი მეექვსედის სივრცეზე დაამხო და მოსპო ეროვნული ჩაგვრა და ყველა ეროვნების ხალხს სრული უფლება მიანიჭა თავის მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის სწავლის და განათლების. ძველი წესწყობილებას თავის არსებობის შესანარჩუნებლად ესაჭიროებოდა მუშების და გლეხების უვიცობა, სიბნელე. ჩვენს მთავრობას, პირიქით, ესაჭიროება მუშების და გლეხების რაც შეიძლება მეტი შეგნება და გათვითცნობიერება.

ოქტომბრის დიდი რევოლიუციის ბელადმა ამხ. ლენინმა ძველი წესწყობილების დამხობის პირველ დღეებშივე საჯაროთ მოგვიწოდა ყველას განსაკუთრებული ყურადღება მიგვექცია მუშების და გლეხების განათლება-გათვითცნობიერების საქმისათვის და გადამჭრელი ზომები მიგვეღო იმისათვის, რომ არამც თუ გლეხების და მუშების შვილები, არამედ სკოლის ჰასაკს გადასული არც ერთი მუშა და გლეხი არ უნდა დაგვეტოვებია წერა-კითხვის უცოდინარი. ეს მოწოდება არ დარჩენილა გამოუხმაურებლათ. ამჟამად საბჭოთა დიდ კავშირში შემავალი ყველა რესპუბლიკების სოფლებში და ქალაქებში უხვათ არის გაბნეული სკოლები, სამკითხველოები. სკოლის ჰასაკს გადასული გლეხების და მუშებისათვის ბევრ ადგილას გვაქვს მოწყობილი წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები და სხვა კიდევ ბევრი საგანმანათლებლო-კულტურული დაწესებულებანი, მაგრამ, მიუხედავათ ყოველივე ამისა, წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაციისათვის ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით—რათა ხელი შეეწყოს ჩვენში სკოლის ჰასაკს გადასული გლეხების და მუშების წერა-კითხვის უცოდინარობის დაჩქარებით ლიკვიდაციის საქმეს—დღეის რიცხვიდან, 24 ნოემბრიდან დაწყებული, 1 დეკემბრამდე — საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საზოგადოება „წერა-კითხვა" აწყობს კვირეულს. კვირეულის მთავარი მიზანია ამ საზოგადოების მატერიალური სახსარის გაძლიერება და პოპულიარიზაცია იმ იდეების, რომლების გატარებაც ცხოვრებაში დასახული აქვს „წერა-კითხვას".

საბჭოთა მთავრობა არ ზოგავს საშუალებებს მუშების და გლეხების შვილებისათვის სწავლა-განათლების მისაცემათ, მთავრობა არ ზოგავს საშუალებებს არც იმისათვის, რომ სასკოლო ჰასაკს გადასული მუშებიც და გლეხებიც არ დარჩნენ წერა-კითხვის უცოდინარნი, მაგრამ დამატებით, რომ დაჩქარდეს ჩვენში სკოლის ჰასაკს გადასული მუშების და გლეხების წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, საჭიროა ამ საქმეში საბჭოთა უფრო ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობა. საჭიროა ცხოველი მონაწილეობა მასში ყველამ მიიღოს: დიდმა, პატარამ, ქალმა, კაცმა, მუშამ, გლეხმა, წითელ-არმიელმა, მოწაფემ. არავინ არ უნდა დაიშუროს თავისი წვლილი ამ საქმისათვის.

ჩვენი დიდი ბელადის ამხ. ლენინის ანდერძი უნდა შევასრულოთ.

კ. ხომარიკი.

საზ-ბა „წერა-კითხვა"-ს კვირეულის ამოცანები

24 ნოემბრიდან საზ-ბა „წერა-კითხვა" მართავს თავის კვირეულს; კვირეულის უმთავრესი მიზანია ფართოდ გააცნოს მშრომელ მასებს საზ-ბა „წერა-კითხვა"-ს ამოცანები და რაც შეიძლება მეტი მუშები, გლეხები და მშრომელი ინტელიგენცია მიიზიდოს თავის რიგებში. ამასთან ერთად კვირეული გამოყენებული უნდა იქმნას საზ-ის ფინანსიური მდგომარეობის გამოსაჯანსაღებლად იმ გეგმის და ღონისძიებების მიხედვით, რომელიც კვირეულის ჩამტარებელ ცენტრალურ კომისიას აქვს გამომუშავებული. მაგრამ, რომ კვირეული წესიერად იქნეს ჩატარებული და მან გამოიღოს სასურველი ნაყოფი, საჭიროა საზ-ბას ენერგიული დახმარება გაუწიონ, როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციებმა, რაც შეეხება კომკავშირს, აქ მან განსაკუთრებული დახმარება უნდა გაგვიწიოს, მთლიანად უნდა ჩააბას ამ საქმეში თავისი აქტივი როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

ჩვენ განზრახ დაუკავშირეთ ჩვენი კვირეული კომკავშირის კულტურული ლაშქრობის ერთთვიურს და სწორედ აღნიშნული ერთთვიურის უკანასკნელ კვირას ჩვენ კომკავშირთან ერთად ვატარებთ წერა-კითხვის კვირეულს. მიზანი ერთია: ჩვენმა კვირეულმა და კომკავშირის ერთთვიურმა, კულტურულ ლაშქრობამ უნდა აამოძრაოს მშრომელი მასები.

ჩვენი საზ-ბის აქტივი—კომკავშირის აქტივია, ჩვენი კვირეულის ნაყოფიერად ჩატარებას ადგილებზედ ისინი იკისრებენ წერა-კითხვის საზოგადოებათა გამგეობებთან ერთად. მაგრამ ჩვენ კიდევ მეტს ვთხოვთ მათ და ისინი უსათუოდ ამას შეასრულებენ, ჩვენ ბევრ სოფლებში და თემებში არა გვყავს საზ-ის გამგეობები და უჯრედები. აქ მთელი სიმძიმე კომკავშირის უჯრედებმა და აქტივმა სწორად უნდა შეასრულოს, აქ საჭიროა კვირეულის ამოცანების ფართედ გაშლა, კვირეულის განმავლობაში მათ უნდა იკისრონ საზ-ბა „წერა-კითხვის" უჯრედების ჩამოყალიბება, აქტივი თვითონვე უნდა შევიდეს პირველ რიგში საზოგადოების წევრათ, კომკავშირს დიდ დახმარებას ვთხოვთ კვირეულის დროს და დარწმუნებული ვართ, რომ ისინი კიდევ უფრო მეტს გააკეთებენ, ვიდრე ჩვენ მათგან მოველით:

კომკავშირის გარდა არა ნაკლები აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს აღნიშნული კვირეულის ჩატარებაში როგორც ქალაქად, ისე სოფლად მასწავლებლობამ და მოწაფეებმა, უმთავრესად სტუდენტობამ; მოწაფეების და სტუდენტების როლის დასახასიათებლად მე აქ მოგიყვანთ პატარა მისაბაძ მაგალითს, რომელსაც ამ რამდენიმე დღეების წინათ ქონდა ადგილი მე-15 ტე შრომის სკოლაში; აღნიშნული სკოლის მოწაფეებმა ამავე სკოლის 15 წლის მოწაფე პ. ჩხეიძის ხელმძღვანელობით გამართეს თავიანთ საშვალებებით საზ-ბა „წერა-კითხვა"-ს სასარგებლოთ საღამო და წმინდა შემოსავალი ჩაგვაბარეს—69 მან. მე-15 შრომის სკოლის მოწაფეების ასეთი მოღვაწეობა სამაგალითოდ უნდა იქნეს სხვა მოწაფეების, სტუდენტების და მასწავლებლებისათვის.

წელს ჩვენ ვერ დავაკმაყოფილებთ მარტო ანბანის ან ხელის მოწერის შესწავლით, საჭიროა უცოდინარს შევასწავლოთ წერა-კითხვა და ანგარიში, ისე, რომ მას შეეძლოს დაწერილის წაკითხვა და დაწერა გასაგებათ. ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კვირეულის განმავლობაში და შემდეგაც, რომ ამ მხრივ თავის მოტყუილებას ადგილი არ ექნეს.

ამასთან კვირეულის განმავლობაში ჩვენმა უჯრედებმა და სამაზრო-სარაიონო გამგეობებმა უნდა გააცხოველონ მუშაობა თანახმად ცენტრალური გამგეობის დირექტივებისა, რათა რაც შეიძლება მეტი მუშები და გლეხები იქნენ ჩაბმული საზ-ბის წევრებად. დღევანდელი წევრთა რაოდენობა საზ-ისათვის ერთობ არადამაკმაყოფილებელია. ის საქართველოს საერთო მოსახლეობის თითქმის 1%-საც არ შეადგენს. ეს დიდი ნაკლია საზ-ის მასიური მუშაობის დარგში, რაც არ უნდა დაგვიჯდეს, კვირეულის განმავლობაში უნდა გავაჩაღოთ მუშაობა წევრთა რიცხვის ერთი ორად გასაზრდელათ. ამ მუშაობაში ჩვენ აქტიური დახმარება უნდა გაგვიწიოს პარტიამ, პროფკავშირებმა და კომკავშირმა.

კვირეულის განმავლობაში აგრეთვე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საწევრო გადასახადის როგორც ძველი ნარჩენების, ისე ახალის სრულად აკრებას. დღემდის ამ დარგს ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა; ბევრს წიგნაკი უდევს ჯიბეში და ერთხელ შიგ არ ჩაიხედავს, გადაიხადა თუ არა მან საწევრო გადასახადი' ასეთ დაუდევრობას უნდა შევებრძოლოთ. ჩვენი საზ-ის ზოგიერთ უჯრედებში ჯერ კიდევ მოიპოვებიან მკვდარი სულები. ისინი ირიცხებიან ქაღალდზედ, ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება. ჩვენ არ გვინდა წევრები ქაღალდზედ ან ისეთი წევრები, რომ მარტო გადასახადს იძლეოდეს და სხვანაირად არ გვეხმარებოდეს. საჭიროა გადასინჯული იქნას წევრთა სიები და რაოდენობა, ნამდვილ წევრთა გამოსარკვევად და სიებიდან მკვდარი სულების განსანდევნელათ.

არ კმარა მარტო კომკავშირის და საზ-ბა „წერა-კითხვა"-ს ენერგიული ბრძოლა, საჭიროა ყველა მშრომელებმა შევამჭიდროვოთ რიგები და შეერთებული ძალღონით თავს დავესხათ ძველი რეჟიმის ნაშთს, სიბნელეს და წერა-კითხვის უცოდინარობას, კვირეულის ლოზუნგია, ყველა სიბნელის-გაუნათებლობის და წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ: „ძირს წერა-კითხვის უცოდინარობა".

პ. ბოკერია.

კომკავშირელები პირველ რიგში

მუშებმა და გლეხებმა თავიანთი სისხლით მოიპოვეს თავისუფლება, მათ იარაღით ხელში დასცეს ძველი წყობილება. მაგრამ კულტურული რევოლიუციისათვის საჭიროა, რომ რესპუბლიკაში ერთი კაციც არ დარჩეს წერა-კითხვის უცოდინარი, წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრის საქმეს ემსახურება საზოგადოება „წერა-კითხვა".

ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ეს მორიგი ამოცანა აუცილებლად გადაწყვეტილი უნდა იქნეს. ჩვენ, კომკავშირელები, ახალგაზრდები პირველ რიგში უნდა ვიყოთ ამ ბრძოლაში. ჩვენ გვევალება ხელი შეუწყოთ ხალხში წერა-კითხვის გავრცელებას. ამისათვის საჭიროა არ დავზოგოთ ჩვენი შრომა. ამით ჩვენ დიდ საქმეს გავაკეთებთ სოციალისტურ მშენებლობისათვის, კულტურულ რევოლიუციისათვის, რომელიც ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხის მორიგი ამოცანაა.

მაშ, გავიღოთ ყველამ წვლილი წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელათ.

მე-15-ტე შრომის სკოლის ა. ლ. კ. კ. უჯრედის წევრი პ. ჩხეიძე.

ტყვარჩელის სამუშაოთა მდგომარეობა

საუბარი ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე ამხ. გ. ყურულიშვილთან

ტყვარჩელის ქვანახშირის რაიონში დაწყებულ სამუშაოთა მდგომარეობისა და ტყვარჩელის ქვანახშირის ამოღების პერსპექტივების შესახებ ს.მ.უ. საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. ყურულიშვილმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— ტყვარჩელის ქვანახშირის ბუდობების დამუშავების საკითხი ერთ-ერთ დიდ პრობლემათ გადაიქცა. ამ საკითხში დაინტერესებულია საბჭოთა კავშირის მეტალურგიული მრეწველობა, საკავშირო ს. მ. უ. საბჭო, სათბობი მასალის მთავარი სამმართველო და მთელი რიგი სხვა საკავშირო მნიშვნელობის ორგანოები.

საქართველოს ს.მ.უ. საბჭოსთან არსებულმა კომისიამ, რომელიც სპეციალურად ტყვარჩელის საკითხების შესასწავლად იყო გამოყოფილი, დიდი მუშაობა ჩაატარა. მან შეადგინა ტყვარჩელის სამუშაოთა 5 წლიანი პერსპექტიული გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია მთელი რიგი მნიშვნელოვანი სამუშაოების ჩატარება. ასეთ სამუშაოებში შედის— ახალი მაღაროების დამუშავება, ნავთსადგურის აგება. რკ. გზის გაყვანა და სხ.. შედგენილია აგრეთვე შესაფერი ეკონომიური დასაბუთება, რომელიც სხვა მასალებთან ერთად წარდგენილია უმაღლეს საკავშირო ორგანოებში.

ტყვარჩელის საკითხების შესასწავლად და მათ მოსაგვარებლად საკავშირო ს.მ.უ.ს-თან დაარსებულია სპეციალური საორგანიზაციო ბიურო.

ამ რამოდენიმე დღის წინათ მოსკოვში შედგა სამთო მრეწველობის სამეცნიერო-სატეხნიკო საბჭოს პლენუმი, რომელზედაც დასმული იყო საკითხი ტყვარჩელის რაიონში აღმშენებლობის დაწყების შესახებ. პლენუმმა გადასწყვიტა, რომ ტყვარჩელიდან ქვანახშირის გასაზიდათ საჭირო ნავთსადგური აგებულ იქნეს სოხუმში, რადგან აქ ნავთსადგურის აგება გაცილებით უფრო ხელსაყრელია, ვიდრე სხვა ადგილებში.

მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში გადაწყვეტილია დასრულდეს ტყვარჩელის რაიონის გეოლოგიური შესწავლა, რომ შესაძლებელი გახდეს რაიონის მე-2 და მე-8 უბნების დამუშავების დაწყება ერთ და იმავე დროს. ამასთანავე გაგრძელებული იქნება აგრეთვე ცდები ტყვარჩელის ქვანახშირიდან კოქსის მისაღებათ. ამ მიზნით წელს გადიდებული იქნება საცდელათ ამოღებული ქვანახშირის მარაგი. რაც განაწილდება მეტალურგიულ ქარხნებს შორის, რომ ცდები პარალელურად რამოდენიმე ადგილას სწარმოებდეს.

ტყვარჩელის პრობლემაში ერთ უმთავრეს საკითხად, რომელიც მოითხოვს სერიოზულ დამუშავებას, უნდა მივიჩნიოთ მაღაროების დამუშავების სისტემის ამორჩევა. მაღაროების დამუშავების ის სისტემა, რომლის მიხედვითაც იყო შედგენილი პროფ. შევიაკოვის პროექტი. ჯერ-ჯერობით არაა მიღებული, რადგან ასეთი სისტემით მაღაროების დამუშავების დროს უსარგებლოთ დაიკარგებოდა მეტად ძვირფასი ქვანახშირის 35-40 პროცენტი. ამიტომ, გარდა შევიაკოვის პროექტისა, მუშავდება მაღაროების დამუშავების ორი ახალი ვარიანტი. ერთი ვარიანტით პროექტის შედგენა მინდობილი აქვს მაღაროების პროექტების შემადგენელ სახელმწიფო ინსტიტუტს („გიდროშახტა"), ხოლო მეორე ვარიანტს პარალელურად დაამუშავებს ამერიკელ სპეციალისტ-კონსულტანტების ჯგუფი „სტიუარტის" ფირმიდან.

ამ ორ კვირაში, როგორც „გიდროშახტის", ისე ამერიკულ კონსულტანტების ჯგუფის წარმომადგენლები ჩამოვლენ და ადგილობრივ დაათვალიერებენ ტყვარჩელის რაიონს. მაღაროების გასაყვანი პროექტები განხილული იქნება 1929 წლის ივლისში.

სწარმოებს აგრეთვე მუშაობა მდ. გალიზგაზე ჰიდრო-ელსადგურის ასაგებათ. ამ სადგურის სიმძლავრე ნავარაუდევია 8000 ცხ. ძალა. სადგურის პროექტის დამუშავება მინდობილი აქვს სახელმწიფო ელექტრო-ტრესტს. გარდა ამისა ტყვარჩელშივე აგებული იქნება დროებითი ჰიდრო-ელსადგური 300-400 ცხ. ძალის, რომლის ენერგიაც საჭირო იქნება სააღმშენებლო სამუშაოთა შესრულების დროს.

მიმდინარე წლის განმავლობაში დამუშავებული იქნება საკითხი ტყვარჩელის სამრეწველო აღმშენებლობისათვის ადგილობრივი სატყეო მასალის მომარაგების შესახებ. საქმე იმაშია, რომ ტყვარჩელში უხვად მოიპოვება წიფლის მასალა და ჩვენ არ ვიცით გამოდგება თუ არა ეს მასალა მაღაროების გასამაგრებლათ, ან სხვა საჭიროებისათვის.

მაღაროების პროექტების წარმოდგენის შემდეგ, თუ რომელიმე მათგანი მოწონებულ იქნა, წელსვე მოსალოდნელია. რომ დავიწყოთ აღმშენებლობა ტყვარჩელის 1-ლ და მე-2 უბანზე.

სხვათა შორის, ს.მ.უ. საბჭომ გადასწყვიტა, რომ ტყიბულში ახალი მაღაროების გასაყვანად საჭირო პროექტების დამუშავება მიანდოს „გიდროშახტას" და ამერიკელ კონსულტანტების ჯგუფს. ტყვარჩელიდან გადაწყვეტილია ამ სპეციალისტების გაგზავნა ტყიბულში, სადაც ისინი დაათვალიერებენ ახალი მაღაროების გასაყვან ადგილებს და გამოარკვევენ, თუ როგორი სისტემით უნდა იქნეს გაყვანილი ტყიბულის ახალი მაღაროები.

ამხ. მიხა ცხაკაია განჯის მაზრის სოფლებში

ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. **მიხა ცხაკაიამ** გამოიკვლია სამი დაირა განჯის მაზრაში.

თბილისში დაბრუნების შემდეგ ამხ. მ. ცხაკაიამ ამ.-კავკ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„მიუხედავად იმისა, რომ მე ცოტა ხანს დავრჩი განჯის მაზრის სამ დაირაში—ელენდორფში, მალმამედლში და შამქორში, მაინც დიდძალი მასალა შევაგროვე, რომელიც ახასიათებს სოფლის ცხოვრებას და მის მტკივნეულ მხარეებს ამჟამად.

მე, ამხ. ტაგიევმა და ადგილობრივმა მუშაკებმა სულ გამოვიკვლიეთ 10 სოფელი. მთავარი ყურადღება მივაქციეთ სოფლის კლასობრივად დანაწილების საკითხს, საბჭოებს, პარტუჯრედების, კომკავშირის, პიონერთა ორგანიზაციების მუშაობას, კოლმეურნეობათა მდგომარეობას, კოოპერაციის და, განსაკუთრებით, მოჯამაგირეთა ორგანიზაციების მუშაობას.

რა ვნახეთ დაირაში? უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მოჯამაგირენი გამოკვლეულ დაირებში საშინელ პირობებში იმყოფებიან და სასოფლო საბჭოები თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მათ. არ არსებობს შრომის არავითარი დაცვა. არის შემთხვევები, როცა კულაკები მოჯამაგირეებს 6—8 თვის განმავლობაში ჯამაგირს არ აძლევენ. ჩვენ, მაგალითად, ასეთ აღმაშფოთებელ შემთხვევას წავაწყდით: კულაკს 6 თვის განმავლობაში ჰყავდა მოჯამაგირედ 14 წლის ყმაწვილი და შემდეგ დაითხოვა ისე, რომ ჯამაგირი არ მისცა. მოჯამაგირემ მოსთხოვა კუთვნილი ხელფასი, მაგრამ კულაკმა უარი განუცხადა. დაჟინებული თხოვნის შემდეგ კულაკმა მოჯამაგირეს მისცა მკვდარი ცხვარი, რომელიც დაკლულად შეატყუა. ჩვენ სათანადო ზომები მივიღეთ ამ აღმაშფოთებელი შემთხვევის გამო და კულაკი დავაპატიმრებინეთ.

ღარიბთა ნამდვილი ჯგუფები დაირებში თითქმის არ არსებობენ. ისინი ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებიან და თავიანთ მუშაობას განსაზღვრავენ იმით, რომ თვეში 1—2 ჯერ იკრიბებიან. პარტუჯრედებმა დიდი მუშაობა უნდა ჩაატარონ მათ შორის და უნდა დაუკავშირონ ისინი მოჯამაგირეთა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც უფრო უკეთესად მუშაობენ.

პარტუჯრედები სუსტ ხელმძღვანელობას უწევენ კომკავშირს. პიონერთა ხელმძღვანელობა თითქმის არ არსებობს და ამის შედეგი იყო, რომ პიონერთა რაზმები ზოგიერთ ადგილას დაიშალნენ.

კოლმეურნეობანი ცუდად მუშაობენ (ორი—სამის გამონაკლისით) და ვერ ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას. საჭიროა გაძლიერდეს კოლმეურნეობათათვის ფინანსების მიწოდება. გლეხკომების უმრავლესობა სუსტად მუშაობს. მხოლოდ ზოგიერთი მათგანი უნაწილებს მიწას ღარიბებს, აწვდის ღარიბ გლეხებს თესლს და სხვ.

სამაგალითო გლეხკომია ზურნაბადის გლეხკომი, რომელსაც ტრაქტორიც კი აქვს.

სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა არ არის დამაკმაყოფილებელი. მებამბეების რაიონებს ცუდად აწვდიან მანუფაქტურას და პურს. მებამბეები იძულებულნი არიან საჭირო პურის დაახლოებით 30 პროც. კერძო ბაზარზე იყიდონ, ამასთან კოოპერატიულ ფასებთან შედარებით 2—3 ჯერ უფრო ძვირად. ამან შეიძლება გავლენა იქონიოს ბამბის ნათესის სივრცეზე, რადგან მებამბეები, პურის საკმაო რაოდენობის უქონლობის გამო, იძულებულნი იქნებიან დაანებონ თავი ბამბის თესვას და ხელი მიჰყონ პურის თესვას.

კლასობრივი დანაწილება აშკარად იჩენს თავს, ღარიბთა და საშუალო გლეხთა აქტიობის ზრდასთან ერთად იზრდება კულაკის აქტიობაც. კულაკის პოლიტიკა ამჟამად მდგომარეობს იმაში, რომ შეეგუოს შექმნილ პირობებს. იგი სცდილობს შეძვრეს ყველგან, თავი ღარიბი და საშუალო გლეხის დამცველად და მეგობრად მოაჩვენოს. მაგალითად, სოფელ სეიფალში, გერმანული კოლონიის გეორგიევსკაიას მახლობლად, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს ღარიბი და საშუალო გლეხების სახელით მიესალმა და მადლობა გამოუცხადა კულაკმა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადს წელიწადში იხდის 300 მანეთის რაოდენობით (ადს).

პარტიაში

წავიდეთ მე-15 ყრილობის მიერ დასახული გზით

ნებას არ მივსცემთ მერყევ ელემენტებს გადასინჯონ მე-15 ყრილობის დადგენილებანი.— თბილისის ორგანიზაციის უჯრედები მტკიცედ იცავენ პარტიის გენერალურ ხაზს.

500 მუშა კომუნარის ხმა

(თბილისის დეპოს უჯრედის კრებაზე)

გუშინ, საღამოს 6 საათზე სავაგონო პარკში შესდგა თბილისის დეპოს კომუჯრედთა კრება, რომელსაც 500-დე კომუნისტი დაესწრო. კრებაზე მემარჯვენე გადახრისა და მასთან ბრძოლის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. **რუბენმა**.

ამხ. რუბენის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო და ახლოვებით ათმა კაცმა. კამათში გამოსულ ამხანაგების უმრავლესობა იწონებდა პარტიის ცეკას ხაზს და მოითხოვდა სასტიკ და დაუზოგავ ბრძოლის წარმოებას ყოველგვარ გადახრების წინააღმდეგ.

კამათში ერთ-ერთი ამხანაგი **სარდლიშვილი** ნაწილობრივ შეეცადა მემარჯვენე გადახრის გამართლებას და მისი ხაზის დაცვას, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. სთქვა თუ არა სიტყვა მემარჯვენე გადახრის დასაცავად იმ წამსვე გაისმა მუშების უკმაყოფილო გამოძახილი სარდლიშვილის მიმართ. ამხ. სარდლიშვილი ცდილობდა დაემტკიცებია, რომ თითქოს ჩვენი პარტია დიდ ყურადღებას აქცევს მარტო ქალაქის მუშებს, გლეხებს, კი არავითარ ანგარიშს არ უწევს. ამხანაგს სჩანს დავიწყებია ის გარემოება, რომ პარტია ყოველგვარ საშუალებას ხმარობს ღარიბ გლეხობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლადაც, რომ სასოფლო-მეურნეობის გასაფართოვებლად სოფელს მიეცა 30 ათასამდე ტრაქტორი და სხვა. გარდა ამისა სარდლიშვილმა ისიც კი არ იცის, რომ ჩვენი პარტია არას დროს არ ყოფილა დაყოფილი ფრაქციებად და არც შეიძლება დაიყოს.

სარდლიშვილის შემდეგ ილაპარაკა მთელმა რიგმა ამხანაგებმა, რომლებმაც შესაფერი პასუხი გასცეს მემარჯვენე გადახრის დამცველს. საბოლოო სიტყვის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი

რეზოლიუცია

მოისმინა რა ამხ. რუბენის მოხსენება პარტიაში მემარჯვენე საფრთხის შესახებ, თბილისის დეპოს პარტკოლექტივის დახურული სხდომა სავსებით და მთლიანად უერთდება ლენინის რაიონის აქტივის დადგენილებას. ჩვენ, მუშები, ვხედავთ, რომ სოციალიზმის მშენებლობის სიძნელეებმა გავლენა მოახდინა მერყევ ელემენტებზე, რომლებიც ქმნიან ყოველგვარ გადახრებს და აყენებენ პარტიის ხაზის გადასინჯვის საკითხს.

ჩვენ, მუშა-კომუნარებმა ვიცით, რომ ამგვარ დაბრკოლებებს არა ერთხელ ექნება ადგილი, მაგრამ ამის გამო არ მივსცემთ საშუალებას მერყევ ელემენტებს გადასინჯონ პარტიის მე-15 ყრილობის დადგენილებანი. ჩვენ გადაჭრით ვემხრობით საბჭ. კავშირის ინდუსტრიალიზაციას, სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციას, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობის დაცვას სოციალიზმის განვითარებისა და კაპიტალისტურ ელემენტებთან ბრძოლის გაძლიერებისათვის.

ჩვენ ვერ შეგვაშინებს ვერავითარი გადახრა, ვინაიდან ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ცეკას ხელმძღვანელობით წარმატებით ვსძლევთ ყოველგვარ სიძნელეს და როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც, ფარდას ავხდით ანტილენინურ მიმდინარეობებს პარტიაში.

გავატარებთ მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებებს

(ალმასკომის ლუდის ქარხნის უჯრედი)

ალმასკომის ლუდის ქარხნის უჯრედის დახურულ კრებაზე მემარჯვენე გადახრების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბელელაძემ. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ქაჯაიამ, ბედერეინცკომ, მორბედაძემ და სხვ.

ამხ. ქაჯაიამ კარგად დაიწყო თავისი სიტყვა; მან სთქვა, რომ ჩვენი პარტია წარმატებით იკაფავს გზას სოციალიზმისაკენ. მართალია, გზაში ბევრი დაბრკოლებები გვხვდება, მაგრამ ლენინური პარტია შესძლებს მათს გადალახვას. ასე სთქვა ამხ. ქაჯაიამ, მაგრამ სიტყვის დასასრულში კი წინააღმდეგი უნდოდა დაემტკიცებია. სახელდობრ ქაჯაიამ აღნიშნა, რომ რასაც ამხ. ლენინი სწერდა და ამბობდა 1918 წელში, დღეს შეიძლება არ შეეფერებოდეს სინამდვილესო. ამხ. ქაჯაიას არ უნდა გაიგოს. რომ ლენინიზმი არას დროს არ დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას, ის ყოველთვის იქნება ჩვენი პარტიის სახელმძღვანელო მოძღვრება.

ამხ. მორბედაძე მოითხოვს, რომ პარტიამ უფრო სასტიკი ზომები მიიღოს მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ. თუ საჭირო იქნება, პარტიის მთლიანობისათვის მემარჯვენეები უნდა განიდევნონ პარტიიდან.

ამხ. ბედერეინცკომ სთქვა, რომ მემარჯვენე გადახრა თავის შინაარსით არაფრით განსხვავდება ტროცკიზმიდან. რომელიც უკვე დიდი ხანია დაასამარა ჩვენმა პარტიამ. მემარჯვენე გადახრა ახალი ცდაა ტროცკიზმის ხაზის გასატარებლად, ამიტომ პარტიამ გასაქანი არ უნდა მისცეს წვრილბურჟუაზიულ გადახრებს.

ამხ. ბელკუნოვი ამბობს, რომ მემარჯვენე სენით უმთავრესად დაავადმყოფებული არიან ისეთი ამხანაგები, რომლებიც მოიქანცნენ და აღარ შესწევთ ძალა სოციალიზმისათვის საბრძოლველად; მათ დაეკარგათ იმედი მშრომელი ხალხის გამარჯვებისა. ამიტომ თავს ან მემარჯვენეებში ამოჰყოფენ. ან კიდევ შემარიგებლებში. ჩვენი ვალია მტკიცეთ დავიცვათ და ცხოვრებაში გავატაროთ მეხუთმეტე პარტყრილობის გადაწყვეტილებები.

დასასრულ კრებამ მოხსენების ირგვლივ მიიღო რეზოლიუცია, სადაც დაჰგმო მემარჯვენე გადახრა და ერთხმად მოიწონა პარტიის ცეკას ხაზი.

ნ.

ამხ. აზოვიანისა და აროიანის აღდგენა კ. პ. (ბ) რიგებში

(საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო საკ. კომისიის დადგენილება)

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიამ 1928 წლის 5 ნოემბერს მიიღო შემდეგი დადგენილება:

მიიღო რა მხედველობაში, რომ ამხ. **აზოვიანმა** და **აროიანმა** შემოიტანეს განცხადებები, რომელშიაც მათ სცნეს თავისი პრინციპიალური შეცდომები, გაიმიჯნენ ტროცკისტების პლატფორმისაგან, დაჰგმეს ტროცკისტულ ოპოზიციის ფრაქციული მუშაობა, შეწყვიტეს-ეს მუშაობა და განაცხადეს, რომ სავსებით ემორჩილებიან საკავშირო კომპარტიის (ბ) და კომინტერნის ყველა გადაწყვეტილებებს,—პარტკოლეგიამ დაადგინა, აღადგინოს ისინი პარტიის რიგებში და აღნიშნოს მათ პირად საქმეში და პარტბილეთში მათი პარტიის გარეთ ყოფნის დრო. გამორიცხვის დღიდან 1928 წლის 5 ნოემბრამდე.

ს. კ. პ. ა.-კ. საკონტროლო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი **ვ. სტურუა.**

ახალი კოლხელშეკრულების დადების კამპანია

ახალი კოლექტიური ხელშეკრულებების პროექტების განხილვა ადგილებზე წარმატებით მიმდინარეობს. — მუშები მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ ძველი კოლხელშეკრულების შესრულების შემოწმებაში.—სად. თბილისის სამხედრო ბაქანის მტვირთველი მუშები არ ღებულობენ სპეცტანსაცმელს.

კოლხელშეკრულებების პროექტების განხილვა უკვე დაიწყო

კოლექტიური ხელშეკრულებების პროექტების განხილვა ადგილებზე უკვე დაიწყო. პროფკავშირების ძირითად ორგანოებმა უკვე დაამთავრეს ძველი კოლექტიური ხელშეკრულების შესრულების გამოკვლევა და შეუდგნენ ახალი კოლხელშეკრულებების პროექტების განხილვა-დამუშავებას. მუშათა საერთო კრებებზე. პროექტების განხილვა წარმატებით მიმდინარეობს; მუშები მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ ახალი კოლექტიური ხელშეკრულებების პროექტების განხილვაში და აყენებენ მრავალ მუხლებს კოლხელშეკრულებაში შესატანად.

ბევრ ადგილებზე პროფკავშირების ძირითადი ორგანოები, მუშათა საერთო კრებებზე აკეთებენ მოხსენებებს ძველი კოლექტიური ხელშეკრულებების შეუსრულებელ მუხლებზე და არკვევენ იმ მიზეზებს, რომლებიც ხელს უშლიან კოლექტიურ ხელშეკრულებების შესრულებას. ეს გარემოება საგრძნობლად აუმჯობესებს პროექტების განხილვის საქმეს და აცხოველებს მუშათა აქტივობას კოლხელშეკრულების დადებაში.

საქ. აღმშენებელთა კავშირმა ამ მხრივ საკმაოდ დიდი მუშაობა ჩაატარა; ადგილებზე შეუსრულებელ მუხლების შესახებ წაკითხულმა მოხსენებებმა გაამრავლა მუშათა აქტივი და მთელი ასი პროცენტით ჩააბა ისინი კოლხელშეკრულების დადების საქმიანობაში. მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად აღმშენებელთა კავშირს კოლექტიურ ხელშეკრულების პროექტის განხილვაში ნაკლიც აქვს; ბევრ ადგილას პროექტების განხილვა ხდება ძველი კოლხელშეკრულების შესრულების შეუმოწმებლივ. ამიტომ მუშები, სათუძლიანად არ არიან გაცნობილი კოლხელშეკრულების ამა თუ იმ მუხლის შეუსრულებლობის მიზეზებთან და არც შეუძლიათ წამოაყენონ რაიმე ახალი საკითხი ახალ კოლხელშეკრულებაში შესატანად. ეს არ არის მასიური მოვლენა. ამას მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი აქვს და უმთავრესად შეხვდებით იქ, სადაც ადგილობრივი პროფმუშაკი ვერ სდგას თავის სიმაღლეზე, მაგრამ რაც არის, ისიც საგრძნობ ზიანს აყენებს კოლხელშეკრულების პროექტების განხილვის საქმიანობას.

კოლხელშეკრულებების პროექტების განხილვამდე, გადასინჯული უნდა იქნეს ძველი კოლხელშეკრულება. შესწავლილი უნდა იქნეს ძველი ხელშეკრულების დადების დროს დაშვებული შეცდომები და ცხოვრებაში გაუტარებლობის მიზეზები და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დამუშავდეს ახალი კოლხელშეკრულებების პროექტები. პროფკავშირების ძირითად ორგანოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ გარემოებას.

X.

მზადება ახალ კოლხელშეკრულების დასადებად

აღმშენებელთა კავშირში ძველი კოლექტიურ ხელშეკრულების შესრულების შემოწმება ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. შემოწმება ტარდება მასიურად. მუშები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ კოლ. ხელშეკრულების გადასინჯვაში და აყენებენ ახალ მუხლებს მომავალ კოლ. ხელშეკრულებაში შესატანად. კავშირის ცენტრ. გამგეობამ დაავალა პროფკავშირის ძირითად ორგანოებს ჩაატარონ წინასწარი მოხსენებები კოლხელშეკრულებას შეუსრულებელ მუხლებზე.

გარდა ამისა. ცენტრალურმა გამგეობამ დაამტკიცა სია იმ სამეურნეო ორგანოებისა, რომელთანაც დადებული იქნება გენერალური კოლექტიური ხელშეკრულებები საქართველოს ფარგლებში. დღემდე ყველა კოლექტიური ხელშეკრულება იდებოდა მთლიანად საქართველოს ფარგლების მიხედვით. წელს კი, უმაღლეს ორგანოებისა და კავშირის კონფერენციის მოთხოვნილებით ხელშეკრულებები დაიდება ადგილებზე.

ახალი სატარიფო რეფორმა ც. გამგეობას დადგენილებით ჩატარებული იქნება მხოლოდ სტაციონალურ წარმოებებში, როგორც არის, მაგალითად, თბილისის აგურის ქარხნები, გზატკეცილების სამმართველო, ქანის აგურ-კრამიტის ქარხანა, შორაპნის, ქუთაისის და სენაკის აგურის ქარხნები და სხვ.

ადგილებზე მიცემულია გამგეობის დადგენილებები ცენტრალურ გამგეობის დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად.

ფილიპე.

ჩვენს მუშკორებში

ამ დღეებში გაზ. „კომუნისტი"-ს ბინაზე შესდგა ამავე გაზეთის და გაზ. „მუშა"-ს მუშკორთა საქალაქო კრება თბილისის მუშათა აქტივთან ერთად. ახალი კოლექტიური ხელშეკრულების და მუშკორთა ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ს. გოდაბრელიძემ.

— კოლხელშეკრულების კამპანია,—ამბობს მომხსენებელი,—უნდა ჩატარდეს ნოემბერში და დეკემბერში. გასული წლის გეგმის მიხედვით შრომის ნაყოფიერება წარმოებებში უნდა გაზრდილიყო 16 პროცენტით, ხელფასი კი 6 ნახევ. პროცენტით. სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა; შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 15 პროც. მხოლოდ ხელფასი—11 პროცენტით. როგორც ვხედავთ გასულ წელს, გეგმის მიხედვით შრომის ნაყოფიერება 1 პროც. ნაკლებია. ამიტომ ხელფასის მომატების საკითხი, როგორც ეს იყო გასულ წელს, ეხლა აღარ განიხილება მთლიანად.

ხელფასი მოემატებათ მხოლოდ ჩამორჩენილ ჯგუფებს, რისთვისაც დაარსებულია განსაკუთრებული კომისია, რომელიც გამოაკვლევს ხელფასის საკითხებს ადგილებზე. ჩამორჩენილ ჯგუფებს გარდა, საწარმოებში ხელფასი ემატებათ ჩვეულებრივი წესით ხელშეკრულების გადასინჯვის დროს არ იქნება განხილული ნორმები. თვითეულ წარმოებაში შემოღებულ იქნება ცალ-ცალკე სატარიფო ცხრილები.

იმისათვის ,რომ ნარდ მომუშავეებს მოემატოდ ხელფასი შრომის ნაყოფიერებასთან დაკავშირებით, საჭიროა საწარმოების ადმინისტრაციამ მიიღოს ყოველგვარი ზომები საჭირო მასალის წინასწარი მომარაგებისათვის, რათა მუშაობის ნორმალური მსვლელობა არ იქნეს შეფერხებული.

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე იმას, რომ კოლექტიური ხელშეკრულებები განხილული იქნეს საერთო კრებებზე მასიურად; კრებებს უნდა დაესწრონ საწარმოების და ტრესტების უშუალო ხელმძღვანელებიც.

მუშკორების მოვალეობა, როგორც მიმდინარე კამპანიის, ისე კოლხელშეკრულების ცხოვრებაში გატარების დროს გამოამჟღავნონ კოლხელშეკრულების დადებაში და მის გატარებაში შემჩნეული ნაკლი და სასტიკი ბრძოლა აწარმოონ კოლხელშეკრულების დამახინჯების წინააღმდეგ.

მოხსენების შემდეგ ამხ. გოდაბრელიძეს მისცეს მრავალი შეკითხვები, რომლებზედაც მომხსენებელმა ამომწურავი პასუხი გასცა.

ვანო.

სპეცტანსაცმელს არ ვღებულობთ

საქონლის სადგურზე მუშაობს რვა კაცი, რომელნიც ვალდებულნი არიან დაასუფთაონ სამხედრო ბაქანები და მდუღარე წყლით გარეცხონ ვაგონები. ჯამაგირი ეძლევათ თვეში 38 მან. მუშაობენ 8 ს.

კოლხელშეკრულების თანახმად მათ უნდა ეძლეოდეს სპეცტანსაცმელი, მაგრამ უკვე ერთი წელიწადია მუშებს არ მიუღიათ სპეცტანსაცმელი, ეს იმ დროს, როდესაც ამავე საქმეში მომუშავე უფროს მუშებმა,გაცვითეს კიდეც სპეცტანსაცმელი.

მოველი.

მეტი ყურადღება ა.ლ.კ.კ. კულტურულ ლაშქრობას

ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტს, ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტს, საქართველოს პროფსაბჭოს და გაზეთების რედაქციებს

საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციები ნოემბერ - დეკემბრის განმავლობაში ატარებენ კულტურულ ლაშქრობას.

კულტურული ლაშქრობის მიზანია —აამოძრაოს მოსახლეობის ფართო მასები და პირველ რიგში ახალგაზრდობა, აქტიური და გადამჭრელი ბრძოლის საწარმოებლად წერა-კითხვის უცოდინარობისა, ლოთობისა, სიბინძურისა და ჩვენი ყოფა-ცხოვრების სხვა ნაკლის წინააღმდეგ.

ყველა საჭირო დირექტივა კულტურული ლაშქრობის ჩატარების წესის შესახებ უკვე დაეგზავნა ადგილებს ახალგ. ლენინური კომკავშირის ხაზით და მთელ რიგ მაზრებში უკვე დაიწყო კულტურული ლაშქრობა.

მიღებული ცნობებიდან სჩანს, რომ ლაშქრობა მეტად არანორმალურ პირობებში სწარმოებს, მას თითქმის არავითარი ხელმძღვანელობას არ უწევენ პარტიული ორგანიზაციები.

პროფკავშირები და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებიც განზე უდგანან ამ საქმეს და არავითარ მონაწილეობას არ იღებენ კულტურულ ლაშქრობაში. სუსტია პრესის მონაწილეობაც.

თბილისში. მთელი რიგი ობიექტიური მიზეზების გამო, ჯერ კიდევ არ დაწყებულა ლაშქრობა და სხვ.

ითვალისწინებს რა ზემოაღნიშნულს, ცეკა წინადადებას იძლევა:

1) უზრუნველყოფილ იქნას კულტურული ლაშქრობა ჯეროვანი პარტხელმძღვანელობით, ფართოდ იქნას ჩაბმული ლაშქრობაში ყველა დაინტერესებული ორგანიზაცია, პირველ რიგში პროფკავშირები და საზოგადოება „წერა-კითხვა".

2) პროფსაბჭომ თავისი ხაზით ადგილებს უნდა დაუგზავნოს სათანადო დირექტივა კულტურულ ლაშქრობაში კავშირების მონაწილეობის შესახებ.

3) კულტურული ლაშქრობა თბილისში უნდა დაიწყოს 1 დეკემბრიდან და დამთავრდეს 1929 წლის 1-ლ თებერვალს. თბილისის კომიტეტმა ახალგ. ლენ. კომკავშირთან ერთად თავის [illegible] უნდა შეიმუშაოს ყველა საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც დაკავშირებულია კულტურული ლაშქრობის წარმატებით ჩატარებასთან თბილისში და მის მაზრაში.

4) მაზრებში დაწყებული კამპანია გაგრძელდეს იმ ტემპით, რომ დამთავრებულ იქნას 1929 წლის 1-ლ იანვრისათვის.

5) კულტურული ლაშქრობა დაუკავშირდეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის თვიურს; მათვე დაუკავშირდეს აგრეთვე „წერა-კითხვის" საზოგადოების კვირეულის ჩატარება, რომელიც უნდა დაიწყოს 24 და დამთავრდეს 30 ნოემბერს.

6) გაზეთების რედაქციებმა უფრო ფართოდ და სრულად უნდა გააშუქონ კულტურული ლაშქრობის მსვლელობა და შედეგები.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი **მ. კახიანი.**

საქ. კომპარტიის ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე **ს. მამულია.**

თურქმენისტანის ს. ს. რესპუბლიკის 4 წ. თავი

ა.-კ. ცაკის მისალმება

გუშინ, 23 ნოემბერს, შესრულდა თურქმენისტანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის არსებობის ოთხი წლის თავი. ამის გამო ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. ს. აღამალი-ოღლიმ თურქმენისტანის რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

თურქმენისტანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის არსებობის ოთხი წლის თავზე ა.-კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მხურვალე სალამს უძღვნის თურქმენისტანის რესპუბლიკის ყველა ხალხებს და უსურვებს მათ, რომ მთელი ენერგია მოახმარონ სოციალიზმის საბოლოო აშენების საქმეს.

ომისაგან დანგრეულ მეურნეობის აღსადგენად წარმოებული ბრძოლა სამეურნეო და პოლიტიკურ ფრონტებზე, ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გაძლიერება, ქალების სრული განთავისუფლება და საბჭოთა კავშირის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხთა შორის ძმური კავშირის დამყარება საუკეთესოდ ამტკიცებენ, თუ რამდენად ძლიერია პროლეტარიატი, რომელსაც ღრმად სწამს კომუნიზმის საბოლოო გამარჯვება.

თურქმენისტანის საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელთ, მუშებსა და გლეხებს, რომლებმაც საბჭოთა რესპუბლიკის დასამყარებლად დახარჯეს დიდი ენერგია, ძალ-ღონე და სისხლი, შეუძლიათ სიხარულით უცქირონ თავისი შრომის ნაყოფს—მემამულეებისა და კაპიტალისტებისაგან თავისუფალ თურქმენისტანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას.

გაუმარჯოს საბჭოთა თურქმენისტანს!

გაუმარჯოს ხალხთა ძმურ კავშირს!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის მებრძოლ ავანგარდს — საკ. კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა განთავისუფლებული იქნენ თავის მოვალეობისაგან: უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. სამსონ ხარაბაძე; თბილისის სამაზრო - საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე—ამხ. აფ. კალანდაძე და ამავე სასამართლოს წევრი ამხ. კ. კობახიძე; ქუთაისის მაზრის მოსამართლე—ვლ. თოდრია და შორაპნის მაზრის მოსამართლე—ალ. ნაკაიძე.

პრეზიდიუმის დადგენილებით დაინიშნენ: თბილისის სამაზრო-საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეთ ამხ. სამ. ხარაბაძე; თბ. მაზრა-ქალაქის მოსამართლედ—ამხ. **ბაჭუა კუპრაშვილი**; ქუთაისის მაზრის მოსამართლედ—ამხ. ი. მახულია და შორაპნის მაზრის მოსამართლედ—ვლ. თოდრია.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

საქართველოში გასაღებულია 8.600.000 მან. ობლიგაცია

ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის კამპანია საქართველოში ახლო ხანში დამთავრდება. საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატში უკვე მიღებულია ცნობები იმის შესახებ, თუ როგორი რაოდენობით არის გასაღებული ადგილებზე სესხი 15 ნოემბრისათვის.

მთელს საქართველოში 15 ნოემბრისათვის გასაღებულია 8.600.000 მანეთის ობლიგაცია (საკონტროლო ციფრის მიხედვით უნდა გასაღებულიყო 4 მილიონი მანეთის ობლიგაცია).

სოფლად სესხის გასაღების მხრივ ასეთი მდგომარეობაა: საკონტროლო ციფრი (835.000 მანეთი) დაფარულია 90 პროცენტით (ე. ი. გასაღებულია 754.000 მანეთის ობლიგაცია). მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ სოფლად კამპანია კიდევ გრძელდება, შეიძლება ითქვას, რომ სესხის რეალიზაციის კამპანია სოფლად სასურველ შედეგებს გამოიღებს და საკონტროლო ციფრი დაფარული იქნება მთლიანად.

სოფლად სესხის რეალიზაციის მხრივ ცალკე მაზრებში ასეთი მდგომარეობაა: ახალციხის მაზრაში სესხი გასაღებულია 79 პროც. რაოდენობით, ბორჩალოში—108 პროც., გორის—107 პროც., შორაპნის—111 პროც., აჭარისტანში—355 პროც. დანარჩენ მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში—75 პროცენტით.

—:—

სესხის ობლიგაციები

ამ დღეებში საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატი მოსკოვიდან მიიღებს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციებს. ობლიგაციების მიღებისთანავე დაიწყება ობლიგაციების ნომრების განაწილება სესხის შემძენთა შორის.

კრასინელების გამგზავრება თბილისიდან

გუშინ თბილისიდან ლენინგრადში გაემგზავრნენ ყინულის მჭრელ „კრასინ"-ის კომანდის წარმომადგენლები მეზღვაურები **პერევოზჩიკოვი, ჩერისინი და ნიკოლაევი**, რომლებიც მოგზაურობდნენ საბჭოთა კავშირში პროფ. **სამოილოვიჩთან** და მფრინავ **სტრაუბესთან** ერთად.

გამგზავრების წინ მათ ჩვენს თანამშრომელს განუცხადეს:

— ჩვენ არასოდეს არ დაგვავიწყდება ის აღფრთოვანებული შეხვედრა, რომელსაც გვიმართავდნენ ყველგან მუშები. მოგზაურობის დროს ჩვენ მივიღეთ უდიდესი და საუკეთესო ჯილდო—ჩვენი მუშაობის მოწონება მუშათა მასების მიერ. ეხლა ჩვენ ვბრუნდებით „კრასინ"-ზე, სადაც გადავსცემთ ჩვენს ამხანაგებს, რომ საბჭოთა კავშირის მუშები ამაყობენ „კრასინ"-ის კომანდით და მოელიან მისგან კიდევ უფრო ნაყოფიერ მუშაობას მომავალში.

პროფ. სამოილოვიჩი და სტრაუბე გაემგზავრენ ერევანში, სადაც წაიკითხავენ მთელ რიგ ლექციებს.

ჩაის მოსავალი

მწვანე ჩაის დამზადება საქართველოს ჩაის პლანტაციებზე დამთავრდა. დამზადებული მწვანე ჩაი გადამუშავებულია „საქართველოს ჩაი"-ს ხუთ ფაბრიკაში.

ამჟამად უკვე გამორკვეულია წლევანდელი ჩაის კამპანიის შედეგი. წელს საქართველოს ჩაის პლანტაციებზე მწვანე ჩაი შეკრებილია 15 პროცენტით მეტი, ვიდრე გასულ წელს. „საქართველოს ჩაი"-ს ფაბრიკებში წელს დამზადებულია სულ 253.703 კილო ჩაი, ე. ი. 12 პროც. მეტი, ვიდრე გასულ წელს.

„საქართველოს ჩაი"-ს მთელი პროდუქცია გაეგზავნა „ცენტროსოიუზის" ჩაის სამმართველოს მოსკოვში.

აღმშენებლობის ფრონტზე

რა სჭირდება „სამშენს"

გასული სამეურნეო წლის განმავლობაში საზოგადოება „სამშენს" შესასრულებლად აღებული ჰქონდა 5.500.000 მანეთის სამუშაო. ამ სამუშაოებიდან პირველი ოქტომბრისათვის უკვე შესრულებული იყო 60 პროც.

ჩვენი თანამშრომლის მიერ საზოგადოების გამგეობაში მიღებული ცნობებით, წელს „სამშენი" განიცდის დიდ ფინანსიურ დაბრკოლებებს, რაც გამოწვეულია სამშენებლო მასალების დაგროვებით, საბრუნავი თანხების სიმცირით და სხ. საზოგადოების განკარგულებაშია ამჟამად 600.000 მანეთის საქონელი საწყობებში და 1.200.000 მან. საქონელი (უმთავრესად სააღმშენებლო მასალები) თვით სააღმშენებლო სამუშაოებთან. სააღმშენებლო სამუშაოების შესასრულებლად მიღებული ავანსები თავის დროზე დაბანდებული ყოფილა აღნიშნული მასალების შეძენაში და ამჟამად აღარ არის საკმაო თანხები იმისათვის, რომ „სამშენმა" ფართო მასშტაბით გაშალოს თავისი საქმიანობა. „სამშენ-სათვის" მოკლევადიანი სესხის მიცემის საკითხი დასმული იყო მთავრობის ორგანოებში, რომლებმაც საჭიროდ აღიარეს, რომ მიეცეს საზოგადოება „სამშენს" 400.000 მანეთის კრედიტი სახელმწიფო ბანკიდან.

„სამშენის" განვლილ საქმიანობაში ადგილი ჰქონდა საქმეს არარაციონალურად დაყენებას, რამაც გამოიწვია ფინანსიური დაბრკოლებები. გასულ საანგარიშო წლის განმავლობაში საზოგადოების ბალანსი სანუგეშო სურათს იძლევა. მთელი აქტივი უდრის 2.114.000 მანეთს, ხოლო პასივი—1.070.000 მანეთს. ამგვარად რჩება მოგებათა მნიშვნელოვანი თანხა, მაგრამ ეს თანხა წარმოდგენილია მხოლოდ საქონლის სახით.

„სამშენის" გამგეობა ამთავითვე ღებულობს ზომებს მომავალი სააღმშენებლო სეზონისათვის. პირველ რიგში განზრახულია მოხდეს საზოგადოების აპარატის გადასინჯვა, მისი გამარტივება და რაციონალიზაცია, მეორე კარდინალური საკითხი, რომლის მოწესრიგებაც სდგას გამგეობის მუშაობის დღის წესრიგში, ესაა შესაფერი კრედიტების მიღება. შექმნილი ფინანსიური დაბრკოლებების გადასალახავად, გარდა კრედიტების მიღებისა, საჭიროა საზოგადოების საპაიო თანხის შეკრებაც. საპაიო გადასახადი გადახდილი აქვს თბილისის აღმასკომს და კომუნალურ ბანკს. გადაუხდელი აქვს მხოლოდ ს. მ. უ. საბჭოს. მესამე საკითხი, რომლის მოგვარებასაც მიექცევა ყურადღება, ესაა სააღმშენებლო მასალების მომარაგებისა და დაგროვილი მასალების გასაღების საქმე.

მომავალი სააღმშენებლო სეზონისათვის „სამშენი"-ს გამგეობას განზრახული აქვს შეიტანოს მშენებლობის ტეხნიკაში მთელი რიგი გაუმჯობესებანი, რაც დიდ გავლენას მოახდენს სააღმშენებლო სამუშაოთა გაიაფებაზე. ასე, მაგალითად, გარდა ზოგიერთი მანქანების შეძენისა, მშენებლობის ტეხნიკაში შემოღებული იქნება ზეინკალ გ. ბუღდაიშვილის გამოგონება (განსაკუთრებული მოწყობილობა ხის ჩარჩოების მაგიერ).

ქრონიკა

მეხანძრეთა რაზმის დაჯილდოება

სრულიად საქართველოს ცაკის დადგენილებით თბილისის მეხანძრეთა რაზმი დაჯილდოებულია შრომის ორდენით, ამის გამო, კვირას, 25 ნოემბერს, დილის 10 საათზე თბილისის საბჭოს წითელ დარბაზში შესდგება თბილისის საბჭოს კომუნალურ სექციის საზეიმო სხდომა, ხოლო დღის 12 საათზე თავისუფლების მოედანზე მოხდება მეხანძრეთა რაზმისთვის ჯილდოს საზეიმო გადაცემა.

1926 წ. სახ. სესხის მეცხრე ტირაჟი

სახ. ბანკის თბილისის კანტორის ცნობით მიმდინარე დეკემბერს მოსკოვში დაიწყება 1926 წლის სახელმწიფო სესხის მეცხრე ტირაჟი. ტირაჟის მოახლოების გამო მოთხოვნილება ამ სესხის ობლიგაციებზე საგრძნობლად გაიზარდა.

1926 წლის სესხი გამოშვებულია 30 მილიონ მანეთის რაოდენობით. ის ობლიგაციები, რომელთაც ხვდათ მოგება გასულ ტირაჟებში მომავალ ტირაჟებში, მონაწილეობას არ ღებულობენ, რის გამო იზრდება მოგების შანსი.

მომავალ ტირაჟში სულ გათამაშებული იქნება 1200 მოგება (699.000 მანეთის რაოდენობით). აქედან ერთი მოგება იქნება—100.000 მანეთიანი, 2 მოგება—თითო—50.000 მანეთიანი, 3 მოგება თითო 25.000 მანეთიანი, 5 მოგება—თითო 10.000 მანეთიანი, 10 მოგება თითო 5.000 მანეთიანი, 79 მოგება—თითო 1000 მანეთიანი, 250 მოგება—თითო 300 მანეთიანი და 850 მოგება—თითო 200 მანეთიანი.

16.970 მან. მოგება

სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორამ უკანასკნელი თვის განმავლობაში გასცა სხვადასხვა სახელმწიფო სესხების 563 მოგება—16.970 მან. რაოდენობით. აქედან 1926 წლის 102 მოგება—3.900 მან, 1927 წლის 10 პროცენტიანი სესხის 45 მოგება—1.220 მან., ინდუსტრიალიზაციის პირველი სესხის 181 მოგება—6.050 მან. და გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის 235 მოგება—5.800 მან რაოდენობით.

ბრძოლა ვენერიულ სენებთან

ვენერიულ სენების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებამ ახლად დაარსებულ ვენეროლოგიისა და დერმატოლოგიის ინსტიტუტთან გახსნა სპეციალური ღამის პროფილაქტიური პუნქტი, რომელიც წინასწარ საექიმო დახმარებას აღმოუჩენს ყველა მოქალაქეს. ყოველ მოქალაქეს შეუძლია მიმართოს აღნიშნულ პუნქტს ვენერიულ სენით დაავადების თავიდან აცილების მიზნით. პუნქტი მოთავსებულია კამოს ქ. 34 და ღიაა ყოველ დღე საღამოს 8 საათიდან, დილის 8 საათამდე.

ბამბის გატანა

დაიწყო ბამბის გაძლიერებული გატანა ამიერ-კავკასიიდან. ყოველდღე ამიერ-კავკასიის რკინისგზის სადგურებზე იტვირთება 20-დე ვაგონი ბამბა. მთელი ეს ბამბა იგზავნება მოსკოვის საფეიქრო ფაბრიკებში.

თბ. აღმასკომში

◆ **კბილის საექიმო პოლიკლინიკა.** ჯანმრთელობის განყოფილება შეუდგა კბილის საექიმო პოლიკლინიკის მოწყობას სპეციალურად ბავშვებისათვის.

◆ **ტელეფონი თემებში.** თბ. აღმასკომმა დაადგინა თბილისიდან მაზრის თემებში გაიყვანოს ტელეფონის ახალი ხაზები.

მიწად-მოქმ. კომისარიატში

◆ **გაზაფხულის თესვა.** მიწ. მოქმ. სახალხო კომისარიატი შეუდგა წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის.

◆ **შემკეთებელი სახელოსნო.** მიწად-მოქ. სახალხო კომისარიატმა დაადგინა გააფართოვოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემკეთებელი ცენტრალური სახელოსნო.

სხვადასხვა

◆ **ჩაის კულტურა.** კვირას, 25 ნოემბერს, დღის 12 საათზე საქართველოს სახ.-სამ. მუზეუმში ამხ. სუგაკოვი წაიკითხავს მოხსენებას: „ჩაის კულტურა იაპონია-ჩინეთში და ჩაის კულტურის განვითარების პერსპექტივები საქართველოში".

ხელოვნების ქრონიკა

◆ **„ემიგრანტი".** კვირას, 25 ნოემბერს თბილისის მუშათა თეატრში წარმოდგენილი იქნება პრემიერა კრაშენიკოვის პიესა „ემიგრანტი", დადგმა კ. შველცერის (პესიმისტი), მხატვარი ვ. ივანოვი, მუსიკა—პახაევის. წარმოდგენაში მონაწილეობს მთელი დასი.

◆ სახელმწიფო ოპერის თეატრში დღეს მე-6 აბონემენტისათვის წარმოდგენილი იქნება „ევგენი ონეგინ" სლივინსკის მონაწილეობით.

◆ **შაბათს, 24 ნოემბერს საღამოს სრულ 6 საათზე** ხელოვნების სასახლეში გაიხსნება საქართველოს პროლეტ. მწერალთა ასოციაციის გამგეობის პლენუმი. დღის წესრიგი: 1) თანამედროვე ლიტერატურა და პროლეტარული მწერლობის ამოცანები—მომხ. ამხ. ბუაჩიძე, 2) მომავალი მუშაობის გეგმა—მომხ. ამხ. ს. ეული.

მაიმუნების ფერმა

აფხაზეთში

სოხუმის მაიმუნების ფერმაში ამჟამად სწარმოებს მუშაობა მაიმუნებისათვის ახალი ბინების მოსაწყობად. ახალი ბინები ეწყობა ფერმის მთავარ შენობაში. მაიმუნების გალიები გაფართოვებული იქნება. შენობის შიგნით ეწყობა პატარა საზამთრო ბაღი პალმებისა და სხვა დეკორატიულ მცენარეებისაგან. ახალ ბინაში გადაყვანილი იქნებიან, უმთავრესად, ადამიანის მაგვარი ჯიშები—ორანგუტანგი და შიმპანზე.

თავდება მუშაობა დიდი მოედნის მოსაწყობად, რომლის სივრცე იქნება 3 დესეტინა. მოედანი შემოვლებული იქნება 4 მეტრის სიმაღლის რკინა-ბეტონის კედლით. მთელი მოედანი დაყოფილი იქნება სამ ნაწილად: ერთში მოთავსებული იქნებიან გამადრილები, დანარჩენებში კი ორანგუტანგები და შიმპანზე.

ამ დღეებში სოხუმში ჩავა ცნობილი პროფესორი ივანოვი, რომელიც ხელოვნურ განაყოფიერების ცდებს აწარმოებს. ფერმაში პროფესორი ჩაატარებს გიბრიდის, შიმპანზეს და ორანგუტანგის მოშენების ცდებს.

ლითონტრესტის რეორგანიზაცია

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა ლითონის ტრესტის მდგომარეობის შესახებ წარდგენილი მოხსენება და საჭიროდ სცნო ტრესტის სტრუქტურას რეორგანიზაცია.

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის დადგენილებით ტრესტს ეყოლება მხოლოდ ერთი მმართველი, რომლის მოადგილეთ დანიშნული იქნება საწარმოო განყოფილების გამგე სპეციალისტი-ინჟინერი. ტრესტთან არსებულ საკონტროლო-საგეგმო განყოფილებიდან გამოყოფილი იქნება 2 ქვე-განყოფილება—მომარაგებისა და პროდუქციის გასაღების საქმეების მოსაწესრიგებლათ, მომარაგების ქვე-განყოფილება იმუშავებს მხოლოდ ტრესტის წარმოებებისათვის საკმაო ნედლი მასალის მომარაგებაზე.

ტრესტის სამმართველოს დაევალა დაუყოვნებლივ შეუდგეს ტრესტის შტატების შემოწმებას და სამუშაო გეგმის შედგენას.

თბილისის სამაზრო სოც. უზრუნველყოფის განყოფილების მუშაობა

თბილისის სამაზრო სოც-უზრუნველყოფის განყოფილებას 1928 წლის 1 ოქტომბრისათვის აღრიცხვაზე ჰყავდა აყვანილი 2760 კაცი. აქედან ომის ინვალიდების რიცხვი უდრის 898, შრომის ინვალიდების—241, უმწეო ინვალიდების—1538, ომში მოკლულთა და უგზო-უკვალოდ დაკარგულთა ოჯახების—51 და სხვა.

უსახსრობის გამო განყოფილებიდან პენსია ეძლევა მხოლოდ 560 კაცს. წლის განმავლობაში ერთდროულად დახმარება მიეცა—3.348 კაცს, რაზედაც დაიხარჯა 19.939 მანეთი. ერთდროული დახმარება მიიღო დემობილიზაციაქმნილ 808 წითელ არმიელის ოჯახმა.

დახმარების გადიდების მიზნით აღმასკომიდან გამოთხოვილი იყო 300.000 მანეთი. მაგრამ განყოფილებამ მიიღო მხოლოდ 88 ათასი მანეთი. ცხადია, რომ ასეთ პირობებში ინვალიდთა უმეტესი ნაწილი დაუკმაყოფილებელი რჩება. დიდი ყურადღება ექცევა ინვალიდების არტელებში გაერთიანების საქმეს. ამჟამად არტელების წევრად ითვლება 327 ინვალიდი. კავშირი ადგილებთან სუსტია, თანამშრომელთა სიმცირის გამო. გლეხობა არ არის გაცნობილი განყოფილების მიზნებსა და ამოცანებთან. განყოფილებამ მაზრისათვის მოითხოვა ინსტრუქტორი. მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს თხოვნა დაუკმაყოფილებელია. განყოფილება ბინის დიდ სივიწროვეს განიცდის: უკავია მხოლოდ სამი პატარა ოთახი—სივრცით 40 კვად. მეტრი. მოსაცდელი ოთახიც კი არა აქვს. მთხოვნელთა რიცხვი კი ყოველდღიურათ 150 კაცს აღემატება.

განყოფილებას განზრახული აქვს 1929 წლის 1 იანვრიდან გაადიდოს პენსიონერთა დახმარება, როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

სოფ. ბექათუბანში აღმოჩენილია არქეოლოგიური იარაღები

რატომ გახშირდა არქეოლოგიური განძების აღმოჩენა.—„ამორძალების ცული".—გლეხები განძებს იტაცებენ. სად არის ჟინვალის და ბექათუბანის განძები.

ამ დღეებში საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებას მოქ. **ი. თოფჩაიშვილმა** გადასცა ე. წ. „ამორძალების ცული", რომელიც ამორძალებს სხვა იარაღებთან ერთად აღმოუჩენიათ სოფ. ბექათუბანში ელექტრო-ანძისათვის ორმოს ამოთხრის დროს. მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების გამგის **გ. ნიორაძის** გადმოცემით სხვადასხვა არქეოლოგიური მნიშვნელობის განძების აღმოჩენის გახშირება აიხსნება იმ გარემოებით, რომ აღმშენებლობის გაფართოების გამო საჭირო ხდება მიწის გათხრის წარმოება, რაც ხელს უწყობს ძველი ძეგლების პოვნას.

ამორძალების იარაღების აღმოჩენის შესახებ არქეოლოგი გ. ნიორაძე ამბობს:

— „ამორძალის ცული", რომელიც მუზეუმს გადასცა მოქ. ი. თოფჩაიშვილმა დიდ არქეოლოგიურ ინტერესს წარმოადგენს და ეკუთვნის მე-11, მე-10 საუკუნეებს ქრისტეს დაბადებამდე. სახელწოდება „ამორძალების ცული" შემოღებულია მეცნიერებაში მას შემდეგ, რაც ძველ ბერძნულ ჭურჭლებზე ნახეს ამორძალების მეომარი ქალები იყვნენ) გამოხატულება ამგვარი ცულებით ხელში. აღსანიშნავია, რომ „ამორძალების ცულის" ორიგინალები ნაპოვნია როგორც საქართველოში, ისე სამხრეთ-კავკასიის სხვა კუთხეებში.

ამორძალების ცულის გამოხატულება ამ რამოდენიმე ხნის წინეთ აღმოაჩინეს ხეთების მეფის ფიგურაზე ბოღაზკიოში (უკანასკნელი მდებარეობს მცირე აზიაში შავი ზღვის სამხრეთით, მდ. გალისის მარჯვენა ნაპირზე; ბოღაზკიოი იყო ხეთების სახელმწიფოს სატახტო ქალაქი 4 ათასი წლის წინეთ ქრ. დაბადებამდე).

უკვე დანამდვილებით, შეიძლება ითქვას, რომ ერთ დროს ძლიერ ხეთების სახელმწიფოს, რომელიც შიშის ზარს სცემდა ბაბილონებს, ასურელებს და ფარაონების ჯარს, დიდი გავლენა ჰქონდა არა მარტო თუ კავკასიის და ეგეის ხალხთა კულტურაზე, არამედ უფრო შორი ქვეყნების ხალხთა. მაგალითად, თანამედროვე სამხ.-რუსეთის ხალხთა ყოფა-ცხოვრებაზედაც. ხეთების კულტურის გავლენას საქართველოზე ადასტურებს ამორძალების იმ იარაღების აღმოჩენა ჩვენში, რომლებიც უკვე თავმოყრილია საქართველოს მუზეუმში (მახვილები, ბეჭდები, ცულები, იტიფალური ბრინჯაოს ქანდაკებანი და სხ.). სოფ. ბექათუბანში აღმოჩენილი ყოფილა 7 ცალი ცული, რაც იშვიათ ღირებულებას წარმოადგენს სამეცნიერო თვალსაზრისით. მაგრამ ეს ცულები გარდა ერთისა გლეხებს დაუტაცებიათ. ასეთივე ბედი ეწია ამას წინათ სოფ. ჟინვალის მახლობლად გზის გაყვანის დროს აღმოჩენილ არქეოლოგიურ განძეულობას.

დროა ყველამ შეიგნოს, რომ წარსული დროის ნაშთები შეადგენს მთელი სახელმწიფოს და მეცნიერების საკუთრებას. შემთხვევით აღმოჩენილ განძთა შეგროვებას სოფლებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ თემაღმასკომებმა და არავის არ უნდა მისცენ ნება მიითვისონ აღმოჩენილი ნივთები. ამის შესახებ უკვე გამოცემულია სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის დეკრეტი № 95, რომელიც, სამწუხაროთ, ყველგან და ყოველთვის არ სრულდება.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჟინვალის და ბექათუბნის განძეულობა გატაცებულია ისეთი ხალხის მიერ, რომელთა შორისაც მათი შეკრება შესაძლებელია, მხოლოდ ამისათვის საჭიროა შესაფერი ზომების მიღება.

სასამართლო

საიდუმლოებით მოცული მკვლელობა

(პროცესის მეორე დღე)

კიდევ მეტი გაურკვევლობა შეიტანა საქმეში მოკლულ რაფაელ ბოთურაშვილის ცოლის ჩვენებამ.

მოწმე აცხადებს სასამართლოში, რომ საავადმყოფოში მისმა ქმარმა სიკვდილის წინ მოასწრო იმის თქმა, თითქოს მეკინულოვის მიერ არის მოწყობილი მისი მოკვლა.

როგორც მკითხველებმა იციან, მეკინულოვი ჭურჭლეულობის მაღაზიის პატრონია, რომელთანაც ნოქრად მუშაობდა ამჟამად ბრალდებული შაფთოშვილი.

მოწმის ჩვენებით, მეკინულოვსა და მის ქმარს შორის უკმაყოფილება იყო იმის გამო, რომ მეკინულოვი მის ქმარს არ უხდიდა სესხად აღებულ ათას მანეთს. ხშირად ჰქონდათ ამის გამო შეხლა-შემოხლა. მეკინულოვი თითქოს მოკვლითაც ემუქრებოდა მის ქმარს.

მოწმე ფიქრობს, რომ მეკინულოვმა მოისყიდა თავისი ნოქარი შაფთოშვილი და მოაკვლევინა მისი ქმარი რაფაელ ბოთურაშვილი, ხოლო ბრილიანტების მითვისების ამბავი მათ მიერ არის მოგონილი.

მოწმეების დაკითხვა დამთავრდა. საქმე კი ისევ ბურუსით არის მოცული.

იწყება მხარეების კამათი. სიტყვა ეძლევა პროკურორს ამხ. ტატიშვილს.

პროკურორს მეკინულოვისათვის ამ მკვლელობაში თანამონაწილეობის ბრალდება შეუძლებლად მიაჩნია. საამისო მასალა სასამართლოს არ მოეპოვება.

პროკურორის სიტყვით, სასამართლოს არ მოეპოვება აგრეთვე იმის დამამტკიცებელი საბუთები, თუ ნამდვილად რა გარემოება, რა მიზეზი უძღოდა წინ მკვლელობას.

ბრილიანტის თვლებიანი საყურეების და სხვა ძვირფასი ნივთების წართმევის ისტორია პროკურორის აზრით სიმართლეს არ შეეფერება. არც ერთი მოწმე არ ადასტურებს იმას, რომ შაფთოშვილს მართლაც ჰქონდა ძვირფასი ნივთები. საკვირველია, ლაპარაკობს პროკურორი, როგორ და სად ჰქონდა შენახული ეს ნივთები ბრალდებულს ისე, რომ 12 წლის განმავლობაში არავის თვალი არ მოუკრავს მისთვის.

პროკურორს ყოვლად დაუჯერებლად მიაჩნია ბრალდებულის განცხადება, რომ მან 1662 მანეთად მიჰყიდა ეს ნივთები ბოთურაშვილს, ხოლო უკანასკნელს 12 მანეთის მეტი არ გამოართვა. არც მოწმე დაესწრო ნივთების მიცემის დროს, არც ხელწერილი ჩამოართვა ისეთ პირს, რომელსაც იგი მხოლოდ შორიდან იცნობდა.

— მაშ სად უნდა ვეძიოთ მკვლელობის ნამდვილი მიზეზი?—აყენებს კითხვას პროკურორი. ამ მიზეზის გამოსარკვევად სასამართლოში დაგროვილი მასალები ვერ იძლევიან ხელშესახებ ფაქტებს. აქ არაფერ შუაშია, ბრილიანტები, არაფერ შუაშია მეკინულოვი, აქ რაღაც საიდუმლო მიზეზთან გვაქვს საქმე.

პროკურორს დასაშვებად მიაჩნია ასეთ დასკვნამდე მისვლა: შაფთოშვილმა და ბოთურაშვილმა, ალბად, რაღაც საიდუმლო კომბინაცია გააკეთეს, შაფთოშვილი ბოთურაშვილმა არ დააკმაყოფილა შეპირებული თანხით და ამ ნიადაგზე აღელვებულმა შაფთოშვილმა ჩაიდინა მკვლელობა.

პროკურორის სიტყვის დამთავრების შემდეგ სხდომა იხურება.

მორიგი სხდომა შესდგება დღეს დილით, რომელზედაც გაგრძელდება მხარეების კამათი.

თუმანს ათ თუმნად ასაღებდნენ

ამა წლის აპრილში ერთმა გლეხმა ზურაბ ნამორაძემ (დუშეთის მაზრიდან) თბილისში კამეჩი ჩამოიყვანა გასაყიდათ.

გლეხს დიდხანს ჰყავდა ბაზარზე კამეჩი. მოდიოდნენ მუშტრები, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოურიგდა.

ბოლოს გლეხთან მიდის ორი მოქალაქე. უცნობი მოქალაქეები დაუწყებენ ვაჭრობას და ურიგდებიან 200 მანეთად. გლეხი თანახმაა.

—ათი თუმნის ხურდა ხომ არ გაქვს?—ეუბნება გლეხს ერთი მათგანი.

გლეხს აღმოაჩნდა ხურდა. მისცა უცნობ მოქალაქეს და მისი „ათ თუმნიანი" ჯიბეში ჩაიდო.

— აბა დაიცადე აქ, კამეჩს სხვას ნუ მიჰყიდი. ჩვენ ეხლავე მოვალთ. ფულს მოვიტანთ,—უცნობები წავიდნენ.

არ გასულა დიდი ხანი. ერთი მათგანი უკან დაბრუნდა და ორი „ათ-ათ თუმნიანი" ხელში მისცა გლეხს, კამეჩი კი გაირეკა.

ნამორაძე კმაყოფილი დარჩა. იმ წამსვე გაეშურა თავის შვილთან, რომელიც აქ თბილისში უნივერსიტეტში ჰყავს გამოგზავნილი.

მამამ შვილს ხელში მისცა ერთი „ათ თუმნიანი" და სთხოვა ფოსტით გადაგზავნე ოჯახშიო.

შვილმა დახედა „ათ თუმნიანს" და მაშინვე დაიძახა: „მამა, ვინ შემოგატყუა ეს ფული. გავიქცეთ ეხლავე, დავაჭერინოთ. აბა მიჩვენე დანარჩენი ფული?"

შვილმა ნახა მეორე „ათ თუმნიანი" და ყველა ყალბი აღმოჩნდა.

ორივე „ათ თუმნიანი" წარმოადგენდა ნამდვილ თითო თუმნიანს, მხოლოდ გადაკეთებული იყო „1 ჩერვონეცი" 10 ჩერვონცათ.

შვილი მაშინვე გაიქცა მილიციაში. მილიცია შეუდგა ბოროტმოქმედთა ძებნას და მალე კიდევ აღმოაჩინა. ისინი აღმოჩნდნენ **სარდიონ ალექსის ძე კოპლამაზაშვილი** და **ილო კეზერელი**, რომლებიც დახელოვნებული ყოფილან 1 ჩერვონეცის ათ ჩერვონცად გადაკეთებაში.

დუშეთის მაზრაში მათ ასეთი ყალბი ფულებით ბევრი გლეხი ჰყავთ მოტყუებული და გაუბედურებული.

კოპლამაზაშვილი და კეზერელი გაასამართლა დუშეთის უბნის სახალხო სასამართლომ და თვითეულს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა რვა-რვა თვით. მათ უნდა გადაუხადონ გლეხს დატყუებული თანხა.

ვერ.

მეცნიერება და ტეხნიკა

ბლერიოს ახალი აეროპლანი

აეროპლანების ცნობილი კონსტრუქტორი ბლერიო აშენებს ახალ სამგზავრო ჰიდროპლანს, რომელზედაც დადგმული იქნება 4 მოტორი. ჰიდროპლანი დანიშნულია ოკეანეზე გადაფრენებისათვის. მისი თავისებურობას წარმოადგენს სპეციალური ნავი, რომელიც ჰიდროპლანის წყალში ჩავარდნის დროს ავტომატიურად სცილდება კორპუსს და ამრიგად შესაძლებელი ხდება მგზავრების უვნებლად გადარჩენა.

სურათზე—ბლერიოს ახალი ჰიდროპლანის პროექტი, ჰიდროპლანის ცენტრში მოსჩანს მგზავრების გადასარჩენი ნავი.

ავტომობილები მხრჩოლავი გაზების გადასატანად

საფრანგეთის სამხედრო სამინისტრომ შემოიღო ახალი ტიპის ავტომობილები მხრჩოლავი გაზების გადასატანად. ავტომობილზე დადგმულია ჯავშნიანი რეზერვუარები, რომელსაც მხრჩოლავი გაზებით ავსებენ. ახალი ტიპის ავტომობილების შემოღებით საგრძნობლად ადვილდება მხრჩოლავი გაზების გადატან-გადმოტანა.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 24 ნოემბერი

დღეს, 24 ნოემბერს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

გლეხთა რადიო-გაზეთი; რადიო-კვანძის რადიო-გაზეთი; მუსიკალური დასვენება; მოხსენება საბჭოების გადარჩევის შესახებ ოსურ ენაზე; ერთი კვირის პროგრამის გადაცემა; კონცერტი სტუდიიდან; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია და ამინდის ბიულეტენი; კონცერტი სტუდიიდან.

რკინის გზაზე

ნავთის ექსპორტის გაძლიერება

უკანასკნელ ხანებში მოთხოვნილება საბჭოთა ნავთზე საზღვარგარედ საგრძნობლად გაიზარდა. მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით გაძლიერებულია საექსპორტო ნავთის გადაზიდვა ამიერ-კავკ. რკ. გზებზე და მისი გადაქაჩვა ბაქო-ბათომის ნავთსადენით.

მატარებლის მოხსნა

სახალხო მატარებელი № 17—18, რომელიც დადიოდა თბილისიდან ხაშურამდე და უკან კვირა დღეებში, მგზავრების რიცხვის შემცირების გამო მოიხსნა.

ამ მატარებლის მაგიერ თბილისიდან ხაშურამდე ივლის მატარებელი № 24—25, რომელიც თბილისიდან გავა შაბათობით და უკან დაბრუნდება კვირაობით.

შემთხვევები

მკვლელობა

გუშინ, დილით, არშაკ გრიგოლის ძე ხაჩატუროვმა (მცხ. ეჩმიაძინის ქ. № 10) რევოლვერით მოკლა თავისი ცოლი—ოსანა ხაჩატუროვი. მკვლელობის მიზეზი ირკვევა. მკვლელი დაპატიმრებულია.

თვითმკვლელობა

თბილისის სისხლის სამართლის მილიციაში მიღებული ცნობების თანახმად, 22 ნოემბერს, ღამით თავის ბინაზე თოკით თავი ჩამოიხრჩო 15 წლის ახმედ ისა-ოღლიმ (ყარაიაში მცხოვრები).

რეციდივისტები

სისხლის სამართლის მილიციამ პასუხისგებაში მისცა; სურენ გეურქის ძე გულიანცი, ანუშევან ეფრემის ძე პოღოსოვი და ლიუბა იოსების ასული მჭედლიშვილი, რომლებსაც ბრალდებათ ჯიბგირობა და ქურდობა.

ქურდობა

გაქურდეს კონსტანტინე კეკუტიას ბინა (ელბაქიძის დაღმართი № 12); წაიღეს 600 მანეთის საოჯახო ნივთები.—გაქურდეს ევგ. გრეჩენკოს ბინა (პრესის ქ. № 10); მოპარულია 50 მანეთის ნივთები.—ფეთხონ მანასიანცის ბინიდან (ყვირილის ქ. № 16); წაიღეს 387 მანეთის ნივთები.—გაქურდეს ანტონ ხუბულურის ბინა (ამოს ქ. № 1); წაიღეს 100 მანეთის საოჯახო ნივთები.—საბჭოს ქუჩაზე მდებარე ბაქში სოფ. ვანეთიდან (ერწოს სამილიციო რაიონი) ჩამოსულ გლეხს შიო ბარიძეს მოპარეს ორი ხარი.—გარდა ამისა, 22 ნოემბერს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის სამი შემთხვევა. დაპატიმრებულია ორი ქურდი.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება № 23

ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1928 წლის ნოემბრის 12

პრაქტიკანტებისა და სტაჟიორებისათვის მინიმალურ ხელფასის დაწესების შესახებ იმ დაწესებულებებში, სადაც გატარებულია ხელფასის სახელმწიფო მოწესრიგება (დანორმვა) და თანამდებობითი ხელფასის სისტემა".

ს. ს. რ. კავშირის შრომის სახ.კომისარიატის მიერ 1926 წ. ნოემბრის 26-ს თარიღით და 252—145 №-ით „უნივერსიტეტების, ინსტიტუტების და ტეხნიკუმების მოსწავლეთათვის პრაქტიკის ადგილების და ამ სასწავლებელთა სრულ კურსდამთავრებულ პირთათვის, სტაჟის გასავლელი ადგილების მიწოდების წესის შესახებ" (ა. კ. შრომ. კან. მოამბე № 19—27 წ.) გამოცემული ინსტრუქციის მე-18-ე მუხ. თანახმად, საქ. სსრ შრომის სახკომისარიატი ადგენს:

1. უნივერსიტეტების, ინსტიტუტების და ტეხნიკუმების მოსწავლენი და სრულ კურსდამთავრებულნი—მივლინებულნი წარმოება-დაწესებულებებში პრაქტიკის და სტაჟის მისაღებად დაკმაყოფილებულნი უნდა იქნენ უკანასკნელთა მიერ პრაქტიკის ან სტაჟის გავლის მთელი დროის განმავლობაში შესრულებულ სამუშაოს და მიხედვით. მაგრამ არა ნაკლებ ამა თუ იმ წარმოებაში მომქმედ სატარიფო ქსელის მე-6-ე ხარისხისა, ხოლო იმ დაწესებულებებში, სადაც სახელმწიფო მოწესრიგების ან შეთანხმების წესით დაწესებულია მტკიცე თანამდებობითი ხელფასი და სატარიფო ქსელი არ გამოიყენება, მათი ხელფასი არ უნდა იყოს 45 მანეთზე ნაკლები.

2. სტაჟიორები და პრაქტიკანტები შესრულებულ სამუშაოს და მიხედვით სრული ხელფასით კმაყოფილდებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დაკისრებულ სამუშაოს ასრულებენ სრულიად დამოუკიდებლად და არ მოითხოვენ ხელმძღვანელ პირთა მხრივ განსაკუთრებულ ხელმძღვანელობას.

შენიშვნა: აღნიშნული წესი გამოიყენება აგრეთვე იმ სტაჟიორებისა და პრაქტიკანტების მიმართ, რომელთაც უკავიათ თავისუფალი თანამდებობა იმ დაწესებულებებში, სადაც გატარებულია ხელფასის სახელმწიფო მოწესრიგება (დანორმვა).

3. აღნიშნული დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავენი მიეცემიან პასუხისგებაში არსებულ კანონმდებლობის თანახმად.

საქართველოს ს. ს. რ. შრომის სახკომისარი ს. თოდრია.

სატ. ხაკ. გან. გამგე უნგიაძე.
საერთო-საორ. გან. გამგე ჯაბადარი.

ჩვენი ფოსტა

ხელის მომწერ არჩილ მიხაძე ჭყოიძეს—შეგვატყობინეთ თქვენი მისამართი, რომ გიგზავნოთ გაზეთი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ შაბათს, 24 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე აგიტპროპმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში (სხდომის დარბაზი) შესდგება პარტშელის პოლიტცოდნის პროპაგანდისტთა მთლიანი სკოლის სემინარის მორიგი მეცადინეობა.

სავალდებულოა ყველა რაიონების ხელმძღვანელთა გამოცხადება (გარდა ამიერ-კავკასიის, კომუნის. უნივერსიტეტისა).

დღეს, 24 ნოემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე შესდგება სოც. ეკ. ფაკ. 1 და 2 კურსთან არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა. ბიუროს წევრ კანდიდატებს გარდა უნდა გამოცხადდენ ის ამხანაგები, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადებები კომკავშირში მიღების შესახებ.

საქ. უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტთან არსებული ა. ლ. კ. კავშირის 1-ლი უჯრედის ბიურო იტყობინება, რომ 24 ნოემბერს დღის 1-ლ საათზე მოწვეულია უჯრედის კრება. კრება შესდგება აგრ. ფაკულტეტის შენობაში (ყოფ. სემინარია).

შაბათს, 24 ნოემბერს, შესდგება კომკავშირის სემინარების მეცადინეობა: საქართველოს ლენინურ კომკავშირის **1 რაიკომში** საღამოს 5 საათზე. ქართული სემინარის ხელმძღვანელი ამხ. ებრალიძე, რუსული სემინარის ამხ. ვილენსკაია; ლენინურ კომკავშირის **ქალაქის რაიკომში** მეცადინეობა შესდგება პოლიტგანათლების ცენტრალურ კაბინეტში საღამოს 7 საათზე; რუსული სემინარის ხელმძღვანელი ამხ. შახდინაროვი. ქართული—სემინარის ამხ. კატახიძე; ლენინურ კომკავშირის **მესამე რაიკომში** სომხური სემინარის მეცადინეობა შესდგება კომკავშირის რაიონულ კომიტეტის შენობაში საღამოს 7 საათზე; სემინარის ხელმძღვანელი ამხ. ძალანიანი.

დღეს, ა. წ. 24 ნოემბერს, დილის 11 საათზე ცეკას სოფლად მუშაობის განყოფილებაში მოწვეულია მეცხვარეთა ორგანიზაციების რეორგანიზაციის საკითხის განმხილველი კომისია.

სავალდებულოა შემდეგი ამხ. დასწრება: 1) რასულ-ზადე (საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია), 2) დუგლაძე (სოფლის კავშირი), 3) ქურციკაშვილი („მწყემსი"), 4) დევდარიანი (თერგის - ხევი), 5) ალიე-

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მარიამი შვილებით: ტიტე ცოლით ვარვარა, ეკატერინე პაპიაშვილისა ქმრით დავითით, კონსტანტინე ცოლით—ვარვარა, სერგო—ცოლით სონია და შვილისშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ივანე ზერის-ძე გოგსაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას, 25 ნოემბერს, დილის 11 საათზე საკუთარ ბინიდან საბჭოს ქ. (ყოფ. ჩერქეზიშვილის) № 104. (ე)

რძალი მართონა გოგსაძისა შვილებით; ძმისშვილი—ილია ცოლშვილით, სიძამრი, შვილები: ვასილი და ივანე ადუაშვილები ცოლშვილით და ელისაბედი ნადირაძისა შვილებით ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ, მათთვის ძვირფასი და საყვარელ

ივანე ზერის-ძე გოგსაძის

გარდაცვალების გამო. გამოსვენება კვირას, 25 ნოემბერს, დილის 11 საათზე საკუთარ ბინიდან საბჭოს ქ. (ყოფ. ჩერქეზიშვილის) № 104. (ე)

დამწუხრებული მეუღლე ვლადიმერ ილიას-ძე ლოლაძე, მშობლები, აღური და ანა ჟუჟუნაშვილები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ კვირას, 25 ნოემბერს, 1 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ

ელენე (ელიკო) ლოლაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. (ე)

დამწუხრებული მშობლები თამარი და სოლომონი, ბებიები: პუპი, კატო, იუსტინე, ბაბუა ოქროპირ, მამიდები: მარუსა, ნინო, მაშო, ჟენია, ბიძები: ვლადიმერ და სამუელ მიქატაძეები და ვალოდია და ჭუჭულა თევზაძეები, დეიდები: ქსენია, პისტი, რაისა, ბიძაშვილები: შოთა და კატუშა მიქატაძეები იუწყებიან

პატარა ლილი მიქატაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24 ნოემბერს, ოზურგეთში. ნ. 1878

ექიმი მარიამი ბაქრაძე დედაბრიშვილისა შვილებითა და სიძითურთ იწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ნოემბრის 22, გარდაიცვალა მისი შვილი

ბიძინა დედაბრიშვილი

გამოსვენება ქალაქის 1-ლი საავადმყოფოდან (ავლაბარში), ნოემბრის 25, ნაშუადღევის 1 საათზე, ავლაბრის სასაფლაოზე (რკ. გზის გადაღმა) დასასაფლავებლად. 4990

ქალაქის პირველ საავადმყოფოს ექიმები გამოთქვამენ გულითად მწუხარებას საავადმყოფოს დამსახურებულ თანამშრომელის ექიმ მარიამ სიმონის ასული ბაქრაძე-დედაბრიშვილის ვაჟის

ბიძინა შიოს ძე დედაბრიშვილის

გარდაცვალების გამო. გამოსვენება საავადმყოფოს პროზექტურიდან კვირას, 25 ნოემბერს 1 ლ საათზე ავლაბრის სასაფლაოზე, რკინის გზის გადაღმა 4981

ამიერ კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ნავსადგურების განყოფილება და სანაოსნო გზების სამმართველო იუწყება, რომ კვირას, 25 ნოემბერს, დღის 12 საათზე რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი სამსახურის მოვალეობის დროს ტრაგიკულად დაღუპულის, გამოკვლევათა ბიუროს უფროსის

ინჟინერ **ვლადიმირ ვიქტორის ძე ვალედინსკის**

ხსოვნის აღსანიშნავად 4988

სახელმწ. აკადემიური ოპერა

(1928—29 წლის სეზონი)

დღეს, 24 ნოემბერს, 6 აბონემენტის მე-2 წარმოდგენა ვ. რ. სლივინსკის მონაწილეობით **ევგენი ონეგინი**

25 ნოემბერს, (აბონიმენტის გარეშე) კ. გ. დერჟინსკაიას მონაწილეობით **ჰუგენოტები**

დაწვრილებით აფიშებში. წარმოდგენის დასაწყისი სად. 8 საათ. ყველა საბონემენტო წარმოდგენებზე ბილეთების ნაწილი რჩება სალაროში ჩვეულებრივი წესით გასასყიდათ.

მზადდება დასადგმელად **გედის ტბა** ბალეტი მუსიკა ჩაიკოვსკის

2—2 ნ. 1864

სახქინმრეწვის კინოები

პანთეონი	მხატვრული სურათი **კეთროვანი**
არფასტო	პრემიერა მსოფლიო ფილმი **თეთრი არწივი** მეიე რხოლდის, კაჩალოვის და ანა სტენის მონაწ.
სოლეი	
აპოლო	
პალასი	გარი პილი სურათში **ექსპრესი** 2 სერიათ 14 ნაწ. ორივე სერია ერთად
მინიონი	მხატვრული სურათი **წუმპე** პანოვის მონაწ.
დარბაზი	სეზონის საუკეთესო სურათი უცხოეთის ნაწარმოები **ქირვეული ცოლი**
პროლეტარი ავლაბარი	დიმიტრი და ლილი ყიფიანები სურათში **ჭორი** რეჟისორი პერესტიანი

პირველი სეანსის დასაწყისი 6 საათზე 30 წუთზე. სალარო ღიაა 5 ს. 30 წუთიდან 0—16

ცირკი კოლოსი
ტელეფ. № 8-64

დღეს, პრემიერების საღამო
გრანდიოზული პროგრამა პირველი ციკლისა
3 განყოფილებად ახალი გასტროლები!
ჟონგლიორი ქალები—4 კრონეცი
ცხოველების მწვრთნელი კნოკი
ნიკოლოზ ტამარინი ახალ რეპერტუარში და კიდევ 10 ატრაქციონი
დასაწყისი საღამოს სრულ 8 ნახ. საათზე.
სალარო ღიაა 12-დან 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან.
კვირას, 25 ნოემბერს დღის სანახაობანი მთელი დასის და ახალი გასტროლიორების მონაწილეობით.
დასაწყისი დღის 2 საათზე. ბავშვები უფასოდ
დირ. ი. ზ. კუდრიავცევი, მმართველი მ. ი. ტალე.
3—2 ნ. 1857 3—2.

ექიმი **ი. ი. ქეიშვილი** სიფილის, ვენერიული და კანის სნეულ. კამოს ქ. 72 (ყოფ. დიდი-მთავრის). მიღება: დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ. 4598 25—1

ექიმი **ა. ს. ვადაჭკორია** დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფ. დილის 9—12—ს მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ. № 3 25—15

ექიმი **ი. ვ. ახმეტელი** იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული. 4903 25—1

მალე— დადგმით და სიუჟეტით არაჩვეულებრივი ფილმი **პარიზელი მეჩექმე** —მალე ნ. 1879

ჩამოვიდა და დღეიდან ღიაა ყოველდღე
დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდე „ჟოკეი კლუბის" (ყ. არტოს) ბაღში

საბჭოთა კავშირში უდიდესი მოძრავი სამეცნიერო-საჩვენებელი **სამხეცე** „ცხოველთა სამეფო" ნატურალისტ ზოოლოგის ა. ი. ბოიკოს ხელმძღვანელობით
დიდძალი ყოველგვარი ზღვისა და ხმელეთის მხეცები, ფრინველები, მაიმუნები, ქვეწარმავლები. მხეცების კვება საღამოს 9 საათზე. 0—4 ნ. 1839

იყიდება სახლი ქალ. ოზურგეთში, აღმასკომის ქუჩაზე, სადგურის ახლოს, 5 თვალი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორაში, (სახლი კანტორის საკუთრებას შეადგენს), თბილისი, რუსთაველის პრ. № 34, და სამტრედიაში ლასა გოგელიასთან. 0—9 „კომუნისტ"-ს მთავარი კანტორა.

ექიმი **კ. ს. ფონ-ირტელი** სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე. პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი **ი. პ. მჭედლიშვილი** შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა ღებულობს 5—6 ს. გარდა კვირისა. სანაპირო ქ. № 7 (ყოფ. ნაბერეჟნაია ვერის ხიდთან. ტელ. № 15-02 ნ. 7 25—1

ექიმი **პ. ი. ჯალალოვი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება. სიფილისი, შეხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 10—9. ნ.1. 25—1

ფ. მახარაძე **თბილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა** მოსამზადებელი ხანა (1870—1890) ფასი 25 კაპ. იყიდება გაზეთ „კომუნისტი"-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34). 0—6. მთავარი კანტორა.

გამოვიდა **ახალი აღთქმა** დემიან ბედნის თქმა სილ. თოდრიას თარგმანი ფასი 50 კაპ. იყიდება სახელგამის და „შრომის" წიგნ. მაღაზიებში 4—3

კვირას, 25 ნოემბერს, დილის 10 საათზე ქართულ ცხენოსან ლეგიონში ინიშნება **ვაჭრობა (ТОРГИ)** 7 დაფუღფუცული ცხენების და 9 კვიცის ქართ ლ ცხენოსან ლეგიონი. 4983

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ბ. ი. ქილიფთარი

ამით აცხადებს, რომ ის 27 ნოემბერს 1928 წ. დღის 1 საათზე სახლში № 10 აკ. წერეთლის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის რაფაელ ისაკიანის ერთ პიანინოს, ბუფეტის შკაფს და კედლის სარკეს შეფასებულს 760 მანეთად, პლატონ გადილიას ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. 1-ლი უბნის სახალხო სასამართლოსაგან 9 ნოემბერს 1928 წ. თარიღით, № 440 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1877

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი ლორთქიფანიძე

ამით აცხადებს, რომ ის 27 ნოემბერს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 32 გორის ქუჩ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. აბაშიძის მოძრავ ქონებას სკამებს, მაგიდებს, სარკეს, სპილენძის ქვაბებს და სხვ. შეფასებულს 300 მან, სახკვების კავშირის და სხვების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 6 და 18 ოქტომბ. 1928 წ. თარიღით, № 5522—5792 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 4969

კბილის ექიმი **დ. ს. რიჟინაშვილი** კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 ნ. 6 25—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი** ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" ყოფ. „ნოეს", პირდაპირ ზოდორიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 2. 25—2

ექიმი—ვენეროლოგი **ნინო მირიანაშვილი** იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14-23. 25—1

ლოგოპედი **ა. ა. პაიშაური** ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა **ასწორებს** ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს იღებს: საღამოს, 5—7 საათ კლარა ცეტკინის ქ., № 13.2 13—1 ნ. 1804

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წელს დაამთავრა **„სილამაზის ინსტიტუტი"** მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. [illegible]ძის ქუჩა (ყოფ. საპიორნი) 14 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5 8-დე [illegible] 4821 25—1

ექიმი **ი. ვ. ხანდამოვი** სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობა. ავადმყოფთა მიღება დღის 2-დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე. მინელაძის ქ. № 35, (ყოფ. მესაზღვრეთა ქ.), ყოფ. კადეტთა კორპუსის მახლობლად

ექიმი **ა. დ. კეკელია** სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება პლეხანოვის პროსპ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12-67. ნ. 3 25—

დაკარგა ხის დამმუშავებელთა კავშირის წიგნაკი № 107 სერაპიონ ზენაიშვილის სახელზე, ჩ. გ. 4979

დაკარგა პარტბილეთი № 0459886 მარიამ ტოფურიძის ასული ძირიჯანაშვილის სახელზე, ჩ. გ.

დაკარგა მოწმობა სოციალური მდგომარეობის შესახებ, გაცემული როდინაურ-ს თემის აღმასკომიდან, მარიამ დიომიდეს ასული გუმბერაძის სახელზე, ჩ. გ 4990

დაკარგა სამხედრო საალრიცხვო ბარათი № 309 ოგანეს სარქისოვის სახელზე, ჩ. გ. 4977

დაკარგა ლომბარდის ქვითარი № 13549, ჩ. გ. 4978

დაკარგა საგზაო-სატრ. სამომხმარებლო საზოგადოების საწევრო წიგნაკი № 3644 ვლადიმერ ტოფაძის სახელზე, ჩ. გ. 4987

დაკარგა ვინაობის მოწმობა მოცემული ბალდათის თემის აღმასკომის მიერ გრიგოლ მეფარიშვილის სახელზე, ჩ. გ. 4987

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი და ბირჟის უმუშევრობის წიგნაკი თამარა ფურცელაძის სახელზე, ჩ. გ. 4985

დაკარგა უვადო პირადობის მოწმობა ივანე გრიგოლის ძე ბეგაჯანოვის სახელზე, ჩ. გ 4984

დაკარგა ორი თამასუქი ერთი 500 მან. ალექსანდრე გოცაძის და მეორე 200 მან. ბესარიონ გარეჩილაძის ხელის მოწერით, ჩ. გ. 4982

დაკარგა განათლების კავშირის საწევრო წიგნაკი № 7471 მარიამ ზედაიშვილის სახელზე, ჩ. გ. 4982

დაკარგა კოკის თემაღმასკომის ახალ. დაზღვევის ერთი ფურცელი კვითარი № 600493, ჩ. გ 4982

დაკარგა ხეზე მომუშავეთა პ/კავშირის საწევრო წიგნაკი № 4501 და იმავე პ/კავშირის წევრობის ცალკე მოწმობა № 243 გაცემული ახალი აბასთუმნის ქარხკომის მიერ პლატონ ჭყონიას სახელზე, ჩ. გ 4982

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამის ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.